
"გულშემატკივარი
ჩემგან
გოლს ელოდება" B5


ჟენევის საიუბილეო
ავტოსალონი B6


დაბრუნება
წარსულში B8



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 4 მარტი, 2005 წელი. №49 (909) | ფასი 50 თეთრი


## პოლიტიკა

### ბაქოში არეულობას ელიან



ოთხშაბათს ღამით, საკუთარი სახლის სადარბაზოსთან, მოკლეს აზერბაიჯანის ოპოზიციური ჟურნალის - "მონიტორის" მთავარი რედაქტორი ელმარ ჰუსეინოვი. არ არის გამორიცხული, რომ ამ მკვლელობამ აზერბაიჯანში ოპოზიციური ტალღის აგორება გამოიწვიოს.

A3

## ეკონომიკა

### ყულევის ტერმინალი 2006 წელს ამოქმედდება



შეძლებს თუ არა ყულევის ტერმინალი, კონკურენცია გაუწიოს ბათუმის ნავთობტერმინალს, მინიმუმ ხუთ წელიწადში გაირკვევა.
.

A4

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

## ამინდი

| | 4/3 | 5/3 | 6/3 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 10 | 12 | 17 |
| ქუთაისი | 11 | 13 | 21 |
| ბათუმი | 11 | 12 | 20 |
| სოხუმი | 7 | 13 | 19 |
| ფოთი | 10 | 13 | 21 |
| თელავი | 10 | 9 | 15 |
| ზუგდიდი | 10 | 14 | 21 |
| გორი | 6 | 8 | 14 |
| ახმეტა | 9 | 10 | 15 |
| ჭიათურა | 9 | 9 | 17 |
| გაგრა | 4 | 12 | 18 |
| სამტრედია | 11 | 13 | 21 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8375 |
| ევრო | 2.4105 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.5095 |
| რუბლი | 0.0663 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B4 |
| რეკლამა | A5 | სპორტი | B5 |
| საზოგადოება | A6 | ავტომობილი | B6 |
| სამართალი | A7 | TV პროგრამა | B7 |
| პოლიტიკა | A8 | სხვადასხვა | B8 |


# მკვეთრი განცხადებები

## „პუტინის მეგობრის" ქვეყანაში

*საქართველოს პრეზიდენტი სამდღიანი ვიზიტით იტალიის დედაქალაქში გაემგზავრა.*
*"იტალიისგან ჩვენ ველით ძალიან ბევრს, განსაკუთრებით კი - ინვესტიციების კუთხით. საქართველო არ არის ძვირი ქვეყანა, მას აქვს მზარდი ეკონომიკა. იტალიელების ტემპერამენტი ძალიან ჰგავს ქართველების ტემპერამენტს. იტალიელებსაც და ქართველებსაც მოგვწონს გემრიელი საჭმელი, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ცხოვრების ხარისხს. ეს არის ქვეყანა და ხალხი, რომელთანაც ჩვენ ძალიან ბევრი საერთო გვაქვს და რომელთანაც ჩვენ გვინდა და შეგვიძლია დიდი საქმეების განხორციელება," – სააკაშვილი რომში ამ განწყობით ჩადის.*

სოფო ბუკია

საქართველოს პრეზიდენტი საერთაშორისო ვიზიტების სერიას განაგრძობს. წინასაარჩევნო ციებ-ცხელებასა და რევოლუციის მოლოდინში მყოფი მოლდოვას მონახულების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი გეზს "მარადიული ქალაქისკენ" იღებს.

კიშინიოვის აეროპორტამდე საქართველოს პრეზიდენტი გუშინ მოლდოვას პრეზიდენტმა ვორონინმა თავად მიაცილა.

პროტოკოლის თანახმად, რომში სამდღიანი ოფიციალური ვიზიტი საკმაოდ დატვირთული იქნება.

რომის აეროპორტიდან საქართველოს პრეზიდენტი პირდაპირ კვირინალეს სასახლისკენ გაემართა, სადაც მიხეილ სააკაშვილს წითელი ხალიჩა, კარაბინერების საავიაციო და საზღვაო ძალების წარმომადგენლებისა და ქვეითი სამხედროებისგან შემდგარი საპატიო ყარაული და იტალიის მთავრობის ოფიციალური პირები ელოდნენ. ორივე ქვეყნის ჰიმნის შესრულების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტისა და მისი იტალიელი კოლეგის, 85 წლის კარლო აძელიო ჩამპის პირისპირ შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის დასასრულს პრეზიდენტები პრესის წინაშე წარდგნენ.

საქართველოს პრეზიდენტის "რომაული არდადეგები" ერთი მცირე კურიოზით დაიწყო: სასაუბრო ენებად, პროტოკოლის თანახმად, იტალიური და ქართული იყო გათვალისწინებული, საქართველოს პრეზიდენტმა კი საუბარი ინგლისურად ინება და ამით დარბაზში მცირე გაუგებრობა შექმნა.

**"ჩემი იტალიაში ვიზიტის მთავარი მიზანი საქართველოს პოპულარიზაციაა. ჩვენ საქართველოში სერიოზული იტალიური ბიზნესის დაინტერესებას ველით. ჩვენ ველით, რომ საქართველოში ბევრი იტალიელი ბიზნესმენი ჩამოვა,"** – აცხადებს სააკაშვილი.

კარლო აძელიო ჩამპის განცხადებით, იგი ძალიან დაინტერესებულია კავკასიის რეგიონით. მიუხედავად იმისა, რომ იტალია ზოგადად ევროპის გაფართოების წინააღმდეგია, აძელიო ჩამპი საქართველოს ევროსტრუქტურებში ინტეგრაციაში მხარდაჭერას ჰპირდება. **"ბუნებრივია, ევროპა იქ იქნება, სადაც ხალხი ცდილობს თავისუფლებისა და დემოკრატიის განმტკიცებას. ეს ფაქტორები ძალიან მნიშვნელოვანია ევროპული ინტეგრაციისთვის. სწორედ ამიტომ, იტალია მხარს დაუჭერს საქართველოს ევროპასთან დაახლოებაში,"** – აცხადებს იტალიის პრეზიდენტი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჟურნალისტებმა ხელისუფლების უღელი არ უნდა დაიდგან

### მიაჩნიათ თავისუფლების ინსტიტუტში

*აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი ნატა იმედაიშვილი, პროტესტის ნიშნად, გუშინ თანამდებობიდან გადადგა. იგი ტელევიზიის ხელმძღვანელის, ზაზა ხალვაშის მხრიდან ზეწოლაზე საუბრობს და აცხადებს, რომ ამა თუ იმ სიუჟეტის გაშვების შემდეგ, ხალვაში მას ახსნა-განმარტების დაწერას აიძულებდა. გუშინვე, მასმედიის უფლებების დასაცავად, ჟურნალისტებმა ბათუმში საპროტესტო მსვლელობა მოაწყვეს.*

გიორგი ასანიშვილი

აჭარაში განვითარებულ მოვლენებს თბილისში უმალ გამოეხმაურნენ. სასწრაფოდ მოწვეულ ბრიფინგზე "თავისუფლების ინსტიტუტის" დირექტორი ლევან რამიშვილი აჭარელი ჟურნალისტების აქციას მიესალმა და სხვებსაც მათი მიბაძვისკენ მოუწოდა. "მეოთხე ხელისუფლების" "ჩაგვარაზე" პასუხისმგებლობას იგი მმართველ ძალას აკისრებს და ჟურნალისტების სარედაქციო დამოუკიდებლობის დასაცავად, აუცილებლად მიაჩნია საკანონმდებლო გარანტიების შექმნა.

**"ვერავინ უნდა აიძულოს ჟურნალისტი, ისეთი ნაბიჯი გადადგას, რომელიც მის პროფესიულ მრწამსს ეწინააღმდეგება,"** - აცხადებს რამიშვილი და სინანულით შენიშნავს, რომ აჭარის ტელევიზიაში შექმნილი მდგომარეობა გამონაკლისი არ არის და ცენზორის ხელი თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალებაში იგრძნობა.

ამასთან, "თავისუფლების ინსტიტუტის" ხელმძღვანელს ნატა იმედაიშვილის მიერ გადადგმული ნაბიჯი გამართლებულად არ მიაჩნია და საჭიროდ მიიჩნევს, რომ ჟურნალისტებმა თავისი სამოქალაქო უფლებები თანამდებობიდან გადადგომის გზით კი არა, უფრო აქტიური ქმედებებით, კერძოდ, გაფიცვებითა და საპროტესტო აქციებით უნდა დაიცვან.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დიდი მოგზაურობის წინ

მაია ჭალაგანიძე



*ეს ამბავი ერთ ჩვეულებრივ საღამოს შინ მისულ და ჩაის დასალევად საყვარელ სავარძელში მოკალათებულ ზაალ სამადაშვილს დაემართა. განათლების მინისტრმა დაურეკა და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე სკოლის დირექტორობა შესთავაზა...*
*ახალი უნარები, ახალი მიდგომები, შეფასებათა ახალი სისტემა და დამოკიდებულება მოვლენებისადმი - ეს არის ის, რის დამკვიდრებასაც განათლების რეფორმა ცდილობს. ცხადია, ახალი ძველს გამორიცხავს და განათლების მინისტრმა ქალაქში პრესტიჟულად ცნობილი სკოლების დირექტორებს "დაარტყა", რადგანაც ზემოხსენებული ახალი სისტემები ამგვარ პრესტიჟულობას არ ცნობს.*
*51-ე, 55-ე და პირველი საშუალო სკოლების ახალი დირექტორებისგან განსხვავებით, 53-ე საშუალო სკოლის 120 პედაგოგსა და 1200 მოსწავლეს საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი სახე, მწერალი ზაალ სამადაშვილი უხელმძღვანელებს. როგორც თავად ზაალ მასწავლებელი ამბობს, ეს მისთვის თავზარდამცემად მოულოდნელი წინადადება იყო, მაგრამ მან ეს გადაწყვეტილება მიიღო.*
*განსაკუთრებით დათო მაღრაძის ერთმა წიაღსვლამ შეასხა ფრთები, რომელმაც გადაწყვეტილება შეუქო და იქვე შეახსენა, როცა საჭირო გახდა, ვაჟა ფშაველაც წავიდა დიდთონეთის სკოლის დირექტორადო... ეჰ, ის სულ სხვა მწერალი და სულ სხვა დრო იყო, მაგრამ ყოველ დროს ხდება ხოლმე რაღაც ისეთი, რაც ადამიანს სრულიად მოულოდნელად სრულიად ახალ რეალობაში გადასტყორცნის ხოლმე. ხმამაღლა ამას სამოქალაქო საჭიროება ჰქვია, უფრო მოკრძალებულად კი - გამოცდა.*

გაგრძელება B1 გვერდზე






ისილეთ B3 გვერდზე

# დემოკრატიის მეორე ტალღა - საზოგადოების კომუნიზმისგან გათავისუფლება

გიორგი კანდელაკი
*კიშინიოვიდან*

*მოლდოვა 6 მარტის საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება. ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისად, პოლიტიკურ პარტიას, რომელიც პარლამენტში 101 მანდატიდან 61-ს მოიპოვებს, პრეზიდენტის არჩევის უფლება ეძლევა. პოლიტიკური ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ სანამ ოპოზიციურ დაჯგუფებებს ჯერაც არ ძალუძთ საფუძველი შეურყიონ მოქმედ კომუნისტ ხელისუფლებას, არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთი პარტია აუცილებელი 61 მანდატის მოპოვებას ვერ შეძლებს, ჩატარდეს რიგგარეშე არჩევნები. ამით კი ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია წინ გაუძღვება დემოკრატიულ მოძრაობას. "24 საათი" პარტიის ქარიზმატულ, პროევროპულ პოლიტიკურ ლიდერს იური როშკას ესაუბრა.*

**- რამდენად რეალურად მიგაჩნიათ 6 მარტის საპარლამენტო არჩევნებში თქვენი პარტიის და დემოკრატიული ძალების წარმატებები? როგორია საუკეთესო, ან ყველაზე უარესი სცენარი?**

- ოპტიმისტური სცენარით, ჩვენ კომუნისტური პარტიის შემდეგ მეორე ადგილს დავიკავებთ და ვერ შევძლებთ საჭირო ორი მესამედის, ანუ 61 მანდატის მოგროვებას, რაც პრეზიდენტის არჩევისათვის არის აუცილებელი. ეს რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას გახდის შესაძლებელს. რაც შეეხება ყველაზე ცუდ სცენარს, ამბოხებული პოლიტიკური პარტიები ვერ მოიპოვებენ ვერც ერთ მანდატს. თუ კომუნისტები ფალსიფიკაციისა და მაქინაციების გზით გაიმარჯვებენ, ჩვენ მათ წინააღმდეგ ბრძოლას მაინც განვაგრძობთ. იმედი მაქვს, შევძლებთ ხმათა 20 ან მეტი პროცენტის მოპოვებას.

გაგრძელება A8 გვერდზე

# ხუთი ალტერნატივა

თამარ მჭედლიშვილი

*გუშინ "24 საათი" იმ კონსულტაციების თაობაზე წერდა, რომელიც სასტუმრო "ქორთიად მარიოტში", ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ინიციატივით, არასამთავრობო სექტორსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის გაიმართა.*

მთავარი პრობლემა, რაც გამოიკვეთა, ეს ის გაურკვევლობაა, რომელიც ცსკო-ს კანდიდატთა წარდგენის წესს ეხება. გაუგებარია, ვინ უნდა წარუდგინოს პრეზიდენტს კანდიდატები, რათა მან საუკეთესოთა შორის საუკეთესოს ამორჩევა შეძლოს და პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს.

"კონსერვატორთა" ხედვით, საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის უფლება უნდა მიენიჭოს პარტიებს, რომლებმაც საქართველოს პარლამენტის უკანასკნელ არჩევნებში დააგროვეს ხმათა არანაკლებ ხუთი პროცენტისა; აგრეთვე - იმ პარტიებს, რომლებიც პარალმენტში წარმოდგენილი არიან ფრაქციის სახით. რაც შეეხება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, "კონსერვატორების" აზრით, ცსკო-ს თითო წევრი უნდა დანიშნონ ზემოთ ჩამოთვლილმა პარტიებმა, ხოლო თავმჯდომარეს კომისია თავისივე შემადგენლობიდან აირჩევს.

"ახალი მემარჯვენეები" კი ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების შემდეგნაირ მოდელს უჭერდნენ მხარს: კომისია

გაგრძელება A3 გვერდზე

## ციხის ადმინისტრაცია კრიმინალურ ავტორიტეტებთან თანამშრომლობს

სახალხო დამცველის აპარატთან არსებული მონიტორინგის საბჭოს წევრებმა თბილისის N1 საპყრობილეში არასრულწლოვანი პატიმარი შოთა ჯალიაშვილი მოინახულეს. მონიტორინგის საბჭოს წევრთა განცხადებით, ჯალიაშვილის დაკავებისას, მუხიანის პოლიციაში, მასზე ფიზიკური ზემოქმედება მოახდინეს და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები ციხეში მისთვის ახსნა-განმარტების ჩამოსართმევად მივიდნენ. პატიმარს საპყრობილის დირექტორის მოადგილის ავთანდილ რამინაშვილის კაბინეტში შეხვდნენ, თუმცა, საბჭოს წევრთა ინფორმაციით, ჯალიაშვილი მარტო არ მისულა, მას საკნიდან სხვა პატიმარიც გამოჰყვა და შეხვედრაზე დასწრება მანაც მოითხოვა. მონიტორინგის ჯგუფი პატიმრის მოთხოვნას მხოლოდ ციხის ადმინისტრაციის რჩევით დათანხმდა, რათა ჯალიაშვილს "ქურდული სამყაროს" მხრიდან პრობლემები არ შექმნოდა. თანაც, საკნიდან გამოყოლილი პატიმრის დასწრებას დაჟინებით ითხოვდა ჯალიაშვილიც.

მონიტორინგის საბჭოს წევრებმა მოგვიანებით გაარკვიეს, რომ საპყრობილეში მიღებული წესის თანახმად, არასრულწლოვანების საკნიდან გამოძახებულ ნებისმიერ ახალ პატიმარს "ქურდული სამყაროს" წარმომადგენელი, ე.წ. "თვალი" მიჰყვება, რომელიც ციხის ადმინისტრაციისა და პატიმრის გასაუბრებას ესწრება.

**"საპატიმროს ხელმძღვანელობა მსგავს კონტროლს არ აპროტესტებს. ასეთი ზედამხედველობა კრიმინალური ავტორიტეტების მოთხოვნით ხორციელდება, ციხის ხელმძღვანელობას კი არ ჰყოფნის არც ძალაუფლება და არც ნება, ალკვეთოს ქურდების ხელისუფლება. მყარი ქურდული მენტალიტეტი ციხეს სტაბილურობას უნარჩუნებს,"** – აცხადებენ მონიტორინგის საბჭოს წევრები.

*24 საათი*

## საჩივრების რაოდენობამ ყოფილი ლეიბორისტის შესაძლებლობებს გადააჭარბა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტმა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოფილი წევრის, ბადრი ნიაურის საცხოვრებელ მისამართზე არსებული ქონება დააყადაღა. ამის მიზეზი ბადრი ნიაურის, როგორც ცსკო-ს წევრის მიერ, 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით სასამართლოში შეტანილი სარჩელებისთვის სასამართლო ბაჟის გადაუხდელობა გახდა.

ცსკო-ს ყოფილმა წევრმა, ჯერ კიდევ შარშან ოქტომბერში, იუსტიციის მაშინდელ მინისტრს გიორგი პაპუაშვილს მედიის მეშვეობით მიმართა, რომ სასამართლო ბაჟის გადახდისგან გაეთავისუფლებინათ ის პოლიტიკური სუბიექტები და საზოგადოებრივად აქტიური მოქალაქეები, რომლებმაც ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული დარღვევები გაასაჩივრეს.

მაშინ ნიაური აცხადებდა, რომ "სწორედ 2 ნოემბრის არჩევნებზე დაფიქსირებული ტოტალური გაყალბება და მისი შედეგების გასაჩივრება გახდა ქვეყანაში "ვარდების რევოლუციის" და ედუარდ შევარდნაძის რეჟიმის შეცვლის ერთ-ერთი საფუძველი". როგორც იგი აღნიშნავდა, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც არჩევნების შედეგებს ასაჩივრებდნენ, წინასწარვე იყო ცნობილი, რომ შევარდნაძის რეჟიმის პირობებში სასამართლო დავები მათ სასარგებლოდ არ გადაწყდებოდა, მაგრამ ისინი თავს ვალდებულად თვლიდნენ, მომხდარი დარღვევები და ტოტალური გაყალბება საზოგადოების სამსჯავროზე გამოეტანათ. მისი განცხადებით, "სწორედ 2 ნოემბრის არჩევნების შედეგებმა განაპირობა "ვარდების რევოლუცია" და ხელისუფლებაში ამჟამინდელი მაღალჩინოსნების მოსვლა".

ამჟამად ბადრი ნიაურს "საქართველოს ლეიბორისტულ პარტიასთან" არანაირი ურთიერთობა აღარ აქვს და იგი არასამთავრობო ორგანიზაცია "დემოკრატიის ცენტრს" ხელმძღვანელობს. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში კი ნიაური "ლეიბორისტულმა პარტიამ" 2003 წლის აგვისტოში დანიშნა. ნიაური ცსკო-ში ლეიბორისტულ პარტიას 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე, 2004 წლის საპრეზიდენტო და 28 მარტის ხელახალ საპარლამენტო არჩევნებზე წარმოადგენდა.

*ინტერ-პრესი*

## ცსკო-ს ვადა გაუგრძელდება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ამჟამინდელ შემადგენლობას 15 მარტს უფლებამოსილება ეწურება.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის განცხადებით, ცსკო-ს ახალი შემადგენლობა ასევე ახალი კანონმდებლობით დაკომპლექტდება. თუმცა, ლევან ბეჟაშვილის თქმით, ჯერჯერობით, თავად კანონპროექტი, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებას ითვალისწინებს, განხილვის სტადიაზეა და აქედან გამომდინარე, ამჟამინდელ ცსკო-ს უფლებამოსილება თვენახევრით გაუგრძელდება.

როგორც ლევან ბეჟაშვილმა აღნიშნა, შესაბამისი კანონპროექტი უკვე მზად არის და მისი განხილვა უახლოეს დღეებში დაიწყება. თავად კანონპროექტს პროფესიული ნიშნით დაკომპლექტების შესახებ პარლამენტი, სავარაუდოდ, აპრილში მიიღებს. **მედია-ნიუსი**

## იუსტიციის მინისტრმა პატიმარ ქალებს დედის დღე მიულოცა

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ გუშინ პატიმარ ქალებს დედის დღე მიულოცა და საჩუქრები გადასცა.

მინისტრმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის ქალთა N5 დაწესებულების მსჯავრდებულები და ამავე ტერიტორიაზე არსებული ქალთა საპყრობილის პატიმრები მოინახულა და საჩუქრად პირადი ჰიგიენის საგნები(DOVE–ს ფირმის შამპუნები და საპნები) გადასცა.

კოტე კემულარიას განცხადებით, პატიმრები ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან და მათთვის ნორმალური პირობების შექმნა აუცილებელი პირობაა. მინისტრის შეფასებით, აღნიშნულ დაწესებულებებში კარგი საცხოვრებელი პირობებია, რაც სასჯელაღსრულების მთელ სისტემაში ეტაპობრივად უნდა მოგვარდეს.

როგორც ცნობილია, წელს, აგვისტოში, თბილისში და ქუთაისში დახურული რეჟიმის ახალი სასჯელაღსრულების დაწესებულებები გაიხსნება, რაშიც საქართველოს მთავრობას მნიშვნელოვან დახმარებას ევროსტრუქტურებიც უწევენ.

დღეს დაგეგმილია სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ევროკავშირის ექსპერტებთან, რომლებიც პატიმრობის პრინციპის გადახედვაზე მუშაობენ. კერძოდ, კემულარიას განცხადებით, "საქართველოში აღარ იქნება ჯერ დაპატიმრება და შემდეგ გამოძიება". გამოძიების დასრულებამდე დაპატიმრება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მოხდება, წინასწარი პატიმრობის ვადა კი მაქსიმუმ 4 თვემდე შემცირდება, რაც დღეისათვის 9 თვით არის განსაზღვრული.

*ინტერ-პრესი*

# გეწაძემ მუმლაძის სცენარი გადაამღერა

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულად დაბრუნებული გია გეწაძე, წარუმატებელი პიარაქციების შედეგად შელახული იმიჯის რეაბილიტაციას, ქუთაისის მთავრობაში საკადრო რეპრესიებით შეუდგა.

4 მარტს ქუთაისის მერის მოვალეობის შესრულებას ოფიციალურად შეუდგა ჟურნალისტი ბესიკ გულორდავა, რომელიც, როგორც ირკვევა, უშუალოდ იმერეთის გუბერნატორის შერჩეული კადრია აღნიშნულ თანამდებობაზე.

პოსტრევოლუციურ პერიოდში, რომელიც სულ რაღაც წელიწადნახევარს ითვლის, ქუთაისს რიგით მესამე მმართველი ჩაუდგა სათავეში. 2002 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ქუთაისს პირველად და დღემდე უკანასკნელად მართავდა არჩეული მერი ნუგზარ ფალიანი, ისიც - მხოლოდ წელიწადნახევრის მანძილზე. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ პრეზიდენტის იმდროინდელმა რწმუნებულმა იმერეთში დავით მუმლაძემ ქუთაისის ადგილობრივ ხელისუფლებაში საკადრო ცვლილება ასეთი სცენარით განახორციელა: რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერმა ფალიანის გადადგომის მოთხოვნით შიმშილობა გამოაცხადა (რისთვისაც მოგვიანებით ერთ-ერთი მათგანი გივი ჯიბლაძე ქუთაისის ვიცე-მერი გახდა, ლევან გოგელაშვილი - ქუთაისის საფინანსო სამმართველოს უფროსი, გიგა შუშანია კი - მხარის ვიცე-გუბერნატორი). ფალიანის წინააღმდეგ შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის შექმნის შემდეგ, მუმლაძემ მერს გადადგომა მოსთხოვა ისე, რომ მანამდე პირველ მოადგილედ თავისი მეგობარი - გია გიორგაძე დაანიშნინა, რომელიც ფალიანის გადადგომისთანავე მერის მოვალეობის შემსრულებელი გახდა. მაშინ, ალბათ, გია გიორგაძე ვერ წარმოიდგენდა, რომ თანამდებობის დატოვება მასაც იგივე სცენარით მოუხდებოდა.

გეწაძემ სწორედ მუმლაძის სცენარი გადაამღერა: ბოლო პერიოდში ქუთაისის მერიაში არსებული კორუფციული ფაქტების თაობაზე ფართო საინფორმაციო კამპანია წარიმართა, რომელშიც ქუთაისის მერის მოვალეობის ამჟამინდელი შემსრულებელი განსაკუთრებული აქტივობით მონაწილეობდა. გია გიორგაძემ ქუთაისის პროკურატურას შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების მიზნით, სწორედ ბესო გულორდავას საგაზეთო პუბლიკაციების გამო მიმართა, რომლებშიც ქუთაისის ვიცე-მერის გივი ჯიბლაძის კორუფციულ საქმიანობაზე იყო საუბარი. გიორგაძის მთავრობის წინააღმდეგ შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის შექმნის შემდეგ, გეწაძემ მოქმედება დაიწყო. მისი უშუალო მითითებით, 2 მარტს გიორგაძემ ოთხივე ვიცე-მერი თანამდებობიდან გაათავისუფლა, უფრო ზუსტად, გადადგომის თაობაზე განცხადებები ვიცე-მერებმა თავად დაწერეს და გიორგაძემ მათი "სურვილი" დააკმაყოფილა. იმ დღეს მერის მოვალეობის შემსრულებელი ამბობდა, რომ ამით "თავისუფალი არჩევანის საშუალება" მოიპოვა. მაგრამ გიორგაძეს არჩევანი აღარ დასცალდა. იმავე დღეს გეწაძემ მისგან თანამდებობის დატოვება მოითხოვა, თანაც ამისთვის საჭირო ყველა პროცედურა თავისი ხელით მოამზადებინა. გია გიორგაძე ქუთაისის საკრებულოს სხდომას მშვიდად ესწრებოდა. სხდომის მიმდინარეობის პროცესში გეწაძემ ვიცე-გუბერნატორების პირით თავისთან საკრებულოს თავმჯდომარე გელა ქათამაძე იხმო, მოგვიანებით კი - თავად გიორგაძეც გამოიძახა. ამის შემდეგ გია გიორგაძემ საკრებულოს დღის წესრიგში საკითხის დამატება ითხოვა, რომელიც საკრებულომ უპრობლემოდ მიიღო და ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა დებულებაში ცვლილება შეიტანა. ცვლილების შედეგად, 69-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა: "მერის არყოფნის შემთხვევაში, მოვალეობას ასრულებს პირველი მოადგილე, ხოლო ამ უკანასკნელის არყოფნისას - მერის მოადგილე."

"24 საათთან" საუბარში დამოუკიდებელი იურისტები განმარტავენ, რომ საკრებულოს დღის წესრიგში საკითხის დამატება მხოლოდ სხდომის დაწყებამდე შეიძლება, ისიც - ამ გადაუდებელი აუცილებლობის არგუმენტირებული დასაბუთების შემდეგ. ქუთაისის საკრებულომ კი დღის წესრიგში დამატება სხდომის ბოლო ეტაპზე შეიტანა და თან დაამტკიცა კიდეც. საკრებულოს ასეთ ქმედებას ახსნა დღის ბოლოს მოიძებნა, როცა გია გეწაძემ ქუთაისში განხორციელებული კიდევ ერთი საკადრო ცვლილების შესახებ ამცნო საზოგადოებას: **"ბატონმა გია გიორგაძემ თავის მოადგილედ დანიშნა ბატონი ბესო გულორდავა. ბატონი გია ტოვებს თანამდებობას, ასე რომ, ქუთაისს ეყოლება ახალი მერის მოვალეობის შემსრულებელი. ბატონი გია აპირებს სხვა სამსახურში გადასვლას თბილისში, საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე."**

როგორც ირკვევა, გია გიორგაძეს არანაირი მაღალი თანამდებობის მიღების პერსპექტივა არ გააჩნია, ყოველ შემთხვევაში - ამ ახლო მომავალში. იმერეთის სახელისუფლებო კულუარებში საუბრობენ, რომ გიორგაძე საბოლოოდ მაინც მუმლაძესთან მეგობრობასა და პარტნიორობას გადაჰყვა.

2 მარტს ქუთაისის ფინანსურმა პოლიციამ 28 ვაგონი მარგანეცი დააკავა, რომელიც ფირმა "მორავია ჯორჯიას" საექსპორტოდ გაჰქონდა. ქუთაისში ამბობენ, რომ აღნიშნული ტვირთი მუმლაძის ბიზნესს უკავშირდება და ამიტომაც გიორგაძემ დაკავებული მარგანეცის გატარება მოითხოვა. აღნიშნულ ინფორმაციას "24 საათთან" საუბარში არ ადასტურებს ქუთაისის ფინანსური პოლიციის უფროსი სოსო გაბრიჩიძე და აცხადებს, რომ ტვირთი სასამართლოს შესაბამისი განჩინების საფუძველზე იქნა დაკავებული, რადგან მარგანეცის საექსპორტოდ გატანა აღნიშნული ტიპის ფირმებს კანონით ეკრძალებათ.

ქუთაისის მერიის კაბინეტში ვიცე-მერების თანამდებობები ამ დრომდე ვაკანტური რჩება, თუმცა სავარაუდო კანდიდატების ნუსხა პერმანენტულად იზრდება. საქართველოს პარლამენტის ქუთაისელი დეპუტატი გია უკლება "24 საათთან" საუბარში აღნიშნავს, რომ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ქუთაისის ორგანიზაციას აუცილებლად ეყოლება საკუთარი კანდიდატები. ქუთაისის პოლიტიკურ წრეებში კი ადგილობრივი ხელისუფლების დაკომპლექტებას ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის ნინო ბურჯანაძის პროტეჟეებით ელიან. თავად ბესო გულორდავა (რომელიც, სხვათაშორის, საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ნინო ბურჯანაძის პრეს-ცენტრში მუშაობდა) "24 საათთან" საუბარში აღნიშნავს, რომ კადრებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული არ არის, თუმცა დასძენს, რომ არჩევანში თავისუფალია. ქუთაისში ამ დრომდე ხელისუფლების მიღმა დარჩენილი, პოლიტიკურად ანგაჟირებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ვიცე-მერების პოსტებზე მათ შეთავაზება უკვე მიიღეს, როგორც მერის მოვალეობის შემსრულებლის, ისე - გეწაძის მხრიდან. ეს კი გუბერნატორის მოწინააღმდეგე ბანაკის მნიშვნელოვანი შესუსტებისა და ახალი აპოლოგეტების შექმნისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება, რაც დღეს ჰაერივით სჭირდება გეწაძის შელახულ იმიჯს.

## ორი სიტყვით

**სოხუმი.** აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში და ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა მოსკოვს 9 მარტის შემდეგ ეწვევიან.

ბაგაფში რუსეთის დედაქალაქში ვიზიტს 3 მარტს გეგმავდა, მაგრამ იმის გამო, რომ იქ სამდღიანი დასვენებაა გამოცხადებული, მოსკოვში ჩასვლა გადაიდო.

■ ■ ■

**თბილისი.** მცხეთა-მთიანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის თანამდებობაზე ახლად დანიშნულ ვასილ მაღლაფერიძეს პარლამენტში პარტიული სიით ერემია ბერიშვილი შეცვლის.

ერემია ბერიშვილი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრია და იგი ვაკის რაიონულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს.

პარლამენტი ვასილ მაღლაფერიძისათვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტისა და მისი ერემია ბერიშვილით შეცვლის თაობაზე მომავალ კვირას იმსჯელებს.

რაც შეეხება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობას, რომელიც ვასილ მაღლაფერიძეს ეკავა, მას სავარაუდოდ ხონის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი აკაკი ბობოხიძე დაიკავებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი დღეს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ბაქოს ეწვევა.

ვიზიტის დროს ზურაბ ნოღაიდელი გვირგვინით შეამკობს აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის საფლავს. მოგვიანებით, იგი აზერბაიჯანის მთავრობის წარმომადგენლებთან გამართავს მოლაპარაკებებს, 15.00 საათისთვის კი აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს შეხვდება.

"საქართველოს პრემიერი და აზერბაიჯანის პრეზიდენტი ორ ქვეყნას შორის ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე ისაუბრებენ. შეხვედრისას საუბარი შეეხება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასაც", - აცხადებენ პრემიერ-მინისტრის აპარატში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს მე-5 განყოფილებისა და მეტროპოლიტენის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს 36 წლის ზაზა სვანიძე და 25 წლის ლაშა ცხოვრებაძე, რომლებმაც არაფხიზელ მდგომარეობაში მეტროსადგურ „პოლიტექნიკური ინსტიტუტის" ვესტიბიულში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს პატრულის ინსპექტორს, პოლიციის უმცროს ლეიტენანტს გიორგი ლომოურს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ძმები, ხულოში მცხოვრები, ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი, 37 წლის როლანდ ქორიძე, რომელიც სასამართლომ დააჯარიმა 120 ლარით, ხოლო 32 წლის როინ ქორიძისაგან ამოიღეს გადაჭრილი თოფი და 0,6 გრამი ჰეროინი. **მედიანიუსი**

# სიჩქარის გადაჭარბებაზე კონტროლი გამკაცრდება

საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევების გახშირების გამო, შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის გადაწყვეტილებით, დღეიდან საავტომობილო მაგისტრალებზე მიკროავტობუსებისა და ავტობუსების მძღოლებისთვის საგზაო მოძრაობის წესები გამკაცრდება.

მინისტრის განცხადებით, სიჩქარის გადაჭარბების შემთხვევების აღსაკვეთად, საპატრულო პოლიციას დაევალა, განსაკუთრებით გაამკაცროს კონტროლი ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მძღოლების მიმართ.

გარდა ამისა, უახლოეს ხანებში ვანო მერაბიშვილი საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართავს, რომლის თანახმადაც, 90 კმ/სთ სიჩქარის ლიმიტი 80 კმ/სთ სიჩქარემდე შემცირდება. ასევე გამკაცრდება კანონი სიჩქარის გადამეტებაზე. მათ შორის, გათვალისწინებულია სიჩქარის გადამეტებისთვის მართვის მოწმობის ჩამორთმევა.

სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო ორი თვის განმავლობაში გადაჭარბებული სიჩქარის მიზეზით მომხდარი ავარიების შედეგად 27 ადამიანი დაიღუპა. 2004 წელს 1096 ავტოსაგზაო შემთხვევა დაფიქსირდა, რის შედეგადაც 235 ადამიანი დაიღუპა, 1607 ადამიანი კი დასახიჩრდა. **ინტერ-პრესი**




მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

უცხოეთი

**უკრაინა.** უკრაინა ერაყიდან საკუთარი სამშვიდობო ძალების კონტინგენტის გამოყვანას სამ ეტაპად განახორციელებს. უკრაინელი ჯარისკაცების გამოყვანის პროცესი 15 მარტს დაიწყება და ოქტომბრის შუა რიცხვებამდე გასტანს. როგორც პრეზიდენტ ვიქტორ იუშენკოს პრესსსამსახურმა განაცხადა, ნაციონალური უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, პირველ ეტაპზე ერაყიდან 150 ჯარისკაცი იქნება გამოყვანილი, მეორე ეტაპზე - 590, ხოლო უკანასკნელ ეტაპზე კი დარჩენილი მშვიდობისმყოფელები. ცნობისათვის, ამჟამად ერაყში 1600-მდე უკრაინელი ჯარისკაცია დისლოცირებული. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**აშშ.** აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს ინფორმაციაზე დაყრდნობით ვრცელდება ინფორმაცია "ალ ქაიდას" მიერ დაგეგმილი ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების მეშვეობით ტერაქტების მომავალში განხორციელების შესახებ. "მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან გამოძიების ფედერალურ ბიუროში შემოვიდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ტერორისტული დაჯგუფებები, მათ შორის, "ალ ქაიდა" ტერაქტებისას ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების გამოყენების გეგმას განიხილავენ," – განაცხადა გამოძიების ფედერალური ბიუროს ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელმა ჯონ ლუისმა. მისივე თქმით, აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიურო აღნიშნულთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, სხვა დეტალებს არ ფლობს. **ნიუს-რუ**

■ ■ ■

**ერაყი.** ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი საგანგებო მდგომარეობის ვადა გაგრძელდა და კიდევ 30 დღეს გასტანს. ერაყში საგანგებო მდგომარეობა გასული წლის 7 ნოემბერს გამოცხადდა და ჩრდილოეთ ნაწილის გარდა, მთელ ქვეყანაში ვრცელდებოდა. კანონი საგანგებო მდგომარეობის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში, ხელისუფლებას საზღვრების ჩაკეტვის, კომენდანტის საათის შემოღებისა და განსაკუთრებული სანქციების გარეშე საეჭვო პირთა დაკავების საშუალებას აძლევს.

საგანგებო მდგომარების ვადის გაგრძელების აუცილებლობა თითქმის ყოველდღიური ტერაქტებითაა გამოწვეული. ერაყის დედაქალაქ ბაღდადში განხორციელებული ტერაქტების შედეგად გუშინაც ხუთი ადამიანი დაიღუპა და შვიდი დაშავდა. გავრცელებული ინფორმაციით, თავდასხმის სამიზნე ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა იყო. პოლიციის წარმომადგენელთა თქმით, ტერორისტმა-კამიკაძეებმა სამინისტროს საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან ორი დანაღმული ავტომანქანა ააფეთქეს, რასაც შეიარაღებული შეტაკებაც მოჰყვა. ერაყის დედაქალაქში აფეთქებები წინა დღესაც განხორციელდა. 13 ადამიანია დაღუპული და 40-ზე მეტი დაჭრილი. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**დიდი ბრიტანეთი.** ბუნებრივი აირის გაჟონვის გამო, დიდი ბრიტანეთის ქალაქ უორინგტონის ცენტრიდან ასობით ადამიანია ევაკუირებული. პოლიციის ინფორმაციით, ქალაქის ცენტრში ბუნებრივი აირის "სერიოზული გაჟონვა" მოხდა. ბრიტანული გაზის ტრანსპორტირების კომპანია "ტრანსკო"-ს წარმომადგენლის განცხადებით, ქალაქის ცენტრში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დროს გაზსადენის მილი დაზიანდა. შემთხვევის ადგილიდან მოსახლეობის ევაკუაცია ოპერატიულად განხორციელდა, ჩაიკეტა ცენტრისკენ მიმავალი ყველა გზა. ქალაქი უორინგტონი ინგლისის ჩრდილო-დასავლეთში, ლივერპულის მახლობლად მდებარეობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ჩინეთი.** პროვინცია შანსში, ქალაქ კეჩენში, კერძო საბადოს მუშის სახლში მომხდარი აფეთქების შედეგად დაიღუპა 11 და დაიჭრა 8 ადამიანი. გარდაცვლილთა შორის სკოლის მოსწავლეებიც არიან. სახლის მეპატრონე ადგილზევე დაიღუპა. ქვეყნის ხელისუფლება უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას ინციდენტის მახლობლად მდებარე სკოლის შენობის დანგრევის შესახებ. "ბი-ბი-სი"-ს კორესპონდენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ტრაგედიის რეალური მასშტაბი, ჯერჯერობით, გაურკვეველი რჩება, რადგანაც შემთხვევის ადგილი დაცვის თანამშრომლების მიერაა გარშემორტყმული. ჩინეთის ბევრი მოქალაქე ინახავს სახლში ასაფეთქებელ მოწყობილობას, თუმცა, ეს კანონის დარღვევა არ არის. ყოველწლიურად ასობით ადამიანი იღუპება ასაფეთქებელ მოწყობილობასთან გაუფრთხილებელი მოქცევის გამო. **ბი ბი სი**

ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ელჩი „მწვანე ტალღის" მსმენელთან
ყოველ ხუთშაბათს გადაცემა „ამბასადორი" 11-იდან 12 საათამდე



შვეიცარიის ელჩი საქართველოში

# მკვეთრი განცხადებები „პუტინის მეგობრის" ქვეყანაში

პირველი გვერდიდან

საქართველოს პრეზიდენტი კვირინალეს სასახლეში ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაზე საუბრობს: **"უკრაინისა და საქართველოს რევოლუციების შემდეგ, სრულიად ახალი გეოპოლიტიკური რეალობები იქმნება. დღეს არის საუბარი იმაზე, რომ ყალიბდება ჯგუფი ქვეყნებისა, სადაც სწრაფად ვრცელდება დასავლური ტიპის ლიბერალური, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა,"** – აცხადებს სააკაშვილი.

დღეს შუადღისთვის დანიშნულია საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრა იტალიის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონისთან. ასევე დაგეგმილია შეხვედრები იტალიის სენატის სპიკერ არჩელო პერასთან და რესპუბლიკის დეპუტატთა პალატის სპიკერ ფერდინანდო კაზინისთან.

რომში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი, იტალიის სავაჭრო ასოციაციისა და საქართველოს მთავრობის ინიციატივით, რომში დაგეგმილ საერთაშორისო ფორუმს "Invest in Georgia"(ინვესტიციები საქართველოში) დაესწრება.

**"ქართული ფორუმის ძირითადი მიზანია საერთაშორისო საქმიანი წრეებისთვის საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური და ბიზნეს-გარემოს გაცნობა, ასევე უცხოელ და ქართველ ბიზნესმენებს შორის ნდობისა და საქმიანი კონტაქტების დამყარება,"** - განაცხადა ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა, რომელიც რომში იმყოფება.

საქართველოს მხრიდან, ფორუმში მონაწილეობას საქართველოს ეკონომიკური მინისტრები და საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა მსხვილი კომპანიის წარმომადგენლები მიიღებენ. კონფერენციას იტალიაში მოღვაწე 200-მდე უცხოელი ბიზნესმენი დაესწრება.

როგორც ოფიციალური ვიზიტების ეტიკეტი მოითხოვს, პრეზიდენტს რომში მეუღლე - სანდრა რულოვსიც უნდა გაჰყოლოდა, რომელიც რომში ამსტერდამიდან უნდა ჩასულიყო. უამინდობის გამო, ამსტერდამიდან რომში ფრენა გადაიდო, რის გამოც სანდრა რულოვსმა კვირინალეს სასახლეში გამართულ ოფიციალურ შეხვედრაზე დაიგვიანა. ამ ფაქტის გამო გუშინ სასახლეში არ იმყოფებოდა არც იტალიის პირველი ლედი.

■ ■ ■

რომში ვიზიტამდე ერთი დღით ადრე მიხეილ სააკაშვილი ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ იტალიურ გაზეთს საკმაოდ ხმაურიან ინტერვიუს აძლევს. "La Repubblica"-ში დაბეჭდილი ინტერვიუ გუშინ მედიის თითქმის ყველა ელექტრონულმა საშუალებამ გაიმეორა.

**"პუტინს სურს, შეწყვიტოს ეუთო-ს მონიტორინგი რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე. არ ასრულებს ხელშეკრულებას, რომელიც რუსეთს საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანას ავალდებულებს. ამასთან, რუსეთის პრეზიდენტი ოსურ და აფხაზურ სეპარატიზმს აღვივებს. ის ისე იქცევა, თითქოს საქართველო რუსეთი იყოს. აუცილებელია ევროპისა და ამერიკის ჩარევა: იქმნება გაუსაძლისი დაძაბულობა, შეიძლება კავკასია აფეთქდეს!"** - აცხადებს სააკაშვილი იტალიელ ჟურნალისტთან საუბრისას.

კითხვაზე - მოსალოდნელია თუ არა რუსეთის თავდასხმა საქართველოზე? - სააკაშვილი პასუხობს: **"მოსკოვი მუდმივად საუბრობს ტერორისტებზე და საქართველოსკენ იშვერს ხელს. ცხადია, მოსკოვის განცხადება, რომ საჭიროების შემთხვევაში მზად არის ტერორისტებზე თავდასხმა საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც განახორციელოს, საქართველოს საყურადღებოდ არის გაკეთებული. კრემლი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ უკონტროლოდ დატოვოს საერთო საზღვრები და წარმოადგინოს საქართველო, როგორც ჩეჩენი ბოევიკების თავშესაფარი. პუტინმა უნდა იცოდეს, რომ თუ საქართველოდან ჯარებს არ გაიყვანს, ჩვენ რუსულ სამხედრო ბაზებს ელექტროენერგიის მიწოდებას შევუწყვეტთ და აღარც ვიზებს გავცემთ მათი სამხედროებისთვის."**

# ჟურნალისტებმა ხელისუფლების უღელი არ უნდა დაიდგან

პირველი გვერდიდან

**"თუ ჟურნალისტები ერთმანეთის გვერდით არ დადგებიან და ერთად არ აიმაღლებენ ხმას ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის წინააღმდეგ, მაშინ საქართველოში მასმედიის თავისუფლება ისეთივე ეფემერული გახდება, როგორც ეს რუსეთშია,"** - დასძენს ლევან რამიშვილი.

"თავისუფლების ინსტიტუტის" კიდევ ერთი წარმომადგენელი თეა თუთბერიძე სინანულით აღნიშნავს, რომ საჯარო ინფორმაციის მოპოვება აჭარაში ჟურნალისტებისთვის ასლან აბაშიძის მმართველობის დროს უფრო ხელმისაწვდომი იყო, ვიდრე დღეს. **"ამჟამად ჟურნალისტები იძულებულნი არიან, რიგითი მოქალაქეების მსგავსად, რამდენიმე დღე იცადონ საჯარო ინფორმაციის მოსაპოვებლად,"** - აცხადებს თუთბერიძე.

"თავისუფლების ინსტიტუტის" წევრები ინფორმაციის დაბლოკვის გამო შეშფოთებას გამოთქვამენ და გამოსავალს მასმედიის ერთიანობაში ხედავენ.

**"ჟურნალისტებმა ერთად უნდა ამოიღონ ხმა. თუ იქნება გაფიცვები, ხელმძღვანელობა ყველა ჟურნალისტის გარეთ გაგდებას ვერ გაბედავს,"** - მიიჩნევს "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი თამარ კინწურაშვილი.

## ლევან ვარშალომიძე იძულებულია, თავი იმართლოს

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე ავტონომიურ რესპუბლიკაში "ვარშალომიძეების კლანისა" და მასმედიაზე ზეწოლის ფაქტების არსებობას კატეგორიულად უარყოფს.

როგორც ვარშალომიძემ გუშინ საღამოს საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, აჭარის ტელევიზიაში შექმნილი ვითარების შესახებ მან პირველად ტელეეთერის საშუალებით შეიტყო.

მთავრობის თავმჯდომარის თქმით, სამწუხაროა, რომ ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ნატა იმედაიშვილმა თანამდებობა "გაუგებრობის გამო" დატოვა. ამასთან, როგორც ვარშალომიძემ აღნიშნა, ტელევიზიის დირექტორ ზაზა ხალვაშისთვის მას ზეწოლის შემცველი არანაირი მითითება არ მიუცია. "ამ გაუგებრობის გამო მთელი პასუხისმგებლობა ტელევიზიის დირექტორმა საკუთარ თავზე უნდა აიღოს," - მიაჩნია აჭარის ხელმძღვანელს.

ლევან ვარშალომიძე ჟურნალისტებს დაჰპირდა, რომ აღნიშნულ ფაქტს რეაგირების გარეშე არ დატოვებს. მან დღეს ჟურნალისტებს ბოდიში მოუხადა იმასთან დაკავშირებით, რომ უცხოელ ინვესტორებთან მოლაპარაკებების გამო, მათთან შეხვედრა დააგვიანა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს ლევან ვარშალომიძეს მასმედიის წარმომადგენლებმა მათთან ურთიერთობის ფორმების შეცვლაც მოსთხოვეს. პასუხად, ვარშალომიძე მათ სამომავლოდ თანამშრომლობის გაღრმავებას დაჰპირდა.

რაც შეეხება ვარშალომიძის მაღალჩინოსანი ნათესავების "შავ სიას", რომელიც აჭარის უმაღლესი საბჭოს "ნაციონალმა" დეპუტატმა ეკა ხერხეულიძემ შეადგინა, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ამ სიაში მოხვედრილი ჩინოვნიკების ნაწილი მისი ნათესავები არ არიან. "ვინც ჩემი ნათესავია, მათზე რეაგირებას აუცილებლად მოვახდენ," - დასძინა მან. **"ინტერპრესი"**

# ხუთი ალტერნატივა

პირველი გვერდიდან

შედგება შვიდი წევრისგან, ხოლო თავმჯდომარეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თანხმობით. ექვს წევრს საქართველოს პარალმენტს წარუდგენს არჩევნებში პირველი სამი საუკეთესო შედეგის მქონე პარტია ან ბლოკი. კომისიის წევრების დამნიშნავის სუბიექტი საქართველოს პარალმენტს წარუდგენს თითოეულ ადგილზე ორ კანდიდატს და აირჩევა ის კანდიდატი, ვინც მიიღებს ამ ორი კანდიდატიდან ხმათა მეტ რაოდენობას.

"არასამთავრობო ორგანიზაციათა სამუშაო ჯგუფის" მიერ მომზადებული წინადადებების თანახმად კი, უნდა შეიქმნას ეროვნული საარჩევნო ინსტიტუტი, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოსა და საარჩევნო ადმინისტრაციებისაგან. ამ უკანასკნელში შევლენ აღმასრულებელი დირექტორი, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიები, საოლქო საარჩევნო კომისიები, საუბნო საარჩევნო კომისიები. სამეთვალყურეო საბჭოს აირჩევს პრეზიდენტის მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია. კომისია შეარჩევს საუკეთესო 27 კანდიდატურას და წარუდგენს პრეზიდენტს. პრეზიდენტი ამ კანდიდატებიდან შეარჩევს 18-ს პარლამენტში წარსადგენად. პარლამენტი კი აირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს ცხრა წევრს.

რაც შეეხება "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" მოსაზრებას (აქვე შევნიშნავთ, რომ არ არის გამორიცხული, ოპოზიციურმა პარტიებმა მხარი უკანასკნელ წუთს სწორედ ამ ვარიანტს დაუჭირონ), საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია უნდა შედგებოდეს ცხრა წევრისაგან. კომისიის წევრებს ირჩევს საქართველოს პარლამენტი. თავად პროცედურა კი შემდეგნაირად განხორციელდება: საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომიტეტს ცსკო-ს წევრობის კანდიდატებს წარუდგენენ საქართველოს პრეზიდენტი და ბოლო საპარლამენტო არჩევნებში ოთხი საუკეთესო შედეგის მქონე პარტია ან ბლოკი. ცსკო-ს წევრობის კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც არ არის რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი.

არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალი თაობა - ახალი ინიციატივის" მოსაზრებით, ცსკო-ს წევრებს, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, ირჩევს საქათრველოს პარლამენტი. სწორედ მათი შემადგენლობიდან აარჩევს პრეზიდენტი კომისიის თავმჯდომარეს და დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგენს. ცსკო არის პროფესიული და ცსკო-ს წევრების კანდიდატურების შერჩევა ხდება ღია კონკურსის გზით.

მოკლედ, ვარიანტები სხვადასხვაგვარია. თუმცა, როგორც პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში აცხადებენ, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ შეთანხმება შედგეს.

უცხოეთი

# ბაქოში არეულობას ელიან



*მოკლული ჟურნალისტი ელმარ ჰუსეინოვი.*

*ოთხშაბათს ღამით საკუთარი სახლის სადარბაზოსთან მოკლეს აზერბაიჯანის ოპოზიციური ჟურნალის - "მონიტორის" მთავარი რედაქტორი ელმარ ჰუსეინოვი. არ არის გამორიცხული, რომ ამ მკვლელობამ აზერბაიჯანში ოპოზიციური ტალღის აგორება გამოიწვიოს. ყოველ შემთხვევაში, ოპოზიციის წარმომადგენლები ამის შესახებ უკვე აკეთებენ მინიშნებებს.*

ბაქოს პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მაგერამ ალიევის ინფორმაციით, 38 წლის ელმარ ალიევს შვიდჯერ ესროლეს, ორი ტყვია მას გულის არეში აქვს მოხვედრილი.

აზერბაიჯანის ხელისუფლება, სამართალდამცველთა ჩათვლით, წინასწარ ცდილობს, გაანეიტრალოს ის ბრალდებები, რომლებსაც, სავარაუდოდ, მათ წაუყენებენ ოპოზიციონერი ჟურნალისტის მკვლელობის გამო.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა სასწრაფოდ მოწვეულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე ჟურნალისტის მკვლელობას სახელმწიფოს წინააღმდეგ დაგეგმილი სერიოზული პროვოკაცია და აზერბაიჯანის დემოკრატიულ განვითარებაზე თავდასხმა უწოდა. მანვე აღნიშნა, რომ აზერბაიჯანში თითოეული ჟურნალისტის უფლებებს, მიუხედავად მისი პოზიციისა, სახელმწიფო იცავს.

**"არ გამოვრიცხავთ, რომ მკვლელობა შეკვეთილია, თუმცა სხვა შესაძლო ვერსიებსაც განვიხილავთ. დიდი შესაძლებლობა არსებობს იმისა, რომ მკვლელობა პროვოკაციის მიზნით მოხდა. ეს დანაშაული ხომ სახელმწიფოს იმიჯის წინააღმდეგაა მიმართული,"** - აცხადებს ბაქოს პოლიციის შეფი.

აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა და ეროვნული უშიშროების სამინისტროებისა და გენერალური პროკურატურის მიერ გაკეთებულ ერთობლივ განცხადებას კი გაფრთხილებაც ახლავს. განცხადებაში ნათქვამია:

**"აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ბრძანება გასცა, დაჩქარდეს ამ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობის გახსნა და, ამასთანავე, გამკაცრდეს კონტროლი ქვეყანაში ოპერატიულ სიტუაციაზე."**

"მონიტორი" აზერბაიჯანში მართლაც დიდი პოპულარობით სარგებლობს. ჟურნალი რამდენჯერმე დაიხურა; სასამართლო გამოცემას პერიოდულად ჯარიმის გადახდას აკისრებდა, მაღალი თანამდებობის მქონე პოლიტიკოსებისა და გავლენიანი ბიზნესმენების მამხილებელი სტატიების გამოქვეყნების გამო.

ძალოვანი სტრუქტურები, ასევე, მოუწოდებენ, ელმარ ჰუსეინოვის მკვლელობა **"არ გამოიყენონ პოლიტიკური მიზნებისთვის, კერძოდ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის დასაძაბად და ქვეყანაში დაპირისპირების ასაგორებლად."**

მკვლელობის ადგილი მოინახულეს საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოების წარმომადგენლებმა და ოპოზიციის ლიდერებმა.

მიუხედავად ხელისუფლების განცხადებებისა, ოპოზიციური პარტიის – აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის - ლიდერი ალი ქერიმლი მიიჩნევს, რომ მკვლელობა პოლიტიკური მოტივით მოხდა და ჰუსეინოვის დაკრძალვის ცერემონიაზე აქციის მოწყობასაც გეგმავს. მისი თქმით, **"ელმარ ჰუსეინოვი ჰეიდარ ალიევის პრეზიდენტობისას ერთხელ უკვე იყო დაპატიმრებული და იგი მხოლოდ საზოგადოებრივი ზეწოლის შედეგად გაათავისუფლეს. დიდი ხანია, ნათელია, რომ ხელისუფლებას მასთან გასწორება სურს. ეს ტერორი სახელისუფლებო ორგანოების თანხმობითა და დახმარებით არის ორგანიზებული და აზერბაიჯანში დიქტატურის გამკაცრებაზე მიუთითებს."**

ელმარ ჰუსეინოვს დღეს დაკრძალავენ. **"ჩვენ ყველაფერს ისე მოვაწყობთ, რომ მთელმა მსოფლიომ დაინახოს ხალხის სიძულვილი მმართველი რეჟიმისადმი. ოპოზიციას ამ ხელისუფლების დემოკრატიულად გადაყენების სურვილი გააერთიანებს,"** - აცხადებს ქერიმლი.

*24 საათი*

# სახიფათო ტენდენცია დიდ ბრიტანეთში

გაერო-ს მონაცემებით, ევროპის მასშტაბით დიდი ბრიტანეთი პირველ ადგილს იკავებს პოლიციის მიერ ამოღებული ნარკოტიკების (ჰეროინის) რაოდენობით, ხოლო ნარკომანების რიცხოვნობით იგი მესამე ადგილზეა. თუ ექსტაზის მოყვარულთა რაოდენობით დიდი ბრიტანეთი მხოლოდ ჩეხეთსა და ირლანდიას ჩამორჩება, ამფეტამინის მომხმარებელთა რაოდენობით, იგი უდავო ლიდერია.

გარდა ამისა, გასული წლის განმავლობაში ბრიტანეთის სამეფოში კოკაინის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდის ტენდენციაც დაფიქსირდა, მაშინ, როცა ევროპის დანარჩენი ნაწილის მოსახლეობა მხოლოდ ამფეტამინის გამოყენებასაც სჯერდება. გაერო-ს ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო საბჭოს 2004 წლის ანგარიშის თანახმად, დიდ ბრიტანეთში ჰეროინის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა ავღანეთში ამავე ნარკოტიკის წარმოების ზრდის პარალელურად მოხდა. ჰეროინის 90 პროცენტი ევროპაში, კერძოდ კი, დიდი ბრიტანეთში სწორედ ავღანეთიდან ხვდება. სახიფათო ტენდენციის დაძლევის მიზნით, მიმდინარე წელს დიდი ბრიტანეთი 52 მლნ. ფუნტი სტერლინგის გამოყოფას აპირებს. ნარკოტიკებთან ბრძოლის პროგრამა, ძირითადად, ამ მიმართულებით პოლიციის სპეციალური ქვეგანყოფილების შექმნასა და ფერმერებისთვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში დახმარებას ისახავს მიზნად.

გასული წლის განმავლობაში ავღანეთში ჰეროინის პროდუქციის მოცულობამ 4 200 ტონას მიაღწია, რაც 2003 წლის 800 ტონასთან შედარებით ფრიად საგანგაშო სიგნალს წარმოადგენს. ნარკოპროდუქციის წარმოებასთან ბრძოლა ავღანეთში დისლოცირებული კოალიციური ძალების პრიორიტეტს წარმოადგენს. საბჭოს პრეზიდენტის პროფესორ ჰამიდ გოძეს თქმით, "თუ ავღანეთს არ სურს, საბოლოოდ იქცეს ნარკოსახელმწიფოდ, რომლის რისკიც საკმაოდ მაღალია, მას განვითარების ამ ალტერნატივასთან საბრძოლველად სასწრაფო ღონისძიებები სჭირდება". თუმცა, დამოუკიდებლად ამ რთული ამოცანის შესრულება ავღანეთს გაუჭირდება, სწორედ ამიტომ, დღეს ამ თემისადმი სპეციალურად მიძღვნილ პრესკონფერენციაზე ლონდონში ჰამიდ გოძე თხოვნით მიმართავს საერთაშორისო საზოგადოებას, დაეხმარონ ავღანეთს ნარკოტიკების პრობლემასთან ბრძოლაში.

*24 საათი*

## სომხეთის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი თანამდებობაზე მეორე ვადით აირჩიეს

სომხეთის პარლამენტმა ცენტრალური ბანკის მოქმედი პრეზიდენტი ტიგრან სარქისიანი ხმათა უმრავლესობით მეორე ვადით თანამდებობაზე დაამტკიცა. სომხეთის საბანკო კანონმდებლობა, საქართველოს მსგავსად, ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის 7 წლიანი ვადით არჩევას ითვალისწინებს. ტიგრან სარქისიანი ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელად პირველი ვადით 1998 წელს დაამტკიცეს. მეორე ვადით მისი კანდიდატურა საკანონმდებლო ორგანოს ქვეყნის პრეზიდენტმა რობერტ კოჩარიანმა წარუდგინა. *24 საათი*

## "კავკასიონი" ისევ გამორთულია

"კავკასიონის" ელექტროგადამცემი ხაზი კვლავ დაზიანებულია. შესაბამისად, რუსეთიდან დენის იმპორტი შეწყვეტილია. როგორც კომპანია "საქრუსენერგოს" გენერალურმა დირექტორმა შოთა მაისურაძემ განაცხადა, ხაზი 2 მარტს, 23 საათზე დაზიანების გამო გაითიშა. ხაზი, სავარაუდოდ, ცენტრალურ კავკასიონზეა დაზიანებული, რაც დიდთოვლობამ და ზვავებმა გამოიწვია. ამჟამად დაზიანების აღმოჩენის მიზნით გაგზავნილია ოპერატიული ჯგუფი, თუმცა, როგორც მაისურაძემ აღნიშნა, კლიმატური პირობების გამო, საეჭვოა მათ დაზიანების ადგილამდე მიაღწიონ.

როგორც სახელმწიფო ელექტროსისტემაში განაცხადეს, რუსეთიდან დენის იმპორტის შეწყვეტამ, რომელიც 360 მეგავატის, ხოლო პიკზე 420 მეგავატის ოდენობით ხორციელდებოდა, სისტემაში დეფიციტი შექმნა; მაგრამ იგი გარკვეულწილად დააბალანსა ენგურჰესზე ელექტროენერგიის გამომუშავების გაზრდამ, რაც ჰესზე წყლის დონის მომატებამ გამოიწვია.

შეზღუდვები არ ვრცელდება თბილისის მოსახლეობაზე. შეზღუდულია მხოლოდ რეგიონები. **მედია-ნიუსი**

## "გაზპრომისა" და "როსნეფტის" გაერთიანება შეფერხდა

*"გაზპრომისა" და "როსნეფტის" გაერთიანების საკითხი საქართველოსთვის განსაკუთრებით საინტერესოა. მით უმეტეს მაშინ, როცა მაგისტრალური გაზსადენების მომავალი მფლობელი სწორედ ეს გაერთიანებული კომპანია შეიძლება გახდეს.*

"გაზპრომისა" და "როსნეფტის" შეერთების საკითხი მიმდინარე წლის ივნისამდე გადაიდო. ასეთი შინარსიის განცხადება, გუშინ მთავრობის სხდომაზე "გაზპრომის" მმართველი ჯგუფის ხელმძღვანელმა ალექსეი მილერმა გააკეთა. მისივე სიტყვებით, **"ჩვენ ვგეგმავთ, რომ კომპანიების დე-იურე და დე-ფაქტო გაერთიანება უახლოეს რამდენიმე თვეში დასრულდება".** არადა თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, ჯერ კიდევ ოთხშაბათს თითქმის მთელი დღე რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ავრცელებდნენ მილერის განცხადებას, რომლის მიხედვითაც ორი კომპანიის გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილება საბოლოოდ იქნა მიღებული.

ორი კომპანიის გაერთიანების საკითხის რამდენიმე თვით გადავადების ოფიცილურ მიზეზად გუშინ კომპანიების მიერ წარმოდგენილი საინვესტიციო პროექტი და ფინანსური გეგმები დასახელდა. მილერმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საინვესტიციო პროგრამა, რომელიც დაკავშირებულია "გაზპრომისა" და "როსნეფტის" აქტივების კონსოლიდაციასთან, მიღებულ იქნა "კონსერვატული სცენარით".

**"სწორედ ამის გამო საინვესტიციო პროგრამის კორექტირებაზე ჩვენ მხოლოდ 2005 წლის მეორე ნახევარში შეგვიძლია ვისაუბროთ",** - ხაზგასმით აღნიშნა მილერმა. მან ასევე დასძინა, რომ საინვესტიციო პროექტში შეტანილი ცვილებები აუცილებლდ წარედგინება ქვეყნის ხელისუფლებას შესათანხმებლად.

მილერმა ჟურნალისტებს გუშინ კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ამ გარიგებით "როსნეფტი" საკუთარი აქციების 100 პროცენტს "გაზპრომის" აქციების 10.7 პროცენტზე ცვლის, მხოლოდ ერთი პირობით - ამ გარიგებაში არ მონაწილეობს "იუგნეფტი". უფრო დეტალურად, გარიგების ეს სქემა ითვალისწინებს "როსნეფტის" აქციების ჩადებას სახელმწიფო კომპანია "როსნეფტგაზში" და მისი საშუალებით "გაზპრომის" აქციებზე გაცვლას.

ერთი საინტერესო დეტალი, გუშინ სანამ მთავრობის სხდომა დაიწყებოდა, მილერმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს ასეთი რამ განაცხადა: **"ხელისუფლების წარმომადგენლებს ვთხოვთ, რომ ხელი მოაწერონ დირექტორთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ საინვესტიციო პროგრამას და საფინანსო გეგმებს".**

მილერმა ჟურნალისტებს შეახსენა, რომ "გაზპრომი", რომელიც არის "სახალხო კომპანია", წლის დასაწყისიდან დღემდე დაუმტკიცებელი დოკუმენტებით მუშაობს. რუსეთის ფედერაციის ფინანსთა მინისტრმა მილერს შესთავაზა, რომ ჯერჯერობით თავი შეეკავებინათ ფინანსური გეგმისა და საინვესტიციო პროგრამის დამტკიცებისგან და ის დასამუშავევლად გაეგზავნოს მის სამინისტროს. ამის შესახებ ალექსეი კუდრინმა გუშინდელი მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მინისტრმა ასვე განაცხადა, რომ საჭიროა დროულად დამტკიცდეს ბიუჯეტი, იმისათვის, რომ "გაზპრომმა" სათანადოდ იმუშაოს.

საკუთარი აზრი "გაზპრომის" 2005 წლის ფინანსურ გეგმებთან დაკავშირებით მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა მიხეილ ფრადკოვმაც დააფიქსირა. მისი თქმით დირექტორთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროგრამა არასრულყოფილია და ის გარკვეულ კორექტირებას აუცილებლად საჭიროებს. ფრადკოვმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ "გაზპრომის" საინვესტიციო პროგრამა არ უნდა იქნეს ცალკე მსჯელობის საგანი, არამედ ის მთლიანობაში, გაზის სექტორში უნდა იყოს განხილული. *24 საათი*




## ყულევის ტერმინალი 2006 წელს ამოქმედდება

დიანა ჩაჩუა

*გუშინ საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში ყულევში მშენებარე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადამტვირთავი საზღვაო ტერმინალის პირველი პრეზენტაცია გაიმართა. შეძლებს თუ არა ყულევის ტერმინალი, კონკურენცია გაუწიოს ბათუმის ნავთობტერმინალს, მინიმუმ ხუთ წელიწადში გაირკვევა. მანამდე კი, ტერმინალის ახალი საინვესტიციო კონსორციუმის წევრებმა საზოგადოებას მათი 5-10-წლიანი საინვესტიციო სტრატეგია გააცნეს.*



*ბიზნესმენთა ფედერაციაში ყულევში მშენებარე ტერმინალის პრეზენტაცია გაიმართა.*

2006 წლის ივნისისთვის ყულევის ნავთობტერმინალი პირველ ტვირთებს გაატარებს - ასეთი გახლდათ გუშინ გაჟღერებული შეპირება. ყულევში თანამედროვე საერთაშორისო დონის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადამტვირთავი საზღვაო ტერმინალის აშენება; თხევადი გაზის ტერმინალის მშენებლობა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება; მშრალი ტვირთებისთვის ახალი ნავსადგურის მშენებლობა; საქართველოს სარკინიგზო სისტემის განვითარება; ახალი სარკინიგზო საშუალებების შეძენა და საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე სასაწყობო ქსელის განვითარება, - ასეთი სამოქმედო გეგმით შეეცდება ბადრი პატარკაციშვილის საინვესტიციო კონსორციუმი ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადამტვირთავი საზღვაო ტერმინალის ბაზარზე დამკვიდრებას. როგორც კონსორციუმის წარმომადგენელმა დეივიდ მაკკრანორმა აღნიშნა, ყოველივე ეს საბოლოო ჯამში თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნას შეუწყობს ხელს.

**"პროექტის განხორციელება უზრუნველყოფს ტვირთების იმპორტ-ექსპორტს კასპიის რეგიონიდან, რუსეთიდან, საქართველოდან ევროპისკენ და პირიქით. რაც მთავარია, იგი საქართველოში ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის,"** - დასძინა მაკკრანორმა. საბოლოო ჯამში, ყულევის ტერმინალის მშენებლობაში ერთი მილიარდი დოლარის ინვესტიცია განხორციელდება.

ნავთობტერმინალის მშენებლობის პროექტი ორ ეტაპად წარიმართება. პირველი ეტაპი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადამტვირთავი საზღვაო ტერმინალის მშენებლობას ითვალისწინებს, რომლის დასრულებაც 2006 წლის პირველ ნახევარში იგეგმება, ხოლო **"თუ პირველი ეტაპი წარმატებით განხორციელდება და მთავრობა გვერდში დაგვიდგა, ყულევის ტერმინალს გავაფართოებთ და განვავითარებთ",** - განაცხადა დევიდ მაკკრანორმა. თუმცა, ახალ საინვესტიციო კონსორციუმს მეორე ეტაპზე მოქმედების გეგმაც აქვს შემუშავებული. ეს უკანასკნელი 2 - 4 წელზეა გათვლილი, რომლის განმავლობაშიც თხევადი გაზის ტერმინალის მშენებლობა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და მშრალი ტვირთებისთვის ახალი ნავსადგურის მშენებლობა იგეგმება.

საინვესტიციო კონსორციუმის წარმომადგენლის განცხადებით, ამ ეტაპზე მშენებლობის პროცესში 1800 ადამიანია დასაქმებული, თუმცა ტერმინალის ამოქმედების შემდეგ იქ 550 მუდმივი სამუშაო ადგილი შეიქმნება, სადაც საშუალო ხელფასი 300 დოლარი იქნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ნავთობის ტერმინალის მშენებლობა 1999 წელს დაიწყო, თუმცა ქვეყანაში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო, 2001 წელს შეჩერდა. **"ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ინვესტორთა ნდობა აღდგა და ტერმინალის მშენებლობა 2004 წლის სექტემბერში განახლდა,"** - განაცხადა ყულევის ტერმინალის გენერალურმა დირექტორმა სპარტაკ ერაგიამ. ცნობისათვის, ტერმინალის გაჩერებამდე საქართველოს ბიუჯეტში პროექტიდან 5-6 მილიონი ლარი შევიდა, ხოლო ამჟამად ყოველთვიურად 400-500 ათასი ლარი შედის.

## 5 მარტს თბილისს ანდრეი რაპოპორტი ეწვევა

*კომპანია "რაო ეესის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ანდრეი რაპოპორტი 5 მარტს თბილისს ეწვევა. საგულისხმოა, რომ ეს ვიზიტი ემთხვევა საქართველოს ხელისუფლების განაცხადს ელექტროენერგეტიკული ობიექტების სასწრაფო პრივატიზაციის შესახებ. თუმცა, ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ აღნიშნულ ვიზიტს პრივატიზაციასთან კავშირი არ აქვს.*

ოფიციალური ინფორმაციით, დაგეგმილია ანდრეი რაპოპორტის შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან და ენერგეტიკის მინისტრ ნიკა გილაურთან. რაპოპორტის თბილისში ვიზიტის დროს საუბარი შეეხება კომპანია "რაო ეესთან" ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას.

ენერგეტიკის მინისტრ ნიკა გილაურის განცხადებით, ახალ მემორანდუმში გათვალისწინებული იქნება ამჟამად მოქმედი იმ ფინანსური სქემის დაშლა, რომელიც კომპანია "თელასს", საბითუმო ბაზარსა და "მტკვარი-ენერგეტიკას" შორის არსებობს. **"აღნიშნული სქემა ჩათვლის მექანიზმს გულისხმობს, რაც გასაუქმებელია. კომპანია "თელასმა" პირდაპირი ხელშეკრულებები უნდა გააფორმოს გენერაციის ობიექტებთან, "საქრუსენერგოსთან" და "სახელმწიფო ელექტროსისტემასთან",** - განაცხადა გილაურმა "ინტერ-პრესთან" საუბრისას.

რაპოპორტის ვიზიტისას ასევე განიხილება ენგურჰესის გვირაბის რეაბილიტაციის პერიოდში საქართველოს ელექტრომომარაგების საკითხი. ამ პერიოდში აფხაზეთმა ელექტროენერგია რუსეთიდან, 220 კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის "სალხინოს" მეშვეობით უნდა მიიღოს.

რაც შეეხება "ენგურჰესის" რეაბილიტაციას - საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაურმა ხუთშაბათს ენგურჰესზე აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებები გამართა.

გილაურის განმარტებით, საუბარი აფხაზური მხარისაგან რეაბილიტაციის პერიოდში უსაფრთხოების გარანტიების მიღებას და სამთვიან პერიოდში აფხაზეთის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხის მოგვარებას შეეხება.

**"სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას აფხაზურმა მხარემ მუშა-მოსამსახურეების, სპეციალისტების და კონსულტანტების უსაფრთხო გადაადგილება უნდა უზრუნველყოს. აფხაზეთის ელექტრომომარაგება კი ელექტროგადამცემი ხაზი "სალხინოს" მეშვეობით, რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის ხარჯზე მოხდება",** - განაცხადა მინისტრმა.

*24 საათი*

*საბიუჯეტო მონიტორინგი*

## ბიუჯეტის არათანაბარი დაგეგმვა ეკონომიკურ რყევებს იწვევს

EPRC
Economic Policy and Research Center
01 79, თბილისი, საქართველო, www.eprc.ge

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"

თებერვლის თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზი იყო 109,9 მილიონი ლარი, რომელიც შესრულდა 9,5 მილიონი ლარის გადაჭარბებით. მათ შორის საპროგონოზო მაჩვენებლები საგადასახადო დეპარტამენტმა - 4 მილიონი ლარით, ხოლო საბაჟო დეპარტამენტმა - 3,4 მილიონი ლარით შეასრულეს. ასევე გადაჭარბებით შესრულდა არასაგადასახადო შემოსავლების გეგმა - 1,2 მილიონი ლარი. ხოლო პრივატიზაციიდან შემოსავალმა გადააჭარბა თებერვლის თვის გეგმას 840 ათასი ლარით. გრანტების მიღება ამ თვეში არ ყოფილა დაგეგმილი და, შესაბამისად, გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტს არც მიუღია.

რაც შეეხება ხარჯებს - ორი თვის მონაცემებით, დახარჯულია 288,3 მილიონი ლარი, რაც მთლიანად კვარტლის გეგმის 53 პროცენტს შეადგენს. როგორც ადრე ვიუწყებოდით, კვარტლის გეგმის შესასრულებლად საჭირო იქნება მხოლოდ მარტის თვეში გაიწიოს 251,5 მილიონი ლარის ხარჯი, რაც ორ თვეში დახარჯული თანხის თითქმის იდენტურია.

ყველაზე დიდი მაჩვენებელი ხარჯების კლასიფიკატორის მიხედვით აქვს კაპიტალურ ხარჯებს, რაც მთელი ხარჯის 70 პროცენტს შეადგენს.

წინა წლისგან განსხვავებით, აღარ ხდება ხაზინაში თანხების




დაგროვება და გარდამავალი ხარჯი ხაზინაში არის 23,6 მილიონი ლარი, რაც სავსებით მისაღები მაჩვენებელია.

რაც შეეხება წლების მიხედვით გამოკვეთილ დინამიკას: მაგალითად 2003 წლის თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულდა-65,4 მილიონი ლარი, 2004 - 98,5 მილიონი ლარი, ხოლო წელს არის 119,4 მილიონი ლარი.

აღსანიშნავია, რომ 2003 წლის ყველაზე დიდი შემოსავალი დეკემბერში იყო 119,5 მილიონი ლარი, ხოლო როგორც დინამიკა გვიჩვენებს, იანვრის და თებერვლის მაჩვენებლები წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი მაჩვენებლებია.

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2004 წლის 24 დეკემბრის N720 გადაწყვეტილებაში "საეთერო საერთო ტელემაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ" ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიის 2004 წლის 24 დეკემბრის №720 გადაწყვეტილებით გამოცხადდა კონკურსი საეთერო საერთო ტელემაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად ერთი გადამცემის გამოყენებით, მე-4 სამაუწყებლო ზონაში.

კომისია აღნიშნავს, რომ 2005 წლის 18 იანვარს ძალაში შევიდა "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც ითვალისწინებს ტელერადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის კონკურსის წესით გაცემის ახალ პირობებსა და პროცედურებს. შესაბამისად კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილებისა და დამატებების შეტანა "საეთერო საერთო ტელემაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ" კომისიის 2004 წლის 24 დეკემბრის №720 გადაწყვეტილებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, კომისიამ

**გადაწყვიტა:**

1. "საეთერო საერთო ტელემაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ" კომისიის 2004 წლის 5 ნოემბრის №590 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი რედაქციის ცვლილებები:

ა) გადაწყვეტილების პირველ პუნქტის "დ" და "ე" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დ) კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს 2005 წლის 3 ივნისის 13:00 საათი;

ე) ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოხდეს 2005 წლის 4 მარტის 17:00 საათამდე;"

ბ) გადაწყვეტილების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის"გ[1]" "გ[2]" და "ვ" ქვეპუნქტი:

გ[1]) მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა განისაზღვროს 5 საათით;

გ[2]) პროგრამირების მინიმალური მოთხოვნებია:

1. ქართული მხატვრული ფილმები;
2. საინფორმაციო გადაცემები;
3. გასართობი გადაცემები;
4. შემეცნებითი გადაცემები;
5. სპორტული გადაცემები;
6. საბავშვო გადაცემები;
7. იუმორისტული გადაცემები.

ვ) მოსამზადებელი სხდომის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2005 წლის 11 მარტი;"

გ) გადაწყვეტილების მე-5, მე-6, მე-17 და მე-18 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"5. ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მიღება, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ემე-2 პუნქტის შესაბამისად, ეკრძალება:

ა) ადმინისტრაციული ორგანოს, ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირს ან თანამშრომელს;

ბ) ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირს;

გ) პოლიტიკური პარტიას, პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირს.

6. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება პროგრამირების ასპექტის მიხედვით. პროგრამირების ასპექტის მიხედვით კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისას მხედველობაში მიიღება:

ა) შემოთავაზებული პროგრამების მრავალფეროვნება და აუდიტორიის ინტერესებთან შესაბამისობა;

ბ) მომსახურების ზონის აუდიტორიისათვის ხელმისაწვდომი სხვა მაუწყებელთა პროგრამების არსებობა.

17. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია დაიცვას "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.

18. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია დაიწყოს პრაქტიკული საქმიანობა და მაუწყებლობის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს მისთვის ლიცენზიით განსაზღვრული სამაუწყებლო ზონის სრულად დაფარვა 2 წლის ვადაში;"

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს გადაწყვეტილების მე-7, მე-8, მე-9, მე-11, და მე-13 პუნქტები;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საოლქო სასამართლოში (ქ.თბილისი, რობაქიძის გამზ. 7ა) ექვსი თვის ვადაში;

BR ბანკი რესპუბლიკა




ბანკი "რესპუბლიკა"
ყველაზე ეფექტური
ფინანსური ინსტიტუტი

2004 წელი
აქტივები = 129 028 334
გადასახდელი გადასახადები = 2 917 950
წმინდა მოგება = 6 529 776

ბანკი "რესპუბლიკა", თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 294598 ფაქსი: 227566 www.republic.ge

# ნაგვის აპოლოგია და ამით გულმოცემული პესიმისტები, დარდიანი ოპტიმისტები, გახარებული მედროვეები

ნატო ამონაშვილი-თევზაძე

*"რევოლუციის შემდეგ, სერბეთში ისევ იგივე ნაგავია, გვაინტერესებს რა ხდება თქვენთან," - თქვა სერბმა ჟურნალისტმა ორიოდე დღის წინათ ქართულ ტელეეთერში.*

ეჰ, რა გითხრათ, რით გაგახაროთ; ნაგავი? ჩვენშიც ყელამდეა - ნაგავი ქუჩებში, ნაგავი ურთიერთობებში, ნაგავი ცნობიერებაში, ნაგავთან გაიგივებული სახეები, ნაგავი არჩევანში და დანიშვნაში და ასე შემდეგ.

რა საჭირო იყო რევოლუცია, თუ ის ნაგვიდან არ გამოგვიყვანდა? - შესაძლებელია ფილმიდან სიტყვების ასეთი პერიფრაზირება. ამასთან აქტუალურია დიფერენცირებაც, მაგალითად ნაგავი, რომელსაც სასიამოვნო სუნი უდის, ან კიდევ - კარგად შეფუთული ნაგავი, ანდა ლანგარზე დახვავებული, ადვილად ველარ იტყვიან - ფუ, რა საზიზღრობააო!

ისმის რიტორიკული კითხვაც - რა საჭიროა ამდენი ნაგავი, ამან ხომ შეიძლება უბრალოდ დაგვახრჩოს?

აბა სად წავიღოთ, რა მოვუხერხოთ, ბევრია ძალიან - იტყვის მავანი. რომ არ ყარდეს, თვალსაც არ გვჭრიდეს, თანხები მივაშველოთ, თანამდებობები, ლობირებაც აუცილებლად დასჭირდება; ყველაფერ ამას კი ის მოჰყვება, რომ შეიფუთება, ნელსაცხებელში ამოევლება და იქნებ ველარც მიხვდეთ, რომ ეს იგივე ნაგავია. თუნდაც გამჭრიახობამ იძალოს თქვენში, არაფერია, ნუ შეშფოთდებით, თავის თავსა და ზოგიერთს ხომ მაინც მოატყუებს და სხვაგვარად მოაჩვენებს რეალურს.

ესეც გამოსავალი! რაო, თქვენთან სერბეთში ასე არ ფუთავენ? თუ გაიხსნა ყველა ფუთა და შიშველ ნაგავს გაუსწორეთ თვალი?

ტყუილიც ნაგავია, მოჩვენებითობაც, სიყალბეც და ორმაგი თუ ოთხმაგი სტანდარტებიც. მაგრამ ყველაფერ ამას თურმე მოითხოვს თამაშის წესები! და რადგანაც ნაგავი შიშველია, ზედმეტად ნატურალისტური, გულისამრევია, ამიტომ ცხადდება ტენდერი მის შეფუთვაზე; ბევრის გასაკვირად ტენდერში გამარჯვებული ხელისუფლებაა, არჩეული და ქვეყნის, უკაცრავად ამ შემთხვევაში - ნაგვის დიდი გულშემატკივარი (მოვლენებმა როგორც გვიჩვენეს!)

ამ თამაშის წესები ასეთი ყოფილა - ყველაფერი უნდა გახდეს ნაგავთან წილნაყარი! კომპრომისებით, ზეწოლით და ყველა სხვა მეთოდით, რადგან როდესაც პატიოსნებასა და პრინციპულობასაც სულ ოდნავ მაინც იგივე სუნი აუვა, მაშინ იზეიმებს საბოლოო გამარჯვებას ნაგავი, მაშინ გადმოგვხედავს ამაყად და ალბათ კატეგორიულად მოითხოვს კიდეც - ვინც დარჩა დაუნაგვიანებელი, დაისაჯოს! ვინც ეურჩა ამ თამაშის წესებს, არ იგუა ნაგავთან თანაზიარობა და შინაგანი ერთობა (ანდა პირიქით, ნაგავმა ვერ იგუა მსგავსების პრინციპით). ამისთვის ამოქმედდა უკეთური ძალები, ამუშავდა ჯოჯოხეთური მანქანები, ზოგგან ფულმა გაანათა, ზოგგან ახლობლობამ, ზოგმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, ზოგსაც არჩევანი არ დაუტოვეს და:

ირონიულად ილიმებიან პესიმისტები - ასეც ვიცოდით, მეტს არაფერს მოველოდით, არანაირი ილუზია არ გვქონდაო; გული ეწურებათ ოპტიმისტებს - თავს ვერ პატიობენ მხარდამჭერ სიტყვებსა თუ საქმეებს, სამაგიეროდ დიდად ბედნიერად გრძნობენ თავს მედროვეები, კარიერისტები, ოპორტუნისტები და ა.შ.

ორმაგი თამაშების ორმაგი სამართალი ხომ უპირველესად მათთვისაა მომგებიანი, მათთვისაა სასიცოცხლოდ აუცილებელი, მათი შემდგომი ზეობის საწინდარია!

ჩვენ გვპირდებოდნენ, რომ საქართველოში სინდისის გარდა ყველაფერი გაიყიდებოდა, რეალურად კი მასზეა ყველაზე დიდი მოთხოვნა; გაყიდული სინდისიც ხომ ნაგვად ტრანსფორმირდება და დაბინძურების მაქსიმალურ სურათს ქმნის; ის არა მარტო იყიდება, არამედ გადაიცვლება კიდეც კეთილდღეობაზე, ხელშეუხებლობაზე, სახელსა თუ სახრავზე;

გიხაროდეთ უსინდისოებო, თქვენს ნაკლს მალე ველარავინ შეამჩნევს, გარიგებები ხომ თითქმის ყველა სფეროში მიღწეულია! მლიქვნელებო, სინდისგარეცხილებო, თქვენი დროა (ან კი როდის არ იყო?), თქვენ გაიხარეთ!

უცნაური სანახავია გალაღებული ნაგავი, ძალაუფლებამიცემული და გაამაყებული. რაღაც უხერხულობა მაინც შეიგრძნობა აქა-იქ და ამიტომაც ხელისუფლების წარმომადგენელნი ზოგჯერ ფსიქოთერაპიის საჯარო სეანსებს მართავენ - დაიჯერეთ რომ კარგადა ხართ, უკეთესობისკენ მიდიხართ, სულ ოდნავი კორექციაღა გჭირდებათ და მალე პრობლემებსაც ველარ იგრძნობთ...

მაგრამ არც ისე ადვილია იგნორირება ნაგვისა და არშემჩნევა, რომ რაღაცა დალპა ქართულ სახელმწიფოში; ნაგავი ხომ ჩვეულებრივ ტემპერატურაზე დიდხანს ვერა ძლებს და კიდევ უარესად იხრწნება, რაც მეტი დრო გადის.

არის სხვა გზაც, სხვა მიმართებაც. ცივილურ ქვეყნებში ნაგავს ნაგვად არავინ ტოვებს, მას ხელმეორედ გადაამუშავებენ (საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც შესაძლოა იდენტური მიდგომა!) და თქვენ წარმოიდგინეთ მრავალ სასარგებლოსა და საჭირო რამეს ღებულობენ; მხოლოდ პირვანდელი სახის მოცილებაა საჭირო, თვისობრივად და არსობრივად შეცვლა ნაგვისა. ჩვენ რატომ ვერ ვგრძნობთ ამის აუცილებლობას, როდესაც ნაგავი ყელამდე დაგროვდა!

ანდა, ჩვენი წინაპრები ნაგავს (ორგანულს!) სასუქად იყენებდნენ და ამით კეთილ საქმეს აკეთებდნენ, ასეა დღესაც "ღვთისა და კაცისაგან მივიწყებულ" ბევრ მხარეში, ამით საზრდოობს ჩითილი, ნარგავი და ნაგავიც თავისდაუნებურად სიცოცხლის გაგრძელებას ემსახურება;

ვერც თქვენ მიაგენით ამგვარ გზებს სერბეთში? რას ვიზამთ, ნაგვის ზეობის ჟამი თუა, ბიბლიური სიბრძნის პერიფრაზირებით - ჟამი ნაგვის შეგროვებისა!

რიტორიკული კითხვებიც ზედმეტია; კი, დაგვახრჩობს; დიახ, გაგვანადგურებს; დაგვფლავს კიდეც, მაგრამ ალბათ კვლავ უნდა გამოიცადოს ეროვნული ენერგია; ამოხვალ ნაგვიდან? მიაღწევ უმწიკვლობას? მაშ ყოფილხარ ღირსი სიცოცხლისა და განახლებისა!

ერთი ძველი შეგონებისა არ იყოს - არაა საჭირო ბრძოლა (თანაც დეკლარირებული!) სისუფთავისათვის, საჭიროა მხოლოდ გამოვხვეტოთ!

მაშინ გაიხარებენ ოპტიმისტები, დანაღვლიანდებიან პესიმისტები და თავს შერცხვენილად იგრძნობენ მედროვეები...

**P. S.** გმადლობ შენ, სერბო ჟურნალისტო, რომ უკეთურებას თავისი სახელი დაარქვი, რომ მართალი აზროვნებისა და დამოკიდებულების უპირატესობა გვიჩვენე, მოჩვენებით პატივისცემასა და ღირსების დაცვაზე.

# ინატრეთ დღესასწაულები

ნანა ქადაგიშვილი



ვახო ქარელიას ფოტო

გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას 3 მარტისთვის შესაფერისი სტუმრები ჰყავდა – 50 მრავალშვილიანი დედა და მათი პატარები. ერთ-ერთ მათგანს, ხუთშვილიან ნესტან კობახიძეს 10 წლის უფროს გოგონასთან ერთად 10 დღის ნინოც მიეყვანა. ატირებულ ჩვილს, ალბათ, საკუთარ საწოლში ყოფნა და ძუძუს წოვა ერჩია, მაგრამ დედამისს გამგეობაში სტუმრობა ულირდა. ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის ხელმძღვანელობამ, მეწარმეთა დახმარებით, რაიონის 50 მრავალშვილიან დედას 100-100 ლარი და ყვავილები გადასცა და მათ პატარებს ნუგბარითაც გაუმასპინძლდა. ამ საქველმოქმედო ღონისძიებისთვის 9 საწარმომ გაიღო თანხები. დედები კი ოჯახური მდგომარეობისა და შვილების რაოდენობის მიხედვით შეარჩიეს, ანუ ყველაზე გაჭირვებულები და 4 და მეტ შვილიანები. 50 დედას შორის შვილების სიმრავლით ნინო მენაბდე გამოირჩეოდა. 42 წლის ნინოს 11 შვილი და ერთი შვილიშვილი ჰყავს. მეთერთმეტე შვილი 11 თვისაა, შვილიშვილი კი - ექვსი თვის.

ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელი ავთო დავითაძე მრავალშვილიან ოჯახებს დახმარებას მომავალ დღესასწაულებზეც ჰპირდება.

მსგავსი აქცია, ოლონდ გაუხმაურებლად, 2 მარტს ისანი-სამგორის რაიონშიც მოეწყო. რაიონის გამგებელმა გიორგი ქორქაშვილმა 50 გაჭირვებული, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედა საოჯახო ნივთებით დაასაჩუქრა. გამგეობას სპონსორობა ლილოს ბაზრობის ადმინისტრაციამ გაუწია. დასაჩუქრების შემდეგ სტუმრებს ადგილობრივი რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლების აღსაზრდელებმა კონცერტიც მოუწყვეს. ბოლოს კი საქველმოქმედო ღონისძიება მიღების დღედ გადაიქცა. მრავალშვილიანმა დედებმა შემთხვევით ისარგებლეს და გამგებელს საკუთარ გასაჭირზეც ესაუბრნენ.




# სხვის კმაყოფაზე ცხოვრება

*საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს მოსახლეობა იმ მწარე რეალობის პირისპირ აღმოჩნდა, რასაც უმუშევრობა და გაჭირვება ჰქვია. ამ პროცესზე განსაკურებულად დიდი როლი ითამაშა გასული საუკუნის 90-იან წლებში მრავალი საწარმოს გაჩერება-რეკონსტრუქციამ, რის შედეგადაც დამოუკიდებელი ქვეყნის თანმდევი, დღემდე მოუგვარებელი პრობლემა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. სწორედ ეს "არგუმენტი" გახლავთ იმის მიზეზი, რომ საქართველოში სხვის კმაყოფაზე ცხოვრობენ. არა იმიტომ, რომ თითოეულ მათგანს ამის სურვილი აქვს, არამედ დრომ და ცხოვრებამ მოიტანა.*

თამარ მაისურაძე

ადრე ვინ იფიქრებდა, რომ ოჯახის ერთ-ერთი წევრის საზღვარგარეთ, სოციალურ დევნილად წასვლა, მათი ოჯახისთვის შემოსავლის ერთადერთი წყარო გახდებოდა... დღეს კი, ჩვენს გარშემო ნაკლებად თუ მოიძებნება ისეთი ოჯახი, რომელსაც თავის შესანახად უცხოეთიდან ფულს არ უგზავნიან.

ქვეყანაში არსებულ არც თუ სახარბიელო სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას შემდეგი ციფრებიც ნათლად ასახავენ. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, 1989 წლის აღწერიდან 15 წლის განმავლობაში 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა, რომლებიც არსებობის ძირითად წყაროდ დასაქმებას ასახელებდა 64,8 პროცენტიდან 37,8 პროცენტამდე შემცირდა. სამაგიეროდ, 34 პროცენტიდან 46,2 პროცენტამდე გაიზარდა სხვის კმაყოფაზე მცხოვრებთა რიცხვი.

საქართველოს მოსახლეობის არც თუ მცირე ნაწილი — 46,2 პროცენტი სხვის კმაყოფაზე ცხოვრობს. მათ შორის, 49,9 პროცენტი ქალია.

მოსახლეობის 27,1 პროცენტისთვის არსებობის ძირითად წყაროს თვითდასაქმებით მიღებული შემოსავალი წარმოადგენს. ეგრეთ წოდებული დაქირავებით მუშაობისთვის რეგულარულ ანაზღაურებას მხოლოდ 12,6 პროცენტი იღებს, ხოლო პენსიის სახით მიღებულ შემოსავალს მოსახლეობის 10 პროცენტზე ცოტა მეტი.

როგორც ირკვევა, ჩვენს თანამემამულეთა დიდ უმრავლესობას - 86,6 პროცენტს არსებობის საშუალებათა მხოლოდ ერთი წყარო აქვთ. 12,7 პროცენტს - ორი, ხოლო ერთ პროცენტზე ნაკლებს კი სამი და მეტი. აღსანიშნავია, რომ არსებობის საშუალებათა ორი და მეტი წყარო, უპირატესად, სოფლის მოსახლეობას აქვს. ისინი, როგორც წესი არსებობის საშუალებათა მეორე წყაროდ თვლიან პირად, დამხმარე მეურნეობას, საიდან მიღებული შემოსავალიც, უმეტეს შემთხვევაში მათი ოჯახის ბიუჯეტისთვის არსებითი მნიშვნელობისაა.

სხვის კმაყოფაზე მცხოვრებთა "არმიაში" პენსიონრებიც ირიცხებიან, რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ შემნახავი ვინმე (ოჯახის წევრი და ა.შ.) ჰყავთ. 2002 წლის იანვარში ჩატარებულ მოსახლეობის აღწერისას 471 ათას 866 პენსიონერმა, (რაც საქართველოში მცხოვრებ პენსიონერთა საერთო რაოდენობის 64,5 პროცენტია), არსებობის ძირითად წყაროდ პენსია დაასახელა. უნდა ითქვას, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში პენსიონერთა მდგომარეობა მათ სასიკეთოდ არ შეცვლილა.

აქვე გეტყვით, რომ მკვეთრი განსხვავებაა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საარსებო საშუალებათა შორის, რაც ძირითადად როგორც ერთი, ისე მეორე მხარის ცხოვრების პირობებითაა გამოწვეული.

საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 42,8 პროცენტია ეკონომიკურად აქტიური. რაც შეეხება არააქტიურ 57,8 პროცენტს, მათი უმრავლესობა უმაღლესი განათლების მქონეა, ზოგიერთი მათგანი მეცნიერებათა კანდიდატი, ან დოქტორია, მაგრამ - უმუშევარია. უმუშევარი ქალების რაოდენობა კაცებისას ცოტათი აღემატება. დაუსაქმებელთა საერთო რიცხვიდან შრომისუნარიანი 97,1 პროცენტია, ხოლო მათგან ყველაზე პროდუქტიულ-(16-29) ასაკის 40 პროცენტზე მეტია.

ამ ციფრებიდან გამომდინარე ადვილი მისახვედრია, თუ რატომ უწევთ საქართველოში სხვის კმაყოფაზე ცხოვრება.

## BP-ს გენერალური მენეჯერის აღმასრულებელი ასისტენტი

საქართველოში "ბი-პი"-ს საქმიანობის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს **BP-ს გენერალური მენეჯერის აღმასრულებელი ასისტენტის** თანამდებობის დასაკავებლად.

**სამუშაოს აღწერა:**
BP-ს გენერალური მენეჯერის აღმასრულებელი ასისტენტის მოვალეობას შეადგენს BP-ს გენერალური მენეჯერის საქართველოს ოფისის ადმინისტრირება და კომპანიის შიდა და საგარეო კავშირების მართვის უზრუნველყოფა.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**
აღმასრულებელი ასისტენტის მოვალეობები მოიცავს (არ შემოიფარგლება რა ამით):
- უზრუნველყოფს გენერალური მენეჯერის შეხვედრების, საქმიანი მიღებების და სხვა საქმიანობის, მათ შორის, მივლინებების დაგეგმვას, ორგანიზებას და კოორდინირებას;
- ამზადებს გენერალური მენეჯერის სამუშაო პროცესში საჭირო წერილებს, დოკუმენტებს, პრეზენტაციებს;
- ადმინისტრაციულ დახმარებას უწევს გენერალურ მენეჯერს და უზრუნველყოფს ყველა საოფისე ფუნქციის - მათ შორის როგორიცაა სატელეფონო ზარების მიღება, კორესპონდენციის და დოკუმენტაციის მომზადება, აღრიცხვის სისტემის წარმოება - ეფექტურად წარმართვას;
- ასრულებს გენერალური მენეჯერის თარჯიმნის მოვალეობას საქართველოს სამთავრობო უწყებებთან და სამინისტროებთან, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციასთან და სხვა მხარეებთან გამართულ შეხვედრებზე, აგრეთვე პრეს-კონფერენციებსა და სხვა საჯარო ღონისძიებებზე.
- საჭიროებისამებრ ასრულებს სხვა მოვალეობებს.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**
კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:
- უფროს სამდივნო ან ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობის მინიმუმ 5 წლის გამოცდილება;
- უმაღლესი განათლების დიპლომი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- კომპიუტერულ პროგრამებთან (MS Word, Excel, PowerPoint) მუშაობის სრულყოფილი უნარ-ჩვევები.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 9 მარტი, ოთხშაბათი.**

**ყველა შემოსული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის მილსადენების პროექტი
BP ჯორჯია
საქართველო, თბილისი
საბურთალოს ქუჩა N38

# სამედიცინო დაზღვევა თბილისის სკოლების პედაგოგებისათვის

თბილისის სკოლების პედაგოგთა სამედიცინო დაზღვევისთვის ქალაქის წლევანდელ ბიუჯეტში თავდაპირველად თანხები გათვალისწინებული არ ყოფილა, მაგრამ როგორც დედაქალაქის ხელმძღვანელობა გვპირდება, ბიუჯეტში მილიონი ლარის გამოძებნას შეძლებენ. პედაგოგთა სამედიცინო დაზღვევის დაფინანსების ერთ-ერთ წყაროს სკოლების შენობების გათბობისთვის გათვალისწინებული ხარჯები წარმოადგენს. გაზაფხულზე ეს თანხები გამოთავისუფლდება. თუმცა, პედაგოგები დაზღვევას როდის და რა სახით მიიღებენ, ჯერ უცნობია. უპირველესად სამედიცინო დაწესებულებების ტენდერი უნდა გამოცხადდეს. ჯერ არც კონკურსის გამოცხადების დრო არის დანიშნული. თუმცა, როგორც ქალაქის განათლებისა და კულტურის სამსამხურის ხელმძღვანელი ნატა მაჩალაძე გვპირდება, ეს საკითხი მალე გადაწყდება. სამედიცინო დაზღვევის ფორმა და მოცულობაც ტენდერის დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

*24 საათი*

# სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების ტექნიკოსი

შპს "ბპ ექსპლორეიშნ (კასპიან სი)"- საქართველო სუფსის ტერმინალზე სამუშაოდ ეძებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირს სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების ტექნიკოსის თანამდებობაზე.

**სამუშაოს აღწერა**

**სამუშაოს მდებარეობა** - სუფსის ტერმინალი

სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების ტექნიკოსის პასუხისმგებლობის სფეროში შედის ტექნიკური უსაფრთხოების აღჭურვილობის სრულფასოვანი და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. მოცემული აღჭურვილობის გეგმიური შემოწმება და მომსახურების დროული განხორციელება. აღნიშნულ თანამდებობაზე მიღებულ პირს ევალება სუფსის ტერმინალზე მომუშავეთათვის ტექნიკური უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული სასწავლო კურსების ჩატარება, რაც მოიცავს შემდეგი საკითხების სწავლებებს: სამუშაოთა ჩატარების ნებართვები, გაზის ტესტირება, ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედებები.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

სამუშაოსთან დაკავშირებული მოვალეობები და პასუხისმგებლობა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- ჯანმრთელობის, ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი მოთხოვნების ვალდებულებათა შესრულება.
- აქტიური მონაწილეობა ASA (Advanced Safety Audit - ტექნიკური უსაფრთხოების გაღრმავებული აუდიტი) და STOP (სდექ) პროგრამებში.
- ყველა ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის, სასუნთქი აპარატების, და ტექნიკური უსაფრთხოების სხვა აღჭურვილობის გამართულობისა და საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივი გამოყენების უზრუნველყოფა მათი აუდიტის, ინსპექტირებისა და მომსახურების გზით.
- საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების გეგმების შემუშავება.
- ტექნიკური უსაფრთხოების კურსების ჩატარება სუფსის ტერმინალის პერსონალისა და კონტრაქტორებისათვის.
- შესაძლო არასასურველი შედეგების მქონე შემთხვევების გამოძიებაში მონაწილეობა.
- ჯანმრთელობის დაცვის, ტექნიკური უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის თბილისის ჯგუფისა და მილსადენის საექსპლოატაციო ჯგუფის დახმარება საჭიროებისამებრ.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

- სასურველია უმაღლესი განათლება ჯანმრთელობის დაცვის, ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სფეროში ან ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებულ დისციპლინაში
- ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებული ტექნიკური უსაფრთხოების აღჭურვილობის ინსპექტირებისა და მომსახურების გამოცდილება
- ქართული, რუსული და ინგლისური ენების თავისუფლად ცოდნა
- სამწლიანი შრომითი გამოცდილება ტექნიკური უსაფრთხოების სფეროში და სასურველია, ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებულ ინდუსტრიაში
- სასურველია პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **პარასკევი, 18 მარტი, 2005 წელი.**

**ყველა შემოსული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

კანდიდატისათვის საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია. უპირატესობა მიეცემათ ადგილობრივ კანდიდატებს.

**კადრების დეპარტამენტი**
შპს "ბპ ექსპლორეიშნ (კასპიან სი)"- საქართველო
BP ჯორჯია
აღმაშენებლის გამზირი 123ა
საქართველო, თბილისი

# ელექტროტექნიკოსი

## შპს "ბპ ექსპლორეიშნ (კასპიან სი)"- საქართველო სუფსის ტერმინალზე სამუშაოდ ეძებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირს ელექტროტექნიკოსის თანამდებობაზე

**სამუშაოს აღწერა**

**სამუშაოს მდებარეობა** - სუფსის ტერმინალი

ელექტროტექნიკოსის მოვალეობებში შედის სუფსის ტერმინალის ელექტროსისტემებისა და ელექტროაღჭურვილობის გეგმიური და გაუთვალისწინებელი მომსახურება საგანგებო შემთხვევებში., რაც გულისხმობს: სათადარიგო გენერატორის, ტრანსფორმატორების, გამანაწილებელი სისტემის, საკომუტაციო ოთახების, მაღალი ძაბვის დამცავი რელეების, ავტომატური ამომრთველების, მაღალი და დაბალი ძაბვის ძრავების და მათი დამცავი მოწყობილობების, დანადგარების სავენტილაციო სისტემების, განათების სისტემების და უწყვეტი კვების წყაროების ექსპლუატაცია და მომსახურება. ელექტროტექნიკოსი უნდა აკმაყოფილებდეს BP- is ყველა მოთხოვნას ჯანმრთელობის დაცვის, ტექნიკური უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სფეროში და ასევე უნდა მოიცავდეს ტერმინალის საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების ჯგუფის წევრის მოვალეობებს.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

ელექტროტექნიკოსი პასუხს აგებს შემოსული ნავთობის დამუშავების, ექსპორტის და საყოფაცხოვრებო სისტემების აღჭურვილობის ელექტრონული ნაწილების ყოველდღიურ მომსახურებაზე და უზრუნველყოფდეს კომპანიაში მოქმედი ნებართვების სისტემის და ჯანმრთელობის დაცვის, ტექნიკური უსფრთხოების და გარემოს დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

**პასუხისმგებლობის სფეროები**

- ჯანმრთელობის, ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი მოთხოვნების ვალდებულებათა შესრულება.
- საჭიროემისამებრ მონაწილეობა შემთხვევებისა და ინციდენტების გამოძიებაში და განსაზღვრული მოქმედებათა გეგმის უზრუნველყოფა,
- მუშაობა საექსპლუატაციო ჯგუფთან ერთად გეგმით გათვალისწინებული მომსახურების კოორდინაციის მიზნით.
- წინმსწრები მომსახურების ამოცანათა შესრულება უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად, რაც მიიღწევა მომსახურების უსაფრთხოდ და საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დაცვის საშუალებით, რაც უნდა შედიოდეს ელექტროტექნიკოსისათვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ უნარ- ჩვევებში.
- სამუშაოთა ჩატარების ნებართვების სისტემისა და იზოლაციის პროცედურების სრული და ყოვლისმომცველი გააზრებისა და ცოდნის გამოამჟღავნება. საექსპლუატაციო ჯგუფის ყოველი ცალკეული სამუშაოსათვის ნებართვების გაცემა; საჭირო დახმარების გაწევის უნარი.
- აღნუსხოს ჩატარებული სამუშაოები და ეს მოვალეობები შეასრულოს მათ შესახებ სრული, ზუსტი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდების საშუალებით.
- განსაკუთრებული შემთხვევების დროს შეასრულოს სუპერვაიზორის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობა.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნისა და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

- შესაბამისი ტექნიკური პროფილის (საინჟინრო) საუნივერსიტეტო განათლება
- ინდუსტრიულ საწარმოებში მუშაობის სამწლიანი გამოცდილება, მაგ. ელექტრო და ინსტრუმენტულ საწარმოებში.
- სასაუბრო და წერილობითი ინგლისურის ცოდნა და შემდგომი გაუმჯობესების სურვილი
- მანქანის მართვა (B კატეგორიის მართვის მოწმობა მაინც)
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება
- შერჩეულ კანდიდატებს ძირითადად მოუწევთ ადგილზე ყოფნა

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა**, პარასკევი, 18 მარტი**

**ყველა შემოსული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

კანდიდატისათვის საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია. უპირატესობა მიეცემათ ადგილობრივ კანდიდატებს.

**კადრების დეპარტამენტი**
შპს "ბპ ექსპლორეიშნ (კასპიან სი)"- საქართველო
BP ჯორჯია
აღმაშენებლის გამზირი 123ა
თბილისი, საქართველო

# ნუცუბიძეზე მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით პოლიციის და პროკურატურის აზრები ერთმანეთს არ ემთხვევა

*შინაგან საქმეთა სამინისტროში კიდევ ერთი საკადრო გადანაცვლება მოხდა. კერძოდ, ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსი ზურაბ ბაქრაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული სამსახურის მეორე განყოფილების უფროსის თანამდებობაზე გადაიყვანეს, ხოლო მის ადგილზე იმავე სამსახურის უფროსი გიორგი ცაავე დანიშნეს. უკავშირდება თუ არა ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსის შეცვლა ბოლო დღეებში ამავე რაიონში მომხდარი მკვლელობების სერიებს, პოლიციაში არ აკონკრეტებენ.*

რამდენიმე დღის წინ ვაკის საცურაო აუზთან ცოლ-ქმრის მკვლელობას, მეორე საზარელი მკვლელობა მოჰყვა.

თბილისში, ნუცუბიძის პლატოს მეხუთე მიკრორაიონში გუშინწინ ღამით კიდევ ერთი ახალგაზრდა მოკლეს. პატრულმა, რომელიც ნუცუბიძის პლატოზე შემოვლას აწარმოებდა, "ოპელ ვექტრას" მარკის საეჭვო ავტომანქანა შეამჩნია, რომელშიც რამდენიმე პირი იმყოფებოდა. პატრულმა მანქანა შეამოწმა და მასში მყოფ პირებს, რომლებიც ერთმანეთში ხმამაღლა საუბრობდნენ, დახმარება შესთავაზა, თუმცა, უარი მიიღო. 50 მეტრის გავლის შემდეგ პატრულს სროლის ხმა შემოესმა. შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელებს ერთი მოკლული, მეორე კი დაჭრილი ახალგაზრდა დახვდათ. გარდაცვლილ გაბრიელ ქვირიას სავარაუდოდ "მაკაროვის" სისტემის იარაღიდან ორი ტყვია ზურგში აქვს მოხვედრილი. დავით მანაგაძე კი, რომელიც ყელის არეშია დაჭრილი, საავადმყოფოში გადაიყვანეს და, როგორც ექიმები აცხადებენ, მის სიცოცხლეს საფრხე არ ემუქრება.

იმავე დღეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში დაჭრილი ლევან ბერეჟიანი მიიყვანეს.

ამ ორ შემთხვევასთან დაკავშირებით საქმის გამომძიებელ ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურასა და თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა მერაბ ბაღათურიამ განაცხადა, რომ ქვირია-მანაგაძის ინციდენტი და ბერეჟიანის დაჭრა ერთი და იგივე საქმეა. პოლიციის მონაცემებით, ნუცუბიძის პლატოზე ორ ჯგუფს შორის სროლა შელაპარაკებას მოჰყვა, რა დროსაც მანაგაძე და ბერეჟიანი დაიჭრნენ, ქვირია კი გარდაიცვალა. ორივე დაჭრილი ამჟამად საავადმყოფოში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება. პოლიციის განცხადებით, ინციდენტში მონაწილეობდა კიდევ ორი პიროვნება. ისინი იძებნებიან. ერთი სიტყვით, პოლიცია ნუცუბიძის პლატოზე მომხდარ მძიმე დანაშაულს ფაქტობრივად გახსნილად აცხადებს.

ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორი მამუკა გვარამია კი საქმის გახსნილად გამოცხადებისგან თავს იკავებს.

**"მანაგაძე და ბერეჟიანი საავადმყოფოში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მიიყვანეს. ამასთან, ამ ეტაპზე არანაირი მტკიცებულება არ გაგვაჩნია, ამ ორი შემთხვევის დასაკავშირებლად,"** - ამბობს გვარამია.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე თბილისის პოლიციის ხელმძღვანელმა ფაქტობრივად გახსნილად გამოაცხადა ვაკის საცურაო აუზთან რამდენიმე დღის წინ მომხდარი ახალგაზრდა ცოლ-ქმრის მკვლელობის ფაქტიც და დაგვპირდა, რომ დამნაშავეებს უახლოეს დღეებში დააკავებენ. თუმცა, დავით ზირაქიშვილის და ნათია მთავრიშვილის საქმის დეტალების დასახელებისგან ბაღათურიამ თავი შეიკავა. ის კი აღნიშნა, რომ ვაკის და ნუცუბიძის პლატოს ინციდენტებთან დაკავშირებული პირები ერთმანეთს იცნობდნენ, მაგრამ ამ მკვლელობებს ერთმანეთთან კავშირი არ აქვს.

ჩვენი ინფორმაციით, დავით ზირაქიშვილს დაახლოებით ერთი თვის წინაც ესროლეს, მაგრამ მაშინ გადარჩა. სავარაუდოდ, იგი შურისძიების მსხვერპლი გახდა, რაც, არ არის გამორიცხული, ვალებს უკავშირდებოდეს. **24 საათი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** 3 მარტს ჭუბურხინჯის ხუთშაბათის ტრადიციული შეხვედრა რუსული და აფხაზური მხარეების გამოუცხადებლობის გამო ჩაიშალა.

ქართული მხარე და გაეროს სამხედრო დამკვირვებლები მიზეზებს არ აკონკრეტებენ, გავრცელებული ინფორმაციით კი, რუსებმაც და აფხაზებმაც შეხვედრის გადადება მის დაწყებამდე ერთი საათით ადრე ითხოვეს. ჭუბურხინჯის მომავალი შეხვედრა 9 მარტს გაიმართება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ავტომანქანის გატაცებაში ეჭვმიტანილი დააკავეს. გიორგი ალხაზოვი მაშინ აიყვანეს, როცა გატაცებული მანქანის აზერბაიჯანში გადაყვანას ცდილობდა. ალხაზოვი ე.წ. „აღაიანის" კრიმინალური დაჯგუფების წევრია. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს მე-2 განყოფილებისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ქურდული ტრადიციების მიმდევარი, ნასამართლევი, 37 წლის გიორგი მოწაფია, რომელმაც ქავთარაძის ქუჩაზე მშენებარე ობიექტში სიტყვიერი მუქარით მშენებელს, 43 წლის დავით ნაცვლიშვილს გასტაცა სამშენებლო მასალები. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კრიმინალური დეპარტამენტის სამძებრო სამმართველოს ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა გატარებული ღონისძიებების შედეგად დაადგინეს, რომ 28 თებერვალს დაკავებულმა გიგა ჟვანიამ გაქურდა ფოთში მცხოვრები მიხეილ ლეჟავას და ალექსანდრე ქავთარაძის სახლები. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შს სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ავტომანქანა „ბმვ"-ში მსხდომნი, მძღოლი 22 წლის შალვა კაზალიკაშვილი, გრიგოლ კუპრავა და 19 წლის დავით დვალი, რომლისგანაც ამოიღეს პისტოლეტი „მაკაროვი" მჭიდით და 80 ვაზნით, ხოლო ავტომანქანიდან ამოიღეს 3,4 გრამი მარიხუანა. **მედიანიუსი**

**თბილისი.** თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის შს სამმართველოს მე-8 განყოფილებისა და ამავე რაიონის პროკურატურის თანამშრომლებმა გატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად შალვა გოგიჩაიშვილის მკვლელობისათვის ძებნილის ბადრი სვანიშვილის სახლიდან ამოიღეს გადაჭრილი, ნომერწაშლილი სანადირო თოფი 4 ვაზნით. **მედიანიუსი**

# უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

# ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**.................................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** .................................................

**საკონტაქტო ტელეფონი**.................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ფოსტა

# მოვზომოთ სათქმელი!

ამ დღეებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში არასამთავრებოთა პრესკონფერენციაზე გაკეთდა აბსოლუტურად უპასუხისმგებლო და შეურაცხმყოფელი განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოს არსებობს საშიშროება უნივერსიტეტში "ნეოსეპარატიზმის აღორძინებისა".

ეს განცხადება უნივერსიტეტის მთელი კოლექტივის შეურაცხყოფაა. აბაშიძის მმართველობის პერიოდში ყველგან და მათ შორის უნივერსიტეტშიც, ცხადია, იყვნენ მისი მსახურნი, მეხოტბენი, ლაქიები და ა.შ. მაგრამ სეპარატისტები – ნურას უკაცრავად! უნივერსიტეტი, ისევე როგორც აჭარა, არასდროს ყოფილა სეპარატისტული. ეს განცხადება ისევე მძიმედ მოსასმენია და გულსატკენი, როგორც განცხადებები აჭარის დედასაქართველოსთან ხელმეორედ დაბრუნების, საქართველოს მიერ აჭარის ხელმეორედ შემოერთების, აჭარის პრობლემის მოგვარების შესახებ!

ვინაიდან ანალოგიურ განცხადებებს მასიური ხასიათი მიეცა და თანაც ისინი ერთგვარი იარლიყების მიწებების საფუძველიც ხდება, თავს უფლებას ვაძლევთ, მოვუწოდოთ ყველას, ვინც დაუფიქრებლად თუ შეგნებულად აკეთებს ამ განცხადებებს, რათა საგნებს სწორად დაარქვან სახელები, მოზომონ სათქმელი და დააკონკრეტონ მისამართები!

უნივერსიტეტში არასდროს იარსებებს ნეოსეპარატიზმის საშიშროება, რადგან აქ არასდროს ყოფილა არანაირი სეპარატიზმი!

აჭარა არ დაბრუნებია საქართველოს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი არც არსად წასულა!

აჭარა არ შემოერთებია საქართველოს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი შემოსაერთებელი არ გამხდარა!

აჭარის პრობლემა არავის მოუგვარებია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მას დედა საქართველოსთან არანაირი პრობლემა არ შეუქმნია!

საქართველო იდგა არა აჭარის, არამედ აბაშიძის პრობლემის წინაშე, რომლის შექმნაშიც ოფიციალურმა თბილისმა საკუთარ თავს უნდა მოსთხოვოს პასუხი და არა აჭარის მოსახლეობას!

გამსახურდიას თბილისმა მოგვახვია თავს აბაშიძე, ისე რომ ფეხქვეშ გათელა მოსახლეობის აზრი!

იოსელიან-კიტოვანის თბილისმა შეუქმნა აბაშიძეს განკერძოების საფუძველი კანონიერი ხელისუფლების დამხობისა და სამარცხვინო ძმათა მკვლელი ომის გაჩაღების შედეგად!

ჭიპაშვილის, ბოლოთაშვილის, ბაკურიას, შარაძისა და ძმათა მათთა თბილისმა შეუთხზა აბაშიძეს უძლეველობის მითი და "აჭარის ლომის" ზღაპრები.

შევარდნაძის თბილისმა შეუქმნა აბაშიძეს უსაზღვრო შემოსავლების წყარო და აშოვნინა მილიარდები, რითაც იგი უკონტროლო და უმართავ ფეოდალად აქცია!

რაღა დარჩენოდა ყოველივე ამის შემდეგ აბაშიძეს, თუ არა ნებისმიერი გზითა და მეთოდით უკანონო შემოსავლების, ხელისუფლებისა და გავლენის შენარჩუნებისათვის ბრძოლა!

ასე რომ, ქვეყანა იდგა აბაშიძის და არა აჭარის პრობლემის წინაშე, საქართველომ მოაგვარა აბაშიძის კლანურ-მაფიოზური უკონტროლო რეჟიმის და არა აჭარის პრობლემა! თანაც ამ პრობლემას ვერავინ მოაგვარებდა, რომ არა აჭარის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისა და მით უმეტეს უნივერსიტეტელთა გმირული თავგანწირვა.

ერთ-ერთმა პირველმა სწორედ უნივერსიტეტმა უთხრა აბაშიძეს საქვეყნოდ ის, რომ იგი ხალხს თვალებში ნაცარს აყრიდა, სინამდვილეში კი სეთურობისა და ბალღაშობის გზით მიდიოდა, რითაც ქვეყანას ანგრევდა!

პრეზიდენტთან, ორგანიზაცია "ჩვენ აჭარასთან" და ქვეყნის ხელისუფლებასთან ერთად სწორედ უნივერსიტეტი იყო ის ერთ-ერთი გადამწყვეტი ძალა, რომელმაც დარაზმა მთელი რეგიონი აბაშიძის რეჟიმისათვის წერტილის დასასმელად.

დღეს კი მას ნეოსეპარატიზმში სწამებენ ცილს!

კი მაგრამ, არ შეიძლება მოვზომოთ სათქმელი?

შეიძლება, რა თქმა უნდა, შეიძლება, ისე ვაკეთოთ საქმე, რომ ჩაკეტილ წრეზე უკვე მერამდენეჯერ აღარ წავიდეთ...

**ავტორთა მინაწერი:** ჩვენ საკუთარი მხრებით ვზიდეთ აბაშიძის ცამეტწლიანი რეჟიმის მთელი სიმძიმე, მაგრამ მის წინაშე არავითარ კომპრომისზე არ წავსულვართ, ჩვენს კალამს ეკუთვნის ამ რეჟიმის მამხილებელი არაერთი პუბლიკაცია, მათ შორის "კმარა სეთურობა და ბაღვაშობა, ანუ ასლან, წადი" და სხვა.

ასე რომ, ჩვენი მიზანი ერთადერთია: ვიყოთ მუდამ ფხიზლად, მოვზომოთ სათქმელი, არ აღმოვჩნდეთ ერთი უკიდურესობიდან მეორეში და არ მივცეთ ქირქილის საფუძველი ბუჩქებში ჩასაფრებულ ავისმოსურნეთ.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები:

**თემურ ავალიანი - ფილოლ. მეცნ. კანდ.**
**ლელა თურმანიძე - ფიზ. მათ. მეცნ. კანდ.**
**ნინო დოლიძე - ფილოლ. მეცნ. კანდ.**
**ბიჭიკო დიასამიძე - ისტ. მეცნ. დოქტ. პროფ.**
**ელგუჯა მაკარაძე -ფილოლ. მეცნ. კანდ. დოც.**
**ნოდარ კახიძე - ისტ. მეცნ. დოქტ. პროფ.**
**ვანო პაპუნიძე - სოფლ. მეურნ. მეცნ. დოქტ.პროფ.**
**ბეჟან იაკობიძე - მედიც. მეცნ. დოქტ. პროფ.**
**ხათუნა თავდგირიძე - ფილოლ. მეცნ. კანდ.**
**როლანდ კომახიძე - ფილოლ. მეცნ. დოქტ. პროფ.**
**ზებურ ავალიანი - ფიზ.მათ.მეცნ. კანდ.**
**შოთა მამულაძე - ისტ. მეცნ. დოქტ. პროფ.**
**ოთარ შაინიძე - ბიოლ. მეცნ. დოქტ. პროფ.**
**თამაზ ფუტკარაძე - ისტ. მეცნ. დოქტ. პროფ.**
**რეზო ზოსიძე - ბიოლ. მეცნ. დოქტ. პროფ.**
**გუგული დუმბაძე - ბიოლ. მეცნ. კანდ. დოც.**
**რამაზ ხალვაში - ფილოლ. მეცნ. კანდ. დოც.**
**გურამ ბახტაძე - ფილოლ. მეცნ. კანდ. დოც.**
**ციური ქათამაძე - ისტ. მეცნ. კანდ. დოც.**
**სერგო დუმბაძე - ისტ. მეცნ. დოქტ. პროფ.**
**მერაბ მეგრელიშვილი - ისტ. მეცნ. კანდ. დოც.**
**ჯუმბერ კახიძე - ტექნ. მეცნ. კანდ. დოც.**
**ტარიელ ებრალიძე - ისტ. მეცნ. კანდ.**

# დემოკრატიის მეორე ტალღა - საზოგადოების კომუნიზმისგან გათავისუფლება

პირველი გვერდიდან

**- როგორი გესახებათ მოლდოვას მომავალი უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში?**

- ეს დამოკიდებულია იმაზე, შევძლებთ თუ არა ჩვენ წელს ხელისუფლებაში მოსვლას და შეძლებენ თუ არა დემოკრატიული ინსტიტუტები ამოქმედებას. ხელისუფლების გამიჯვნაც, ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია; განსაკუთრებით - სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, რადგან მოსამართლეებს უკვე აღარ ნიშნავს პრეზიდენტი. პარლამენტი ნიშნავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო სხვა მოსამართლეებს – მოსამართლეთა უზენაესი საბჭო. რეალურად, სასამართლო პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამართლებრივ განშტოებას უფრო ჰგავს. დემოკრატიულ საპარლამენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტი მსგავს გადაწყვეტილებას მხოლოდ ფორმალურად აწერს ხელს და ასეთ ვითარებაში არ აქვს გადამწყვეტი ძალა.

შემდეგ მოდის პროკურატურის თემა. 1995 წელს, როდესაც ჩვენ ევროსაბჭოში გავწევრიანდით, საკუთარ თავზე ავიღეთ ვალდებულება, რომ ეს სფერო ავტონომიური გაგვეხადა. ამჟამად ის პარლამენტს ექვემდებარება და, ამგვარად, ყოველთვის შეუძლებელი იქნება უმრავლესობას აჯობო. ჩვენი ხედვით, პროკურატურა ასევე უნდა დაექვემდებაროს მოსამართლეთა უზენაეს საბჭოს, რომელიც იმ მოსამართლეთაგან უნდა შედგებოდეს, რომელთა ნახევარი მაინც, არჩეულ უნდა იქნეს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ. ამ საკითხზე ჩვენს საუკეთესო იურისტებთან ერთად ვიმუშავეთ.

ამასთან, უნდა ალვადგინოთ ადგილობრივი ხელისუფლების ავტონომიურობა. სინამდვილეში, ამჟამად, შეიძლება ითქვას, ჩვენ არც გვყავს ადგილობრივი ხელისუფლება. კომუნისტი ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არის მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების განშტოება.

შემდეგ მოდის სადაზვერვო სამსახურის სტატუსის ცვლილება, რაც მჭიდროდ უკავშირდება ლუსტრაციის კანონს და კარგად ნაცნობი პრობლემაა პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის. ჩვენ უნდა გავანადგუროთ სუკის მიერ ჩამოყალიბებული მაფიოზური სტრუქტურები.

შესაცვლელია, ასევე, მაუწყებლობის საკოორდინაციო საბჭოს სტატუსი – სამაუწყებლო ლიცენზიების გამცემი ინსტიტუტი. საერთო ჯამში, ტელევიზიისა და რადიოს სტატუსი ასევე უნდა შეიცვალოს, რათა რედაქციული დამოუკიდებლობა ჩამოყალიბდეს. ამ ყველაფერს კი პოლიტიკური რეფორმები განსაზღვრავს. ჩვენ, ასევე, უნდა გავაძლიეროთ სახელმწიფო კონტროლის პალატა, რათა ამ უკანასკნელმა მთავრობის ფინანსური საქმიანობის ეფექტური კონტროლი განახორციელოს. კანონის შესაბამისად თუ ვიმსჯელებთ, ყველა ზემოაღნიშნული რეფორმის განხორციელება ორი თვის განმავლობაშია შესაძლებელი.

ეკონომიკური რეფორმების განხორციელება არ იქნება ასეთივე რთული, თანაც ყოფილი კომუნისტური ქვეყნების ძალიან დიდი გამოცდილება დაგროვდა, მაგალითად - ბალტიისპირეთის, თუნდაც - საქართველოსი. ამჟამად, ჩვენი ეკონომიკის 60 პროცენტი, მაღალი გადასახადების გამო ჩრდილშია და ყველა ორგანიზაციას ორი განსხვავებული სახის დოკუმენტაცია აქვს. ვფიქრობ, გამოსავალი გადასახადების და სახელმწიფო აპარატის შემცირება იქნება. ჩვენ 16 მინისტრი გვყავს, შვიდი სახელმწიფო სტრუქტურა და ასე შემდეგ. რიგი რესტრუქტურიზაცია ძნელი არ იქნება და შესაძლოა, მიმდინარე წელსაც მოესწროს.



მიხეილ სააკაშვილი და იური როშკა.

**- თქვენი აზრით, უნდა გაძლიერდეს საპარლამენტო სისტემა და პრემიერ-მინისტრი გახდეს წამყვანი პოლიტიკური ფიგურა?**

- რასაკვირველია! 2000 წლამდე, ჩვენ ნახევრად საპარლამენტო რესპუბლიკა ვიყავით. ჩვენ მივდევდით ტიპურ ევროპულ მოდელს, როდესაც პრეზიდენტს, გარკვეულწილად, ფიგულარული ფუნქცია აქვს, ხოლო პრემიერ-მინისტრი მთავარი პოლიტიკური ფიგურაა. კომუნისტთა გამარჯვებამ ამ მიმართულების გაგრძელება შეუძლებელი გახადა.

**- საქართველოსა და უკრაინაში მომხდარმა მოვლენებმა, თქვენთვის და მოლდოვასთვის რა მნიშვნელობა შეიძინა?**

- იმ ქვეყნებს შორის, სადაც დემოკრატიული ცვლილებები განხორციელდა, პირველ რიგში მე ვასახელებ ბულგარეთს, შემდეგ სლოვაკეთს, სერბეთს, ხოლო ლიდერი არის მიხეილ სააკაშვილის ქვეყანა. აქ მოსახლეობას კარგად ესმის, რომ ეს არ არის შემთხვევითობა, არამედ მოვლენათა ლოგიკური განვითარებაა. ის, რაც თქვენს ქვეყანაში მოხდა, არის დემოკრატიის მეორე ტალღა – საზოგადოების კომუნიზმისგან გათავისუფლება. ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებმა შეძლეს ფუნქციონირებადი დემოკრატიული ინსტიტუტების და ახალი საზოგადოების ჩამოყალიბება. მოლდოვაში ყველა არჩევნები იყო პაროდია. ობიექტურად რომ ვისაუბროთ, იქნებ მოლდოვა, უკარაინისა და საქართველოს კვალდაკვალ, შემდეგიც იყოს. შესაძლოა იმის გამო, რომ ჩვენ, ბელარუსიისა და რუსეთის მსგავსად, უბრალოდ სხვა არჩევანი არ გვაქვს. შეუძლებელია ხელისუფლების ნორმალური არჩევნების გზით შეცვლა, როდესაც პროცესი არის პარალიზებული და უზურპირებული. კონსტიტუცია, შესაძლოა, იყოს არაჩვეულებრივი, თუმცა იგი უფუნქციოა, როდესაც უმოქმედოა ლეგალური ინსტრუმენტები. ის, რაც საქართველოში მოხდა, მართლაც არაჩვეულებრივი რამ იყო. მოლდოვაში ყველა ბედნიერი იყო და ჩვენც გვსურს მიხეილ სააკაშვილის კალიბრის ლიდერი. მე ასევე ბედნიერი ვარ იმით, რომ ნარინჯისფერ რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე ვიცნობდი ვიქტორ იუშენკოს - იმ დროიდან, როდესაც იგი სათავეში ჩაუდგა პარლამენტში ოპოზიციურ მოძრაობას. ორი დიდი მოვლენა, ორი პრეზიდენტის პიროვნული თვისებების შედეგია. ისინი მზად იყვნენ საკუთარი მიზნებისა და მორალური იდეალებისათვის თავი შეეწირათ.

**- გამარჯვების შემთხვევაში, რას მოიმოქმედებთ რეგიონული თანამშრომლობის გასამტკიცებლად? ვგულისხმობ თანამშრომლობას პირდაპირ და "ირიბ" მეზობელ ქვეყნებთან, როგორიც არის მაგალითად საქართველო, ასევე - სუუამი-ს სხვა ქვეყნები?**

- ცხადია, რომ ჩვენს მეზობელ უკრაინასა და რუმინეთთან თანამშრომლობის გაღრმავება მოგვიწევს. ამავდროულად, აქტიურად უნდა ვითანამშრომლოთ საქართველოსთან, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩვენ მსგავსი პრობლემები და გარედან ერთნაირი ზეწოლა გვაქვს, ხოლო საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენ ერთ ჯგუფად განვიხილებით. ამასთანავე, რეგიონული თანამშრომლობა ისე უნდა გავაძლიეროთ, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ერთიანი გუნდის ადგილი დავიმკვიდროთ. ურთიერთმხარდაჭერა და ყურადღება გაცილებით იოლს გახდის, მოვიპოვოთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ლობირება. ამ კონტექსტში, სუუამი შესაძლოა ძალზე ეფექტურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინსტრუმენტად იქცეს, რაც დსთ-ს ბოლოს მოუღებს. ამასთან, ჩვენი მიზანია ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრირება, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დასავლური პარტნიორები ფრთხილობენ. ჩვენ გვესმის, რომ არ ვართ მზად ამ სტრუქტურებში ინტეგრირებისთვის, მაგრამ მაინც შეუპოვრები ვიქნებით. თუ სოლიდარობას შევინარჩუნებთ, უფრო სერიოზულად მიუდგებიან ჩვენს საკითხს. ამ მხრივ, არაჩვეულებრივი მაგალითია ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომელთაც ორივე ორგანიზაციაში გაწევრიანება მჭიდრო თანამშრომლობითა და ერთიანობით მოახერხეს.

**- საერთაშორისო პოლიტიკაზე საუბრისას შეუძლებელია, არ ვახსენოთ რუსეთი. როგორ გესახებათ მოლდოვასა და რუსეთის ურთიერთობები ზოგადად და დნესტრისპირეთის პრობლემის კუთხით?**

- რა თქმა უნდა, ჩვენ კარგი თანამშრომლობა გვჭირდება, განსაკუთრებით კი - ეკონომიკური კუთხით. ბალტიისპირეთის იმ ქვეყნებს, რომელთაც არ გააჩნიათ რუსეთის ფედერაციასთან საზღვარი, ძალზე მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა აქვთ ამ სახელმწიფოსთან. ვფიქრობ, მოლდოვამ მსგავსი ურთიერთობები უნდა ჩამოაყალიბოს. რაც შეეხება დნესტრისპირეთს, მე შემიძლია ვთქვა, რომ ამ კუთხით, საქართველოზე ოდნავ უკეთეს მდგომარეობაში ვართ, რადგან რუსეთსა და ჩვენს შორის არის უკრაინა. ახლა ძალზე ბედნიერი ვარ იმით, რომ ბატონი იუშენკო პრაქტიკაში ახორციელებს იმას, რაზეც ხშირად გვიმსჯელია პირად საუბრებში: უკრაინა მხოლოდ ახლა აყალიბებს მოლდოვასთან, როგორც ძალზე საიმედო პარტნიორთან, ურთიერთობის საგარეო პოლიტიკას. მოხარული ვარ, რომ იუშენკოს, როგორც ქვეყნის პრეზიდენტის პირველი ოფიციალური ვიზიტი, სტრასბურგში იყო, სადაც მან ხაზი გაუსვა, რომ დნესტრისპირეთის პრობლემა, უკრაინისა და მოლდოვას ინტერესებს ეხმიანება. საზღვრის ერთობლივი კონტროლის დაწესება კი წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნებოდა. ამჟამად, სეპარატისტები პანიკამ მოიცვა, რადგან უკრაინაზე გამავალი გზა, შესაძლოა, წაართვან.

**- თქვენ ღიად მოითხოვთ მოლდოვადან რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანას?**

- დიახ! ჩვენი დამოუკიდებლობის დეკლარაცია ადგენს, რომ ეს ძალები ოკუპირებას ახდენენ და მათი სამშვიდობო მანდატი ანულირებულ უნდა იქნეს. ჩვენ არ უნდა დავთანხმებულიყავით მათ ჩარევას, რადგან რუსეთი იყო ქვეყანა, რომელიც იმ კონფლიქტში მოლდოვას ებრძოდა. ამ კონტექსტში, ჩვენ ევროკავშირის მხარდაჭერის იმედი გვაქვს. ამასთანავე, დამაიმედებელია, რომ დასავლური ინსტიტუტების უმეტესობას ახლა ესმის, რომ ჩვენ დნესტრისპირეთის მიზეზით, არ შეგვიძლია საკუთარი კონსტიტუციის შეცვლა. ჩვენ არ გვსურს ომის დაწყება, მაგრამ დასავლეთში ყველამ უნდა გაიგოს, რომ ვლადიმირ სმირნოვთან (თვითგამოცხადებული დნესტრისპირეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი) საუბარი უაზრობაა, რადგან ის არავის არასდროს აურჩევია.

**- გამარჯვების შემთხვევაში, თუ გეგმავთ პრივატიზაციის პროცესის გადახედვას, როგორც ეს ხდება უკრაინაში?**

- მოლდოვაში პრივატიზაცია, შესაძლოა, მხოლოდ დნესტრისპირეთში იქნეს გადახედილი, რადგან სახელმწიფო კანონმდებლობა იქ არ მოქმედებს. რაც შეეხება თავად მოლდოვას, ბევრი ადამიანი, 1990-იან წლებში, პრივატიზაციით ძალზე მარტივად გახდა მილიონერი. სადაც ეს არალეგალურად მოხდა, ჩვენ საკითხს აუცილებლად გადავხედავთ.

**- თუ აშკარა გახდება ის, რომ მოლდოვას ხელისუფლებაში მოვლენ დემოკრატიული ძალები, როგორ ფიქრობთ, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ მოსკოვი მხარს უჭერს "ნაკლებად მავნე" კომუნისტებს, როგორც ეს ხდებოდა შევარდნაძის რეჟიმის დასასრულს?**

- ეს სავსებით შესაძლებელია. მე არ ვარ იმდენად სულელი, ვიფიქრო, რომ რუსეთის ფედერაციას მხოლოდ ერთი არჩევანი აქვს. ჩემი მხრიდან უბრალოდ არაპროფესიონალიზმი იქნებოდა, არ დამეფასებინა რუსეთის დიპლომატიის და სპეცსამსახურების დონე. იმის შანსი, რომ კომუნისტები და ყოფილი კომუნისტები (მოლდოველი დემოკრატები) შერიგდნენ, საკმაოდ რეალურია. ამ ბლოკის პოლიტიკური პარტნიორი, რომელიც საკუთარ თავს რუსეთში ოპოზიციურ, ცენტრისტულ პარტიას უწოდებს, გაერთიანებულ რუსეთს მართავს. რუსეთი ამჟამად ციკლოპის სინდრომს განიცდის და ვერ ხსნის იმას, რაც მის გარშემო, პატარა ქვეყნებში ხდება. ისინი მოლდოვას, საქართველოს, შეერთებულ შტატებს და ევროკავშირს თავის პოტენციურ მტრებად განიხილავენ, მაგრამ ჩვენ არ გვსურს მტრობა. ჩვენ მათთან ნორმალური ურთიერთობები გვსურს. ჩვენ დიდად ვაფასებთ რუსულ კულტურას და ეს არ არის ფუჭი სიტყვები. რუსეთს არ ესმის ის, რომ სხვები მის მომავალს განსხვავებულად ხედავენ. თუმცა, მე შემიძლია ვთქვა, რომ რუსი და უკრაინელი ახალგაზრდობა ახლა განსხვავებულად აზროვნებს, რადგან მას, უბრალოდ, არ უცხოვრია საბჭოთა პერიოდში.

**- რუსეთში ლიბერალური ორიენტაციის პარტიები წინა არჩევნებამდე არასდროს მოხვედრილან პარლამენტში. რამდენად მოსალოდნელია უახლოეს მომავალში რუსეთში დემოკრატიული ცვლილებები?**

- დასავლური მოდელი იმდენად მომხიბლავია, რომ ის, შესაძლოა, სრულად დაუპირისპირდეს დიქტატურას და იზოლაზიას. ახალგაზრდობა გიჟდება დასავლურ მოდელზე. ისინი გრძნობენ, რომ ინდივიდუალური დამოუკიდებლობა ძალზე მნიშვნელოვანია. ეს თავმოყვარეობის საკითხიცაა. ძალიან ცოტაა ადამიანი, ვისაც ბრეჟნევის ხანაში დაბრუნება სურს, რადგან იცის, ეს როგორი იყო. მე არ ვეთანხმები მათ, ვინც ამტკიცებს, რომ რუსეთი ვერასდროს გახდება დემოკრატიული. ისტორიულად, მათ არასოდეს ჰქონიათ შესაძლებლობა, განეხორციელებინათ საზოგადოებრივი რეფორმა. მათი მყიფე დიქტატურა ვერ გადარჩება. სუკი ვეღარასოდეს დალუპავს ხალხს. ერთადერთი ეფექტური მეთოდი, რომელსაც ისინი იყენებენ, არის დისკრედიტაცია. საუკეთესო იარაღი ასეთ ვითარებაში არის პატიოსნება, რასაც ძალუძს დაამსხვრიოს პუტინის და სხვა ნებისმიერის რეჟიმი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რუსეთს შეუძლია, განიცადოს ტრანსფორმაცია და ჩვენც შევძლებთ, გავთავისუფლდეთ რუსეთის მიმართ იმ უარყოფითი განწყობისგან, რაც პატარა ქვეყნებს გვაქვს.

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25



**გაჭიანურებული დასასრული**



B2

**"მოგზაურობა ყარაბაღში" - წიგნიდან ფილმამდე**




B3

**მათთვის, ვინც მუსიკაში "საქმიანობს"**



B8

ნომრის სტუმარი

# დიდი მოგზაურობის წინ

A1 გვერდიდან

- სკოლის დირექტორობა არასდროს ფიქრადაც კი არ მომსვლია. "მე რომ დირექტორი ვიყო"... ეს ფრაზაც კი არ გამჭაჭანებია ოდესმე.

**- რა იყო ის არგუმენტი, რომლის გამოც დათანხმდი განათლების მინისტრის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას?**

- განათლების სამინისტროს რამდენიმე პროექტში მიმიღია მონაწილეობა. ქართულ დელეგაციასთან ერთად საინგილოში ჩავიტანეთ წიგნები და თვალსაჩინოებები. გარდა ამისა, მონაწილეობა მივიღე არაქართული რეგიონების სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელთა შესარჩევ კომისიაში. აი, ეს კონტაქტები მქონდა სამინისტროსთან კახა ლომაიას მინისტრად მოსვლის შემდეგ. დავინახე, როგორ ირჯებოდა ეს გუნდი საინგილოში, ამ კონკურსის ჩატარებისას. თვალს ვადევნებდი ამ სფეროში საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ მოვლენებს. ჩემში კახას და მის თანამოაზრეთა გუნდის მოქალაქეობრივი თუ პროფესიული სიმამაცე მათდამი სიმპათიას იწვევს.

რაც შეეხება არგუმენტებს - ეს იყო არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმე, ვიდრე ის, რაშიც აქამდე მიმიღია მონაწილეობა.

**- 51-ე, 53-ე, 55-ე და პირველი საშუალო სკოლები პრესტიჟულად წოდებულნი იყვნენ. სწორედ ამ სკოლების დირექტორებით დაიწყო ცვლილებები. რა პოლიტიკა დევს ამაში?**

- მინისტრმა რომელიღაც ინტერვიუში განაცხადა, რომ მისთვის ყველა სკოლა პრესტიჟულია და ეს ასეც არის...

**- და ისიც თქვა, რომ ამ სკოლებში შეინიშნებოდა კორუფციული გარიგებები, ბავშვების სოციალური თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაცია და კიდევ სხვა სიმახინჯეები...**

- რაკი გადავწყვიტე და ამ საქმეს ხელი მოვკიდე, ამას ერთხელ და სამუდამოდ დაესმება წერტილი.

**- ქალაქის გარეუბნის რომელიმე სკოლის დირექტორობასაც დათანხმდებოდი?**

- ამ ჯგუფისა და კონკრეტულად კახა ლომაიას მიმართ ჩემი დამოკიდებულების გათვალისწინებით, რომელსაც სიბერეში შეძენილ მეგობრად მივიჩნევ - ალბათ, დავთანხმდებოდი.

**- შენი წინამორბედი, თუ სწორად მახსოვს, 3 ათეული წელი იყო სკოლის დირექტორი. იყო ავტორიტარული დირექტორი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ჩამოყალიბებულ სისტემას და ცუდ და შეიძლება, კარგ ტრადიციებსაც ხელმძღვანელობდა. ხედავ ცვლილებების ნებას კოლექტივში, რომელიც დაგხვდა?**

- ეს თავად იმ ადამიანებს უნდა ჰკითხოთ. ქალბატონ ლამარა მარგველაშვილის სტილი მხოლოდ მისი ხასიათიდან და ბუნებიდან კი არ ჩამოყალიბდა, არამედ - იმ სისტემიდანაც, რაშიც საქმიანობა უწევდა. ვისაც ასე ხანგრძლივი დროის განმავლობაში უწევს საკმაოდ აქტიური საქმიანობა, ცხადია, შეცდომებიც და გადაცდომებიც ექნებოდა, რადგან ვინც არაფერს აკეთებს, ის არც შეცდომებს უშვებს. გარდა ამისა, დამისახელე სფერო, სადაც ასე არ იყო. ჩვენ შეგვხვდა არა დანგრეული, არამედ მყარად აშენებული შენობები, რომელიც დასანგრევი და თავიდან ასაშენებელია, ეს კი მეტ დროს მოითხოვს. ეს სისტემები, რბილად რომ ვთქვა, სრულიად გამოუსადეგარია ჩვენი ქვეყნისთვის და მომავლისთვისაც.

**- რა ნიშნით აგარჩიეთო, არ უთქვამთ?**

- 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც საქართველოში კერძო სკოლები გაჩნდა, სამი წლის განმავლობაში ქართული ლიტერატურის შესახებ ერთ-ერთ სკოლაში ვესაუბრებოდი მოსწავლეებს. 1999-დან 2004 წლის ჩათვლით, უახლეს ქართულ ლიტერატურას ვუკითხავდი ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის მომავალ ჟურნალისტებს. არა მგონია, რომ მხოლოდ ჩემი პედაგოგიური გამოცდილების გამო ამარჩიეს, ალბათ, უფრო თანამოაზრეობისა და შეიძლება იმის გამოც, რომ რასაც ვწერ, მკითხველი ჰყავს.

**- ეს არის შენთვის სრულიად ახალი და ურთულესი სფერო. ამ კოლექტივში შენი მისვლა მტკივნეულ პროცესებთანაც იქნება დაკავშირებული, რას აპირებ?**

- რითიც შემიძლია დავიტრაბახო, ჩემი კომუნიკაბელურობაა. თითქმის ყველანაირ ადამიანს გადავყრივარ ცხოვრებაში და ურთიერთობა არ მიჭირს. ჩემი მოსაზრების მართებულობაში ადამიანების დარწმუნება შემიძლია. ჩემი სტილი არ არის ადამიანის სტრესულ მდგომარეობაში ჩაყენება. აქამდე ეს გამომდიოდა და იმედია, მომავალშიც მოვახერხებ. დიდი სურვილი მაქვს, ყველაფერი მაქსიმალურად უმტკივნეულოდ და ხავერდოვნად მოხდეს, მაგრამ მტკივნეული გადაწყვეტილებების მიღება, ალბათ, მაინც მომიწევს.

**- ხშირად გივლია ბეწვის ხიდზე?**

- ჩემს ცხოვრებაში დაიწყო სრულიად განსხვავებული ეტაპი და შეიძლება, შინაც ისე მშვიდად ვერ მოვკალათდე, როგორც ეს ხუთშაბათს საღამომდე, ლომაიას დარეკვამდე ხდებოდა. სხვაგვარად მობილიზებული და შემართული უნდა ვიყო, რადგან ნებისმიერი ჩემი ფრაზა თუ მიმიკა, ერთგვარი მაგალითი უნდა იყოს მოსწავლეებისთვის, თან ბავშვის ცნობიერება ამას ღრმად იბეჭდავს.

**- მაგიდაზე მუშტის დარტყმა შეგიძლია?**

- ჩემი კომუნიკაბელურობის შესახებ ზემოთქმულის მიუხედავად, ეს არც თუ იშვიათად გამიკეთებია. სანამ არ დავრწმუნდები, რომ მაგიდაზე ხელის დაბრახუნება საჭირო, ამას არ გავაკეთებ. ადამიანს ვერავითარი შეგონებით ვერ დაარწმუნებ, თუ მაგალითი არ აჩვენე და ეს ნებისმიერმა მშობელმა იცის. რამდენიც არ უნდა ელაპარაკო, თუ უხეიროდ მოიქეცი, არაფერს არ დაგიჯერებს, იმიტომ, რომ ის შენი ქადაგება ყალბი იქნება.

**- დირექტორის კაბინეტიდან პირველად სად გახვედი?**

- ბიბლიოთეკაში შევედი და ხანდაზმულ ბიბლიოთეკარ ქალბატონს გავესაუბრე. შემდეგ, პირველივე საკლასო ოთახის კარი შევაღე და ეკონომიკური გეოგრაფიის გაკვეთილს დავესწარი. ახალგაზრდა ქალი მე-11 კლასში ატარებდა გაკვეთილს. 50 წლის ასაკში ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩენა გავაკეთე - თურმე, შეიძლება ნახევარი საათის განმავლობაში მინერალურ ნედლეულებზე ისაუბრო და უაღრესად საინტერესოდ. სულგანაბული უსმენდნენ ბავშვები და მეც. ამ ქალბატონმა ნახევარსაათიან მონოლოგში - ამაზონის ტყეებიდან დაწყებული, ყაზახეთის ტრამალებით დამთავრებული მთელი დედამიწა შემოიარა, ეს ნამდვილი ფეიერვერკი იყო.

**- რა დავალებები მიიღე სამინისტროსგან?**

- უნდა მოგახსენოთ, რომ არავითარი დავალება არ მოუციათ და არც ინსტრუქტაჟი ჩაუტარებია ვინმეს. მათ იციან ჩემი მსოფლმხედველობა და მათი (და ამჯერად ჩემიც) საქმისადმი დამოკიდებულება. იციან ჩემი სურვილი და განზრახვები, თუ როგორი წარმომიდგენია მომავლის სკოლა...

**- როგორი წარმოგიდგენია მომავლის სკოლა?**

- 17 წლის ასაკში, როდესაც სკოლა დავამთავრე, წარმოდგენა არ მქონდა, რა უნდა მეკეთებინა, არ მქონდა გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ჩვევები, არც გზის არჩევა შემეძლო. როცა ადამიანს ისეთ დიდ და სერიოზულ მოგზაურობაში უშვებ, როგორიც ცხოვრებაა და ეს მოგზაურობა სწორედ სკოლის დამთავრების შემდეგ იწყება, გაცილებით მეტად მომზადებული უნდა იყო, ვიდრე მე ვიყავი და ვიდრე ისინი არიან, ვინც ახლა ამთავრებს. უნდა შეაყვარო საგნები, დააინტერესო სწავლის პროცესით, რადგან ეს სკოლის დამთავრებასთან ერთად არ მთავრდება, მთელი ცხივრება სწავლის პროცესია და ორიგინალურს არაფერს ვამბობ. მინდა, რომ სკოლა, ეს სივრცე იყოს კომფორტული მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლებისთვის.

სიტყვა "პრესტიჟული" ვახსენეთ. მინდა, რომ ამ სიტყვამ თავისი ჭეშმარიტი მნიშვნელობა შეიძინოს და არა სნობური გაგებით პრესტიჟული, არამედ აღზრდისა და განათლების თვალსაზრისით იყოს პრესტიჟული. ჩემი ამბიცია წარმატებული სკოლა, სწავლებისა და აღზრდის მაღალი დონეა. მიუხედავად ამ შემოთავაზების თავზარდამცემი მოულოდნელობისა, დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ ამბიციის დასაკმაყოფილებლად და ამ მიზნის მისაღწევად, სრულ მზადყოფნაში ვარ.

**- ცხოვრებისთვის მზდყოფნა ახსენე - სხვა რეალობაში აღზრდილმა ბევრმა ადამიანმა, უნარჩვევების არქონის მიუხედავად, ახალ რეალობასთან ადაპტირება მოახერხა...**

- არ მინდა, თაობაზე განვაზოგადოთ. ნებისმიერი თაობის ზოგმა წარმომადგენელმა ეს მოახერხა და დიდმა უმეტესობამ კი - ვერა. თვითრეალიზების მოთხოვნა ყველა ადამიანშია. ამას განვითარება, გაძლიერება, სტიმულები და უამრავი სხვა რამ ჭირდება. აღზრდისა და სწავლის პროცესი უპირველესად ამას უნდა ემსახურებოდეს. დედამიწაზე უნიჭო ადამიანი არ არსებობს...

**- როგორ აპირებ, თავი მოაწონო 1 200 მოსწავლეს?**

- დირექტორს ელოდნენ. პედაგოგების შემდეგ დერეფანში ბავშვებს შევხვდი, და როგორც ჩემს მეგობრებს ვუთხარი, ისე შემხვდნენ, როგორც აკაკი წერეთელს რაჭა-ლეჩხუმში. ერთი გოგონა დამამახსოვრდა, თოჯინა ჰყავდა მიხუტებული...

**- ასეთი შეხვედრის მიზეზი შენი საზოგადოებრივად აქტიურობა და ცნობადობაა?**

- ალბათ.

**- საერთოდ, კოლექტივებსა და განსაკუთრებით, სკოლებში არ უყვართ, როდესაც მათ ხელმძღვანელად ამ საქმეში გამოუცდელი ადამიანი მიდის. ამ მხრივ რა განწყობა დაგხვდა?**

- დიპლომში "პედაგოგი" არ მიწერია და არც მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში გამივლია კურსები, მაგრამ მასწავლებლებიც ძალიან კარგად დამხვდნენ. როგორც ვიცი, კეთილგანწყობილი მოლოდინი იყო.

**- შენი აზრით, ვინ არის სკოლაში მთავარი ფიგურა?**

- რა თქმა უნდა, მასწავლებელი და მასწავლებელთა გუნდი. ოღონდ, მასწავლებელთა კვალიფიკაციის დონე ძალზე მაღალი უნდა იყოს.

**- როგორც ვიცი, არსებობს წესი, რომ სკოლაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უნდა მიიყვანონ ბავშვი. უამრავ ადამიანს იცნობ, ბევრს გაისტუმრებ უარით?**

- ერთ უცნაურობას წავაწყდი. 53-ე სკოლა ბარნოვის ქუჩაზეა. მის მოპირდაპირედ მდგარი შენობა კი, რაღაცის გამო, ამ სკოლის "არეალს" არ ეკუთვნის. რომელ გეოგრაფიაზეა ეს წესი დაფუძნებული, ვერ გეტყვით. წესი კი ასეთია - სკოლამ, პირველ რიგში, უნდა მიიღოს მის მიკროუბანში მცხოვრები ბავშვები და შემდეგ ქალაქის ნებისმიერ წერტილში მცხოვრების მიღების უფლებაც აქვს.

**- პირველკლასელთა აფორიაქებულმა მშობლებმა მკითხეს, "ტატულიას"**(ქ-ნ ლ. მარგველაშვილი) **სიებში ვიყავით, ახალი დირექტორი მიგვიღებსო?**

- არავითარ სიებს არ ვიცნობ. ამ სკოლის ცხოვრებაში კი სრულიად ახალი ეტაპი იწყება.

**- რა ნივთები გაქვს კაბინეტში, კედლებზე ვის სურათს ჩამოკიდებ?**

- ვაპირებ ჩამოვკიდო ნახატები, კერძოდ, გიკა მირზაშვილის "ხეები ქარში", რომელიც ძალიან მიყვარს. ლაშა სულაკაურის კიდევ ერთი საყვარელი ნახატი მაქვს.

**- მინისტრმა რაიმე ვადები დაგიყენა?**

- არა და ეს სრული ნდობა გაცილებით დიდ პასუხისმგებლობას მანიჭებს.

**- ამ სკოლაში ფასიანი კლასებიც არის, ეს კი დარღვევაა.**

- არსებობს "შპს 53-ე სკოლა", რომელსაც 53-ე სკოლის შენობაში აქვს იჯარით გადაცემული ფართობი. სამინისტროში ასე ფიქრობენ და მეც ამ აზრის ვარ, რომ ამ სკოლას, დაახლოებით, 2 წელიწადში ახალი ფართის მოძებნა მოუწევს.

**- ხარ მწერალი თუ ხარ სკოლის დირექტორი?**

- ეს ფაქტორი სერიოზულად მაფერხებდა. იმ რეჟიმში, რასაც სკოლის დირექტორობა მოითხოვს, მოთხრობების თხზვა შეუძლებელია. ვარ მწერალი სკოლის დირექტორი.

ახლა რასაც ვიტყვი, ეს არა მხოლოდ ჩემი მოსაზრებაა, არამედ, მომავალი თაობისაც - მართლა აღარ შეიძლება ასე ცხოვრება, შრომა და სწავლა, რადგან შედეგები სახეზეა. მათთვის, ვინც ამბობს - "კარგია განათლების რეფორმა, მაგრამ..." მინდა ვთქვა, რომ ფასეულობების ის სისტემა მთლიანად გამართლებაზე იყო დამოკიდებული. სახელმწიფო ადამიანებს არ ეხმარებოდა შესაბამისი განათლებისა და უნარების შეძენით, რომელიც მათ შემდგომი ცხოვრებისთვის სჭირდებოდათ. სამყარო, სადაც ძალიან კომფორტულად ცხოვრობდნენ, სერიოზულად შეირყა და ნაჭუჭს, რომელიც გარშემორტყმული ჰქონდათ, ბზარები გაუჩნდა. იმ ბზარში კი წვიმა და ქარი შემოვიდა და ეს აწუხებთ.

სკოლის დირექტორობა და დედამიწის ზურგზე არც ერთი სხვა თანამდებობა, ჩემს სამწერლო კარიერას არ წაადგებოდა. მე თუ მარცხი განვიცადე, წარმატებული მასწავლებელი და თანამოაზრე ვერ გამოვდექი, ამან შეიძლება, ძალიან სერიოზული ჩრდილი მიაყენოს მთელს ჩემ ცხოვრებას და მწერლურ ავტორიტეტს.

**- რატომ შეაგდე სასწორზე ეს შენი ცხოვრება და შემოქმედება?**

- ფათერაკების მაძიებელი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ არც მოსალოდნელი ხიფათების შემშინებია. ეს ჩემი ხასიათია - მითხრეს, არის საქმე, ბრძოლა, შრომა და არის სარისკო და სწორედ ამიტომ დავთანხმდი.



*ზაალ სამადაშვილი: 9 წელი თბილისის 23-ე სკოლაში გაატარა, საბოლოოდ კი 42-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლა დაამთავრა; 1976 წელს თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა და სამუშაოდ ერთ-ერთ კვლევით ინსტიტუტში გაანაწილეს; ორი წლის მერე შეუერთდა გეოლოგებს და 12-დან 6 თვე ექსპედიციებში დადიოდა, ძირითადად, ჩრდილოეთ კავკასიაში; ამავე პერიოდში ჩნდება მისი პირველი პუბლიკაციები და მუშაობას იწყებს კინოსტუდია "ქართული ფილმის" მწერალთა შემოქმედებით გაერთიანებაში ლიტარატორ-სტაჟიორად. ამ გაერთიანებას კი რეზო თაბუკაშვილი ხელმძღვანელობდა. 1989 წელს აკაკი ბაქრაძის რედაქტორობით გამომავალ გაზეთ "მამულში" იწყებს მუშაობას და ამ გაზეთის არსებობამდე იქ რჩება; იყო ლიტერატურულ ჟურნალ "მეოცე საუკუნის" მთავარი რედაქტორი; შემდეგ მუშაობდა გაზეთ "ქომაგში". დაარსების დღიდან თითქმის 2 წლის განმავლობაში ჩვენს გაზეთშიც მუშაობდა; ბოლო ხანებში კი ლიტერატურული საღამოების უცვლელ წამყვანად გვევლინებოდა.*

ჩვენ შეგვხვდა არა დანგრეული, არამედ მყარად აშენებული შენობები, რომელიც დასანგრევი და თავიდან ასაშენებელია, ეს კი მეტ დროს მოითხოვს.

ჩემი ამბიცია წარმატებული სკოლა, სწავლებისა და აღზრდის მაღალი დონეა. მიუხედავად ამ შემოთავაზების თავზარდამცემი მოულოდნელობისა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ ამბიციის დასაკმაყოფილებლად და მიზნის მისაღწევად სრულ მზადყოფნაში ვარ.

მე თუ მარცხი განვიცადე, წარმატებული მასწავლებელი და თანამოაზრე ვერ გამოვდექი, ამან შეიძლება, ძალიან სერიოზული ჩრდილი მიაყენოს მთელ ჩემს ცხოვრებას და მწერლურ ავტორიტეტს.




## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
დარიო ფოს "თავისუფალი წყვილის" მიხედვით
"თავისუფალი სიყვარული"
რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
ჯონ სინგი
"გმირი"
დამდგმელი რეჟისორი: ზურაბ გეწაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"ჩუმად, რეპეტიციაა!"
ავტორი და რეჟისორი: კახა ბაკურაძე
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"ლიფტში"
კითხულობს: მალხაზ აბულაძე
რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე
ფასი: 3 ლარი

**პანტომიმის თეატრი**
ვაჟა-ფშაველა
"სტუმარ-მასპინძელი"
დადგმა: ამირან შალიკაშვილი
ფასი: 3-5 ლარი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"წყევლა"
დას: 17:30; 19:30 სთ.

"სიახლოვე"
დას: 22:00 სთ.

**ამირანი**
"ავიატორი"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

## გალერეები

**TMS**
რუსუდან ბოლქვაძის ნამუშევრების გამოფენა

**ძველი გალერეა**
ლადო თევდორაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
(ფერწერა)

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"**
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

**ორნამენტი**
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

**ჰობი**
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა)

## პრეზენტაციები

**კაფე "პარნასი"**
ზაზა ბურჭულაძის წიგნის - "სახარება ვირისა" პრეზენტაცია
(გამომცემლობა "ლოგოს პრესი")
დას: 17:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# კიტო და ჭაუხი ერთად გალერეაში

### მსახიობის თვლით დანახული სამყარო

სოფო კილასონია

*1 მარტს გალერეა TMS ახალი ექსპოზიციით მოირთო. "რუსუდან ბოლქვაძის ფოტოგამოფენა" - დაახლოებით ეს სიტყვები ამოვიკითხე საგამოფენო აფიშაზე, როცა რუსთაველს ფეხით მივუყვებოდი. "რუსუდან ბოლქვაძე - მსახიობი თუ სხვა, მისი მოსახელე?"- ეს იყო პირველი კითხვა, რაც საკუთარ თავს დავუსვი და იმისთვის, რომ პასუხი მიმეღო გალერეაში შესვლა გადავწყვიტე. ცნობისმოყვარეობის უქონლობას რომ არ განვიცდიდი, ნამდვილად ვიცოდი, თუმცა თუ გალერეას გამოფენის გახსნამდე გავაღებინებდი, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი. მას შემდეგ კი რაც ფოტო ნამუშევრების ავტორი ვიკითხე, ჯერ კიდევ სრულიად ცარიელ დარბაზში ჩემთვის კარგად ნაცნობი სახე შემომეგება.*


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*რუსუდან ბოლქვაძე: მეშინოდა ცოტა პრეტენზიული არ ყოფილიყო გამოფენა, მაგრამ ახლა, რომ ვუყურებ მიხარია, რომ ასე მოხდა.*

ხუთი საათი მოახლოვდა და გამოფენა გაიხსნა. დარბაზიც ნელნელა რუსუდან ბოლქვაძის მეგობრებითა და კოლეგებით შეივსო. შევამჩნიე მსახიობის ამ მიმართულებით გატაცება, არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ ბევრისთვის იყო აღმოჩენა.

როგორც თავად გამიმხილა, აქამდე ფოტოხელოვნებაზე სერიოზულად არც თავად უფიქრია, თუმცა ფოტოაპარატი ხშირად სჭერია ხელში და მისთვის საინტერესო კადრებს ყოველთვის აფიქსირებდა. ალბათ ამიტომაც, რუსუდან ბოლქვაძეს საკმაოდ დიდი ფოტოკოლექცია და მრავალი ისეთი ნამუშევარი დაუგროვდა, რომელიც ფართო საზოგადოებისთვისაც ნამდვილად საინტერესოა.

**"გამოფენა პირველია და ჩემთვისაც სრულიად მოულოდნელი, მადლობა მინდა ვუთხრა რეჟისორებს, რომლებიც გასულ წელს არ მაკავებდნენ სპექტაკლებში, თავისუფალი ვიყავი და ამ დროის შესავსებად და უსაქმოდ დარჩენის შიშით დავიწყე ფოტოების გადაღება. თუმცა, ამით ადრეც ვიყავი დაკავებული, როცა გასტროლებზე დავდიოდით, ვმოგზაურობდით. ამასობაში კიდეც გამიტაცა ფოტოგრაფიამ. შემდგომ იმ ადამიანებმა, ვის გემოვნებასა და აზრს ვენდობი, მირჩიეს, რომ გამომეფინა, - არ იქნება თავხედობაო - მითხრეს, და ასე მოხდა ეს ამბავი. მეშინოდა ცოტა პრეტენზიული არ ყოფილიყო გამოფენა, მაგრამ ახლა, რომ ვუყურებ, მიხარია, რომ ასე მოხდა",** - გვითხრა რუსუდან ბოლქვაძემ, რომელმაც ჩვენთან საუბარში ისიც აღნიშნა, რომ საკუთარი პერსონალური გამოფენის გახსნა პრემიერას სრულებით არ ჰგავს და მისთვის ამ უჩვეულო მდგომარეობის გამო, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო.

ფერადი ფოტონამუშევრები სასიამოვნო და საკმაოდ სახალისო დასათვალიერებელია. ავტორს არ შეურჩევია გარკვეული სერია ან თემატიკა. ერთიმეორეს მოსდევს საქართველოს სხვადასხვა კუთხის და ევროპული ქალაქების ფოტოპეიზაჟები: "თრიალეთის ქედი", "მარაკაიბო", "კიტო" და "ჭაუხი", "კახეთი", "ესპანეთი" და სხვა მრავალი. შიგადაშიგ ექსპოზიციას მსახიობის მეგობრებისა და ძირითადად, თეატრალური წრის წარმომადგენლების: თემურ ჩხეიძის, ზურა ყიფშიძის, "ქალბატონი ლილის"... ფოტოპორტრეტები ავსებს.

ექსპოზიაციაში კარგად ჩანს ავტორის მშვენიერი განცდა ფერის და რაც ყველაზე საინტერესოა, აღმოვაჩინე, რომ რუსუდან ბოლქვაძე ნებისმიერი ხედისა და პეიზაჟის დაფიქსირებისას არც ცდილობს აღიქვას მისი ეფექტური მხარეები და მაყურებელი რაიმე დრამატიზმითა თუ სხვაგვარი აქცენტებით მოხიბლოს. იგი ყურადღებას ყველაზე ჩვეულებრივ, ყველაზე ბუნებრივ მომენტებზე და სადა სივრცეებზე აჩერებს და ამით მეტ მნიშვნელობას ანიჭებს იმ მომენტებსა და "გამოსახულებებს", რასაც ადამიანები ჩვეულებრივ ვერ ვხედავთ, ან ვხედავთ, მაგრამ ვერ აღვიქვამთ.

რუსუდან ბოლქვაძის ფოტოაპარატით დაფიქსირებული ბუნება და სახეები, ანუ მსახიობის თვალით დანახული სამყარო, ჩემსავით ცნობისმოყვარეებსა და, უბრალოდ, ფოტოხელოვნების დამფასებელს გალერეა TMS-ში მხოლოდ 6 მარტამდე დაელოდება.

# გაჭიანურებული დასასრული

### "ნიამორმა" საუკეთესოები ამოარჩია

ვერა ნეფარიძე

*წლევანდელი "ნიამორის" გრან-პრი იტალიაში გაიგზავნა; სამთო ექსპედიციის ამსახველმა სურათმა - K2 თბილისის სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური ფესტივალის ჟიურის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. ფესტივალ "ნიამორის" გაჭიანურებული დასასრული, რომელიც კინოთეატრ "რუსთაველში" იყო დაგეგმილი, მოგვიანებით კინოს სახლში აღნიშნეს.*


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*"ნიამორის" გამარჯვებულები პუბლიკას ესალმებიან.*

ფესტივალის ორგანიზატორები - არასამთავრობო ორგანიზაცია "კასტირიონის" წარმომადგენლები, ჟიურის წევრები, სპორტული შეჯიბრების გამარჯვებულები და ჟურნალისტები გუშინ ამაოდ შეიკრიბნენ კინოთეატრ "რუსთაველის" ფოიეში. წლევანდელი "ნიამორის" უხარვეზო დასასრულს ხელი ქვეყანაში შექმნილი ენერგოკრიზისის გუშინდელმა გამოვლინებამ შეუშალა. ოთხ საათზე დაგეგმილი დაჯილდოების ცერემონიალი "რუსთაველიდან" კინოს სახლში საღამოს რვა საათისთვის გადაიტანეს. თუმცა, ამით ღონისძიებას საზეიმო განწყობა არ დაკლებია.

როგორც ცნობილია, წელს "ნიამორის" კინოფესტივალზე წინასწარ ხუთი ნომინაცია გამოცხადდა; ორგანიზატორებმა განაცხადები მხოლოდ ოთხ ნომინაციაზე მიიტანეს, აქედან ერთ-ერთზე - ექსტრემი, ერთადერთი ფილმი იყო წარდგენილი, რის გამოც, საგანგებოდ, თითოეული ნომინაციისთვის შერჩეულ ჟიურის საუკეთესოთა შერჩევა სამ ნომინაციაში მოუხდა. ეს ნომინაციები იყო: "სამთო ექსპედიცია", "მოგზაურები" და "მთა და ადამიანი".

"საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე იდეალურია სამთო ტურიზმისა და სპორტის ტრადიციული თუ ექსტრემალური სახეობების განვითარებისთვის. წლების განმავლობაში ჩვენთან, უმეტესად სახელმწიფო თუ კერძო ტელევიზიებში, სტუდიებში იქმნება ამ თემატიკის სატელევიზიო ფილმები; პროფესიონალმა თუ მოყვარულმა სპორტსმენებმა, ალპინისტებმა და, უბრალოდ, მოგზაურებმა მოახერხეს სპორტისა და დოკუმენტური კინოს თანადროული კეთება. ამას გარდა, საქართველოში ფირზე აღბეჭდილია და დაუმონტაჟებელია ასობით საათი. ჩვენთან დამზადებული ფილმები მონაწილეობდნენ მოსკოვის, ტრენტოს (რუსეთი), ვანკუვერის (კანადა), საფრანგეთის სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური ფილმების ფესტივალებზე და ბევრიც ნომინირებულია", - ამბობენ "ნიამორის" ორგანიზატორები და მიაჩნიათ, რომ მსგავსი ფესტივალი საქართველოში ხელს შეუწყობს დოკუმენტური კინოფონდის შევსებას სპორტულ-სათავგადასავლო თემატიკის სურათებით; იმ ფილმებით, რომელთა მსგავსიც საკმაოდ პოპულარულია მთელ მსოფლიოში. სწორედ ამ მიზნით გაიმართა შარშან პირველი "ნიამორი", რითაც დასაბამი მისცა სპორტულ-სათავგადასავლო ფილმების ახალ ტალღას. შარშანდელ კონკურსში 27 ფილმი (მათ შორის, ერთ-ერთი შეერთებულ შტატებში იყო დამზადებული) მონაწილეობდა, საუკეთესოდ კი, "რუსთავი 2"-ის გადამღები ჯგუფის, ნამუშევარი - "თუჯი ჩეი ჯომოლუნგმა" დასახელდა. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ნინო ჯაფიაშვილისა და მიშა თვარაძის ფილმი "სამყაროს კიდეზე" წლევანდელი კონკურსის საუკეთესო სამამულო (რადგანაც გრან-პრი იტალიელების ნამუშევარმა მიიღო) ნამუშევრად მიიჩნიეს. მიშა თვარაძეს კი კიდევ ერთი პრიზი ერგო, როგორც საუკეთესო ოპერატორს (ამავე ნომინაციის კიდევ ერთი გამარჯვებულია ბიძინა გუჯაბიძე).

საკონკურსო ფილმების ჩვენება კინოთეატრ "რუსთაველში" 25-28 თებერვალს გაიმართა. ძირითადი ნომინაციების გარდა, სპონსორების (ყავა "პელე", "ზაზა დარასელის ფონდი", WWF-კავკასიის ბიურო, "რონიკო") მიერ დაწესებული პრიზები დამატებით ნომინაციებშიც (მაგალითად, მაყურებლის სიმპათია, რომელიც "ჯავახეთის გაზაფხულს" ხვდა წილად) გაიცა. მთლიანობაში, პრიზები თოთხმეტ ნომინაციაზე განაწილდა. ფავორიტებად შეიძლება დასახელდეს: იტალიური K2 (გრან-პრისთან ერთად, ის საუკეთესო უცხოური ფილმის ნომინაციის ლიდერიც გახდა), "მშვიდობით ჩემო მთებო" (შვეიცარიელების ნამუშევარმა ორ ნომინაციაში - "მთა და ადამიანი" და "საუკეთესო ხმის რეჟისურაში" გაიმარჯვა) და "ბილიკების ენა" (ნომინაციები: "მოგზაურები" და "ისტორიის საუკეთესო მემატიანე"). საუკეთესო რეჟისორებად დასახელდნენ: თეიმურაზ აბუთიძე და არჩილ ქიქოძე; ექსტრემალური მცდელობისთვის - თინათინ მრულიშვილი; "ყარაყორუმის გზამ" კი პრიზი საუკეთესო სცენარისთვის დაიმსახურა. გამარჯვებულებმა პრიზებთან ერთად, სხვადასხვა ოდენობის ფულადი (100-დან 500 ამერიკულ დოლარამდე) ჯილდოებიც მიიღეს. ამგვარად, ფესტივალი დასრულდა, მოგზაურობის, ექსტრემისა და თავგადასავლების მოყვარულებს კი ვურჩევთ, დაიწყონ საინტერესო წუთების ფოტო და ვიდეოკამერებზე აღბეჭდვა - "ნიამორი" ძლიერდება.

# ჰაროლდ პინტერი მიდის

ცნობილმა ბრიტანელმა დრამატურგმა ჰაროლდ პინტერმა "ბი ბი სი 4"-ის რადიოეთერში ისეთი განცხადება გააკეთა, რომ შემდეგ მთელი ბრიტანული პრესა აალაპარაკა. "პიესების წერას თავი დავანებე. ალბათ, 29 პიესამდე მაქვს დაწერილი. საკმარისია, არა? ახლა ლექსებს ვწერ. თვითგამოხატვის სხვა ფორმა ვიპოვე".

მოკლედ, ასე - პინტერი პიესებს აღარ შექმნის. არადა, ის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ბრიტანელი დრამატურგია, რომლის მრავალი ტექსტიც შედევრებადაა მონათლული: "შინ დაბრუნება" (Homecoming), "ღალატი" (Betrayal), "დაბადების დღე" (The Birthday Party).



ახლა, როგორც თვითონ ამბობს, მთელ შემოქმედებით ენერგიას სხვა მიმართულებით წარმართავს - მთლიანად პოეზიაში გადაინაცვლებს. გარდა ამისა, ეცდება პოლიტიკაზეც აღარ იფიქროს ბევრი ისე როგორც ბოლო წლებში აკეთებდა: "ბოლო წლებია, სხვადასხვა ღონისძიებაზე მუდმივად გამოვდივარ და პოლიტიკურ სიტყვებს წარმოვთქვამ. ამ საქმეებს უზარმაზარ ენერგიას ვახარჯავ, რაც ვფიქრობ, ცუდია".

მართლაც, 2003 წელს გამოვიდა მისი პოეტურ-პოლიტიკური ლექსების კრებული - ომის წინააღმდეგ მიმართული სულისკვეთებით აღსავსე ტომი, რომელიც, პირველ რიგში, ერაყული ომის გაკრიტიკებას ისახავდა მიზნად. ეს კრებული იმავე წელს უილფრედ ოუენის პრიზით დაჯილდოვდა - პოეტის, რომელიც პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა. რაც შეეხება დრამატურგიულ ნაწარმოებებს, ბოლოს დღის შუქი მისმა პიესამ "წარსულის გახსენება" (Remembrance of Things Past) 2000 წელს იხილა. პიესა ლონდონის ნაციონალურ თეატრში დაიდგა. მართალია, სპექტაკლის რეცენზენტები აღფრთოვანებულნი არ დარჩენილან, მაგრამ ამას პინტერის რეპუტაცია მაინც არ შეულახავს. ის დღესაც ბრიტანული სცენის გრანდად ითვლება. მარტში ბირმინგემის თეატრის სცენაზე მისი "დაბადების დღის" განახლებული ვერსია დაიდგმება. ეს პიესა პინტერმა 1957 წელს დაწერა.

ასე რომ, დაპირება დაპირებაა - პინტერი პიესებს აღარ დაწერს. ზოგს კი ეჭვი ეპარება, რომ დრამატურგი ისევე გაითქვამს სახელს პოეზიით, როგორც ეს დრამატურგიით მოახერხა. შარშან ელიოტზე მოხსენების წაკითხვის დროს პოეტმა დონ პატერსონმა თქვა კიდეც: "პოეზიაში ძალების მოსინჯვა, ამხელა რისკზე წასვლა არ ნიშნავს ბინძური ერაყული ომის შესახებ ლანძღვით სავსე ტექსტების წერას; თუნდაც მსოფლიოს უდიდესი დრამატურგი იყო. ეს ხომ ისედაც ყველას შეუძლია".

ახლა პინტერი პოლიტიკური დოზების შემცირებასაც აპირებს; და თუ იყო დრო, როცა პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერს "მატყუარა იდიოტს" ეძახდა, ჯორჯ ბუშს კი "მასობრივ მკვლელს", ახლა მხოლოდ ლექსებს დაწერს, ალბათ, სიყვარულზე...

# ფესტივალი "ქართული სული"

11-16 მარტს თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ფესტივალი "ქართული სული" გაიმართება. ღონისძიება საპროდიუსერო კომპანია "არტ რუსთავის" ინიციატივით იმართება.

ფესტივალი ანსამბლ "რუსთავის" საკონცერტო სოლო-პროგრამით გაიხსნება. მონაწილეობას მიიღებენ ანსამბლები "ფორტე", "ფესვები" და "ქართული ხმები". დაგეგმილია კომპოზიტორ ლილიკო ნემსაძის შემოქმედებითი საღამოს მოწყობაც. კომპანია "არტ რუსთავი" მსგავსი ფესტივალის გამართვას მიმდინარე წლის შემოდგომაზეც გეგმავს.

*ინტერ-პრესი*

# 13 წლის შემდეგ

## "მოგზაურობა ყარაბაღში" - წიგნიდან ფილმამდე

ნინია კაკაბაძე

ახალი ქართული ფილმი, რომელსაც დიდი ხანია, ელოდება მაყურებელი, ფილმი, რომელიც, შესაძლოა, ყველაზე მაღალბიუჯეტიანია უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, ფილმი, რომლის შექმნაზეც ბევრმა ადამიანმა იფიქრა, იმუშავა, ფილმი, რომელშიც არის ამბავი, რომელიც იწყება და მთავრდება, ფილმი, რომელშიც ნათლად ჩანს პროფესიონალის ხელი, ფილმი, რომელშიც არტისტების უმრავლესობა არ არის ყალბი, ფილმი, რომელზეც იმუშავა ოპერატორმა. დაბოლოს, ფილმი, რომელსაც, საქართველოში მაინც, ეყოლება მაყურებელი.

მაგრამ ყველაფერ ზემოთქმულზე უფრო კონკრეტულად:

**წიგნი.** "როცა აგრესიაა, ყველაფერი იდღაბნება და ყველაფერს ერთ ფერში ხედავ. ამ დროს კი ყველაფერი ერთნაირი არ არის. როგორც ერთ ძველ ფილმში იტყვიან, არჩევა ყოველთვის შეგიძლია. ეგ არის, რომ ვერ ბედავ და მერე სხვაზე ბრაზობ. მგონი, ეს წიგნიც ამაზეა." - წერს აკა მორჩილაძე წიგნის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში, რომელიც პირველი გამოცემიდან 12 წლის შემდეგ გამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ იმყოფება სამოქალაქო ომის პირობებში, ის, რაც აკა მორჩილაძის პირველ რომანში ხდება, დღესაც ხდება. შესაძლოა, ეს არ არის მორჩილაძის საუკეთესო ნაწარმოები, მაგრამ რომანი აშკარად საინტერესოა და ის დღესაც არ კარგავს აქტუალობას. მხატვრული ნაწარმოები მაშინ არის განსაკუთრებით საინტერესო, როდესაც მკითხველს თუ მაყურებელს თავისებურად ესმის, თავისებურად აანალიზებს და საკუთარი დამოკიდებულება უყალიბდება მის მიმართ. აკა მორჩილაძე წერს, რომ ეს წიგნი აგრესიაზეა, რომელიც იფანტება და, ნებით თუ უნებლიეთ, ამ აგრესიის მსხვერპლი ან მონაწილე ხდები. ასეც არის ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის, წიგნის მთავარი გმირის სახე - შეშინებული, მარტოსული, დაბნეული - ამ აგრესიული სამყაროს ფონზე იკვეთება და საბოლოოდ მის, ანუ გარესამყაროს მსხვერპლად ყალიბდება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მართლაც არსებობს არჩევანი, მაგრამ სწორი არჩევანის გაკეთებას ვერ ვბედავთ. წიგნში წინა პლანზე წამოწეულია გმირის ტრაგიკული ხასიათი, რომელიც სიუჟეტთან ერთად ვითარდება. რომანის დამთავრებისთანავე გეუფლება შეგრძნება (მიუხედავად იმისა, რომ თხრობის სტილი არ არის მძიმე), რომ ვითარება მძიმე იყო და, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის უსამართლობა, აგრესია, სიკვდილი, შიში, მარტოობა და, რაც ყველაზე მთავარია, ომი, როგორც აბსურდი, ჯერ კიდევ არსებობს.







**ფილმი.** ფილმი თითქოს მიჰყვება წიგნის სიუჟეტს, პატარა მონტაჟური გადანაცვლებებით, რომელიც, ვფიქრობ, ურიგო არ უნდა იყოს, ამოგდებულია რამდენიმე მეტად თუ ნაკლებად უმნიშვნელო ეპიზოდი და ჩამატებულია რამდენიმე არამორჩილაძისეული დეტალი. როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ფილმს საქართველოში გარანტირებული ჰყავს მაყურებელთა ერთი სეგმენტი. ეს ის ადამიანები არიან, ვინც მხედრიონელის, გვარდიელის თუ მოხალისის სტატუსით მონაწილეობას იღებდა სამაჩაბლოს, აფხაზეთის თუ სამოქალაქო ომში. რატომ? იმის გამო, რომ სურათი და გმირი ზედმეტად რომანტიზებულია, იგრძნობა აშკარა ნოსტალგია იმ პერიოდის მიმართ. სამხედრო ფორმა, ავტომატი, განუკითხაობა - რომელიც ყველა რიგითს მეთაურად აქცევდა. იმ დროს ყველა გრძნობდა საკუთარ ძლევამოსილებას. მაგრამ ფილმი 13 წლის შემდეგ არის შექმნილი და იგრძნობა არა პირდაპირი და სწორხაზოვანი ნატვრა იმ ეპოქისა, არამედ წარსულის იდეალიზება, რომელიც ძირითადად მთავარი გმირის სახეში იკვეთება. სიმპათიური ქართველი ბიჭი, რომლის ნაციონალობას რუსი ჟურნალისტი გოგონა შორიდან "ზურგის ტვინით" გრძნობს. მთავარი გმირის სახე არ არის ზუსტად რომელიმე "მებრძოლის" მოდელი, ის უფრო დახვეწილია, თითქოს ისეთია, როგორიც "მებრძოლებს" უნდოდათ რომ ყოფილიყვნენ. გიომ (მთავარი გმირი - მსახიობი ლევან დობორჯგინიძე) იცის, რომ ნარკოტიკი ცუდია. გიოს უყვარს ქალი, ვის სიყვარულსაც მეშჩანური მიკროგარემო უკრძალავს. გიოს არ უნდა იცოდეს, როგორია ადამიანის მოკვლა, გიოს არ უნდა, რომ რუსი ბოზი ქალი მოსწონდეს და უნდოდეს, გიოს უყვარდა და დღესაც უყვარს ჯაზი. ეს და კიდევ რამდენიმე დეტალი აკლდათ იმდროინდელ გიოებს, ხოლო დღევანდელი გიოები ისურვებდნენ, რომ 13 წლის წინ ასეთები ყოფილიყვნენ. ასე რომ, ქართველი მაყურებლის ეს ნაწილი ყოველთვის სიამოვნებით ნახავს ამ ფილმს. ფილმს, რომელშიც მათი წარსული გაცილებით დახვეწილი და სიმპათიურია, ვიდრე სინამდვილეში თავად იყვნენ.

**მსახიობები.** სამსახიობო გუნდი გაცილებით დამაჯერებლად გამოიყურება, ვიდრე ამას ბოლო ათწლეულის ქართულმა კინომ შეგვაჩვია. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ფილმში ნაკლებად არიან ძველი კინოს ის სახეები, რომლებიც ამ ხნის მანძილზე "გვანებივრებდნენ". ყველაზე არადამაჯერებლად და ყალბად გამოიყურება გოგი ხარაბაძე, რომელიც აგრძელებს ტრადიციული "ცუდი კაცის" როლის განსახიერებას. არ შეიძლება არ აღინიშნოს გიორგი გაჩეჩილაძის ("უცნობის") მიერ შესრულებული როლი. იგი ყველაზე ბუნებრივად გრძნობს თავს კამერის წინ და ყველაზე პროფესიონალურად ასახიერებს ერთი "ძველი" თუ "დაკარგული" ბიჭის როლს. მისი გმირი ყველაზე დამაჯერებელია და ეს მხოლოდ მისი დამსახურებაა.

**სცენები და მუსიკა.** არაბუნებრივია სასიყვარულო სცენები - არაორიგინალური და არამოტივირებული მუსიკალური ჰანგების ფონზე საოცრად ხელოვნურად გამოიყურება. რომანტიკული სცენების შესრულება საკმაოდ რთულია. ამ სირთულეს აღიარებს ბევრი პროფესიონალი რეჟისორი თუ მსახიობი. არ ვიცი, ვისი გამოუცდელობის ბრალია - მსახიობების თუ რეჟისორის, მაგრამ ფაქტია, რომ გიოს და იანას (ნუცა კუხიანიძე) შეხვედრის, ურთიერთობის თუ სიყვარულის სცენები ნამდვილი ჩავარდნაა. იგივე შემიძლია ვთქვა ფილმის მუსიკალურ გაფორმებაზეც (მუსიკის ავტორი ნუკრი აბაშიძე), რაც ასევე რთული მისასადაგებელია გამოსახულებასთან, იმისთვის რომ მუსიკამ მხოლოდ გართობის და ემოციური ფონის შექმნის ფუნქცია არ იტვირთოს. აქ კი სწორედ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე - მუსიკა ცდილობს, ემოციური შეგრძნებების გაღვივებაში დაგვეხმაროს. ეს პროფესიული კინოსთვის სრულიად მიუღებელია - მუსიკა არ არის გამოსახულების ილუსტრაცია, მით უმეტეს, ცუდი ილუსტრაცია.

**შიდა დინამიკა.** წიგნის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ის გახლავთ, რომ საოცრად კინემატოგრაფიული, აქედან გამომდინარე, დინამიკურია და ერთი ამოსუნთქვით იკითხება. ეს, პირველ რიგში, აკა მორჩილაძის პროფესიონალიზმზე მეტყველებს. არ შემიძლია არ აღვნიშნო ფილმის პროდიუსერის ლევან კორინთელის დამსახურება, რადგან სწორედ მან დაინახა ეს ლიტერატურული ნაწარმოები ფილმად და მასვე ეკუთვნის მისი ეკრანიზაციის იდეა. მაგრამ როგორ ასრულებს ამას რეჟისორი? თუ წიგნი დინამიკურია და ასეა ფილმის პირველი ნაწილიც, საოცრად ვარდება რიტმი ფილმის მეორე ნაწილში - ხდება გრძელი, დამღლელი და გაწელილი. სომხეთის ეპიზოდი წიგნშიც ყველაზე ვრცელია, მაგრამ ვრცელი და არა მოსაბეზრებელი. მეორე ნახევარში მაყურებელი იღლება იმისგან, რომ ფილმში არაფერი ხდება, ერთი და იგივე სცენები მეორდება, არ ვითარდება არც სიუჟეტი და არც გმირის ხასიათი. შედეგი კი ის გახლავთ, რომ კარგად დაწყებული ფილმის დასასრული ვერ აღწევს კულმინაციას, ფინალი არასრულყოფილია.

**დანამატი.** ფილმში რამდენიმე ცვლილებაა, შესაძლოა, ნაკლებად შესამჩნევი, მაგრამ მნიშვნელოვანი. მაგალითად, წიგნში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გმირია ვალერა, რომელიც გიოს პირველად მიანიშნებს, რომ ის ამ ტერიტორიაზე ტყვეა. ვალერა მხატვარია (მის როლს ულიმღამოდ და უფერულად ასრულებს გიორგი გურგულია). არ ვიცი, ფილმში ვინ შემოიტანა ერთი მეტაფორა, რომელიც სრულიად ზედმეტია. ვალერას ტილო ე.წ. "ლიმონკაა", ის ამ ასაფეთქებელ მოწყობილობაზე ხატავს. ეს გაუმართლებელი და სწორხაზოვანი მეტაფორა წიგნში არ არის და საოცრად არამორჩილაძისეულად გამოიყურება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს დეტალი გადაღების პერიოდში რომელიმე დილეტანტმა შეიტანა და, თანაც, საკუთარი გამონაგონით აღფრთოვანდა. შესაძლოა, ვცდები და ეს თავად აკა მორჩილაძეს და თანასცენარისტ ირაკლი სოლომონაშვილს ეკუთვნით. ფაქტი ერთია: სრულიად ზედმეტია ეს მხატვრული მეტაფორა.

გიოს და მარინკას, რუსი ფოტორეპორტიორის ურთიერთობა ზედმეტად პოლიტიზებულია და ძირითადად რუსულ-ქართული კონფლიქტების ფონზე ვითარდება. დაბოლოს, სექსი გაურკვეველი ფინალით. გაათავე? - ეკითხება ქალი მამაკაცს. არც ეს ვიცი, ვინ არის ამ "ლოგიკური" და "საინტერესო" კითხვის ავტორი, კითხვისა, რომელიც ფილმში რამდენჯერმე გაისმის. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ამ კითხვას რაღაც გაუგებარი სიმბოლური დატვირთვა აქვს.

ზედმეტად პედანტური რომ არ მოგეჩვენოთ ფილმისა და წიგნის შედარებითი ანალიზი, დანარჩენ "დამატებებზე" ყურადღებას აღარ შევაჩერებ.

**დარბაზი.** ქართული აუდიტორია, როგორც ყოველთვის, შეუდარებელია. რომელიღაც გაურკვეველი კრიტერიუმით ითვლება, რომ ის პროფესიონალურია. სინამდვილეში კი გია დანელიას ფილმ "მიმინოს" კინოჩვენებაზე დამსწრე აუდიტორიას მოგვაგონებს. ტაში - ეკრანზე ნაცნობის გამოჩენისთანავე, ტაში - სექსუალური ან სავარაუდო სექსის სცენის მოახლოებისთანავე, ტაში - სასაცილოდ წარმოთქმულ ფრაზაზე, ტაში - ხმამაღალ მუსიკაზე, რომელიც აღფრთოვანებას იწვევს. ერთი სიტყვით, ტაში და შეძახილები ფილმის მსვლელობის დროს.




**დაბოლოს ისევ ფილმი.** ყველაფრის მიუხედავად, ფილმი იძლევა შეფასების, განსჯისა და მსჯელობის საშუალებას, რისი შესაძლებლობაც ბოლო წლების ქართულმა კინოპროდუქციამ მთლიანად მოსპო. ეს არის ნაწარმოები, რომელსაც აქვს დასაწყისი და დასასრული, გასაგებია, რას გვთავაზობს ავტორი. ფილმი გამართულია მონტაჟურად, ფილმში მსახიობის არტიკულაცია ემთხვევა ტექსტს, რაც ყველაზე მეტად მოენატრა ქართველ მაყურებელს. ოპერატორ გორან პავიჩევიჩის ნამუშევარს ეტყობა, რომ მის ავტორს ყოველ კადრზე უფიქრია, კადრის "ფორმა და შინაარსი" ძირითადად გამართლებულია. ამ მხრივ ეს ნამდვილად არის ახალი სიტყვა თანამედროვე ქართულ კინოში და იმედს იძლევა, რომ მომავალში კიდევ უფრო დაიხვეწება.


ისარგებლეთ ლაი·ლაი-თ & იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შეშელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | დადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | დუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედროს №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |

24 საათი 3 ლაი·ლაი

აქცია ძალაშია: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების განაღდება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.

ამოჭერით

ინფოთეკა

### ქართველი ჭაბუკები "დინამოს" ძირავენ

საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებმა, რომელიც რუსეთისა და უკრაინის ჩემპიონატებში საკმაოდ გაშინაურებული გუნდია, გუშინ და გუშინწინ მორიგი მატჩები გამართა და ორივეში გაიმარჯვა. საუბარია უკრაინის ჩემპიონატზე, რომლის მესამე ტურის მატჩებიც ამ დღეებში მიმდინარეობს.

პირველ და მეორე ტურის მატჩებზე შარშან ვიუწყებოდით. ამჯერად მასზე აღარ შევჩერდებით და მხოლოდ იმას ვიტყვით, რაც გვაცნობეს.

საქართველოს ნაკრებს პირველი მატჩი სამშაბათს კიევის "დინამოსთან" ჰქონდა და 12:7 მოიგო. გალაკტიონ ლაითაძემ ხუთი ბურთით გაიტანა. კიევის "დინამოს" დამარცხებაში საკუთარი წვლილი შეიტანეს: ილია ბუტიკაშვილმა სამი, ზურაბ რურუამ - ორი, ესტატე ნიკოლეიშვილმა და მიხეილ ბაღათურიამ კი თითო ბურთი შეაგდეს დინამოელთა კარში. გუშინ კი ლვოვის "დინამოს" შეხვდნენ და 11:7 მოიგეს. მიხეილ ბაღათურიამ ხუთი ბურთით დააწინაურა თანაგუნდელები, ხოლო გალაკტიონ ლაითაძემ - სამით. თითო ბურთი გაიტანეს ზურაბ რურუამ, ესტატე ნიკოლეიშვილმა და ილია ბუტიკაშვილმა. საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებს დღეს ხარკოვის "დინამოსთან" მესამე ტურის ბოლო მატჩი აქვს.

სხვადასხვა ჯგუფებში გადანაწილებულ გუნდებს შორის პირველ ადგილზე მარიუპოლის გუნდია, მეორეზე - საქართველო.

### დაუმს წყალი შეუყენეს და ლუჩესკუზე ალაპარაკდნენ

გერმანული სააგენტო SID იტყობინება, რომ "ფენერბახჩეს" მწვრთნელი კრისტოფ დაუმი უკმაყოფილოა ინფორმაციით, რომლის მიხედვითაც ზაფხულში მისი ადგილი მირჩა ლუჩესკუმ უნდა დაიკავოს. "სოვეტსკი სპორტის" ინფორმაციით, ცნობა, რომლის მიხედვითაც გერმანელმა მწვრთნელმა "ფენერბახჩე" უნდა დატოვოს და მისი ადგილი დონეცკის "შახტიორის" რუმინელმა მწვრთნელმა უნდა დაიკავოს, სამშაბათს თურქული გამოცემის Fanatik-ის პირველ გვერდზე გამოჩნდა.

"გულგატეხილი ვარ. ეტყობა, ზოგიერთებს კლუბისა და მისი მოთამაშეებისთვის ცუდი სურთ. თუ მე არ ვჭირდები სტამბოლს, ესპანეთში, "ვალენსიაში" წავალ", - აცხადებს დაუმი.

რაც შეეხება ლუჩესკუს, იგი დონეცკის "შახტიორამდე" თურქეთის "გალათასარაის" და "ბეშიქთაშს" წვრთნიდა. და კიდევ, იმავე სააგენტოს ცნობით, ლუჩესკუს "შახტიორთან" სამწლიანი ხელშეკრულება აკავშირებს, თუმცა, გვამცნობს, რომ, იმავე ხელშეკრულების თანახმად, რუმინელ მწვრთნელს ნებისმიერ დროს შეუძლია შეთანხმების გაუქმება.

### პოლიციამ რონალდოს სახლის მძარცველი დააკავა

რიო დე ჟანეიროს პოლიციამ ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელის რონალდოს მამის მძარცველი დააკავა. ირკვევა, რომ ნელიო ნაზარიოს სახლი 32 წლის ვინმე კარლოს სეზარ მონტეიროს გაუძარცვავს, რაც დაკავების შემდეგ ულიარებია კიდეც. კარლოს სეზარ მონტეიროს დაკავებამდე ერთი დღით ადრე პოლიციამ დააკავა 28 წლის რიკარდუ ენრიკ დუშ სანტუსი, რომელსაც ბინაში რონალდოს მამისთვის მოპარული ნივთები აღმოაჩნდა. კერძოდ, პოლიციამ ბინიდან ამოიღო 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის ბურთი და ნაკრების წევრთა ხელმოწერებით დამშვენებული მაისურა, რომელიც 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე რონალდოს ეცვა. გარდა ამისა, პოლიციის მიერ აღმოჩენილ ნივთებს შორისაა საწერი კალმები, სპორტული სათვალეები, საათი და ვიდეოკასეტები.

დუშ სანტოსი კი აცხადებს, რომ პოლიციის მიერ მისი ბინიდან ამოღებული ნივთები მას დამ აჩუქა. დუშ სანტოსის და კი მონტეიროს მეუღლე ყოფილა. თუმცა, ნაპოვნი ნივთები მხოლოდ ნაწილია იმისა, რომელიც რონალდოს სახლიდან გაიტანეს მძარცველებმა. მოპარულია დაახლოებით 100 მაისურა, მათ შორის ისიც, რომლითაც რონალდომ პირველად იასპარეზა ნაკრებში. გარდა ამისა, დღემდე დაკარგულად ითვლება ისეთი რარიტეტები, როგორიცაა სამიდან ერთ-ერთი "ოქროს ბუცი", გერმანიის ნაკრების მეკარის ოლივერ კანის მაისურა, რომელიც ამ უკანასკნელს იაპონია-კორეის მსოფლიო ჩემპიონატზე ეცვა. მთლიანობაში, რონალდოს მამის თქმით, მძარცველთა ნადავლი დაახლოებით 75 ათას დოლარს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ სახლი, რომელიც რიო დე ჟანეიროს პრესტიჟულ უბანშია, მძარცველებმა მაშინ გატეხეს, როდესაც ნაზარიო საფრანგეთში შვილის - რონალდოსა და დანიელა ჩიკარელის ქორწილში იყო.

### ჩემპიონი კვლავაც შუმახერი იქნება

საზოგადოებრივი აზრის გერმანიის ინსტიტუტმა "Emnid"-მა ჩაატარა გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც ირკვევააა: 93 პროცენტი დარწმუნებულია, რომ ფორმულა 1-ის 2005 წლის მსოფლიო ჩემპიონატიც მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის მიხაელ შუმახერის ტრიუმფით დასრულდება. გამოკითხულთა 76 პროცენტს ეჭვი არ ეპარება, რომ "ფერარი" ზედიზედ მეშვიდედ მოიგებს კონსტრუქტორთა თასს. რესპონდენტთა 24 პროცენტს მიაჩნია, რომ უფროსი შუმახერისთვის ყველაზე საშიში მეტოქე მაკლარენელი ფინელი კიმი რაიკონენია. 23 პროცენტს მომავალ ტრიუმფატორად მიხაელ შუმახერის ძმა რალფი ევლინებათ. ასევე 23 პროცენტს მიაჩნია, რომ მიხაელს კონკურენციას გაუწევს მისივე თანაგუნდელი, 2004 წლის ვიცე-ჩემპიონი ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო.

ფეხბურთი

# ფერნანდო იერო: "ალბათ მადრიდში დავბრუნდები"

*ფერნანდო იერო*
*დაიბადა 1968 წლის 23 მარტს*
*მცველი, ნახევარმცველი*
*სიმაღლე: 187სმ, წონა: 81კგ*
*კლუბები: "ვალიადოლიდი" (ვალიადოლიდი, ესპანეთი, 1987-89), "რეალი" (მადრიდი, ესპანეთი, 1989-2003), "ალ-რაიან სპორტს ქლაბ" (ალ-რაიანი, ყატარი, 2003-2004). "ბოლტონი" (ბოლტონი, ინგლისი, 2004-)*
*ტიტულები: ესპანეთის ჩემპიონი - 1990, 1995, 1997, 2001, 2003, ესპანეთის თასი - 1993, ესპანეთის სუპერთასი - 1990, 1993, 1997, 2001, ჩემპიონთა თასი - 1998, 2000, 2002, ევროპის სუპერთასი - 2002, საკონტინენტთაშორისო თასი - 1998, 2002, ესპანეთის საუკეთესო ფეხბურთელი ("ელ პაისი") - 1997*
*ესპანეთის ნაკრებში ჩატარებულ 89 მატჩში გაიტანა 29 გოლი*



რამდენიმე თვეც და ახლო წარსულის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ფერნანდო იერო კარიერას დაასრულებს. ფიფას ინტერნეტ-გვერდთან საუბრისას, რომელიც ფეხბურთელის 37 წლის იუბილემდე რამდენიმე დღით ადრე შედგა, მადრიდის "რეალის" ყოფილმა კაპიტანმა სახელოვან წარსულზე, კარიერის საუკეთესო მომენტებზე და აუხდენელ ოცნებებზე ისაუბრა.

ესპანეთის პატარა ქალაქ მალაგაში დაბადებულმა იერომ კარიერა ადგილობრივ "ველესში" დაიწყო, საიდანაც 1987 წელს "ვალიადოლიდში" გადაინაცვლა. ორი წლის შემდეგ ფერნანდო იერო მადრიდის "რეალის" წევრი გახდა და მას შემდეგ მთელი 14 წლის განმავლობაში იცავდა სამეფო კლუბის ღირსებას. გარდა იმისა, რომ ხუთჯერ მოიგო პრიმერადივიზიონი, სამჯერ ჩემპიონთა, ორჯერ საკონტინენტთაშორისო, ხოლო ერთხელ ევროპის სუპერთასები აღმართა. რაც მთავარია, ესპანეთის ნაკრების ღირსებას იცავდა მსოფლიოს ოთხ და ევროპის ორ ჩემპიონატზე.

"რეალის" შემდეგ იყო აზია: ყატარის ჩემპიონატში გატარებული ერთი სეზონის შემდეგ იერომ ინგლისის პრემიერლიგის კლუბ "ბოლტონის" მაისურა მოირგო. ესპანელი დღესაც ბოლტონელთა წევრია.

**- კარიერის დასრულება ინგლისის ჩემპიონატში არჩიეთ. პრემიერლიგაში თამაშზე დიდხანს ოცნებობდით?**

- მას შემდეგ, რაც მადრიდის "რეალი" დავტოვე, მივხვდი, რომ ერთადერთი ადგილი, სადაც თამაში მსურდა, ინგლისი იყო. ძალიან მომწონდა კლუბისა და გულშემატკივრების დამოკიდებულება, ურთიერთსიყვარული და რადგან ესპანეთში ამას მეტ-ნაკლებად მოკლებული ვიყავი, მსურდა კარიერის მიწურულს მაინც გამეგო მისთვის გემო. საბედნიეროდ, ყატარში გატარებულმა ერთმა სეზონმა დასვენებისა და მოვლენების სათანადოდ შეფასების საშუალება მომცა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე 36 წლის ასაკში პრემიერლიგაში თამაში. ასე რომ არ ყოფილიყო, ამ ნაბიჯს არ გადავდგამდი.

**- თვლით თუ არა, რომ პრემიერლიგა მსოფლიოს საუკეთესო ლიგაა და თუ შეადარებდით მას პრიმერადივიზიონს?**

- ესპანეთის ჩემპიონატში 16 წელი ვითამაშე და ვფიქრობ, მაქვს დასკვნის გაკეთების უფლება: პრემიერლიგასთან შედარებით, პრიმერადივიზიონი ტაქტიკური ფეხბურთის მიმდევარია. მაგრამ ინგლისში აშკარად იგრძნობა ფეხბურთის მაღალი კულტურა, თითქმის ორასწლოვანი ტრადიცია და ამ ფაქტს ვერსად წაუხვალ. თამაშის სიყვარულით ინგლისი არათუ ესპანეთს, ნებისმიერ სხვა საფეხბურთო ქვეყანას სჯობს!

**- ბევრი გულშემატკივარი დღესაც თვლის, რომ 2003 წელს "რეალიდან" თქვენი წასვლა ნაჩქარევი იყო. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

- ადრეც მითქამს და ახლაც გავიმეორებ: სწორი ნაბიჯი გადავდგი! იმ გაზაფხულს ესპანეთის ჩემპიონი გავხდი და მინდოდა კლუბი ტიტულით დამეტოვებინა. მიუხედავად იმისა, რომ "რეალმა" ერთწლიანი კონტრაქტი შემომთავაზა, მივხვდი, ლამაზად წასვლის უკეთესი შანსი არ მექნებოდა. კლუბს გრძელვადიანი ხელშეკრულება რომ ეხსენებინა, შესაძლოა, მეფიქრა, მაგრამ რაც იყო, იყო. ახლა რა აზრი აქვს ამაზე საუბარს? ერთადერთი, რაც მახარებს ისაა, რომ "რეალის" ხსენებისას "ესტადიო სანტიაგო ბერნაბეუზე" გატარებული ბრწყინვალე 14 წელიწადი მახსენდება!

**- მას შემდეგ, რაც "რეალი" დატოვეთ, სამეფო კლუბმა მხოლოდ ესპანეთის სუპერთასის მოგება მოახერხა და ისიც 2003 წელს. გული ხომ არ გწყდებათ, თქვენს საყვარელ კლუბს ასეთ დღეში რომ ხედავთ?**

- იცით, "რეალი" არც ისე ცუდ დღეშია, როგორც პრესა წერს. გუნდმა გულშემატკივრები ტიტულებს მიაჩვია და თუ სეზონში ჯილდო ვერ მოიგო, ის წელი ჩაგდებულად ითვლება. არადა, მსგავს თამაშს ასობით გუნდი ინატრებდა. მიმაჩნია, რომ "რეალი" ისეთივე ძლიერია, როგორც სამი-ოთხი წლის წინ. ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გამოვიტანთ: მადრიდელებს პრიმერადივიზიონის მოგებაც შეუძლიათ და ჩემპიონთა ლიგისთვის ბრძოლასაც განაგრძობენ. ასე რომ, ვანდერლეი ლუშემბურგოს კლუბს წინასწარ ნუ ჩამოვწერთ. დასასრულამდე ჯერ კიდევ სრული სამი თვეა. ეს კი ძალიან დიდი დროა. მერწმუნეთ.

**- თქვენი აზრით, რა არის იმის მიზეზი, რომ წელიწადნახევრის მანძილზე "რეალმა" ტიტული ვერ მოიგო?**

- ალბათ, გადაღლა. 1996 წლიდან 2003 წლის ჩათვლით ჩვენ ყოველ წელს, სულ ცოტა, ორ ჯილდოს ვიგებდით. შესანიშნავი დრო იყო, მაგრამ ყოველთვის გამარჯვებული ვერ იქნები. ჩანს, აღმართის შემდეგ დაღმართი დაიწყო. თუმცა, იმედი მაქვს, ასე დიდხანს არ გაგრძელდება - "რეალი" უძლიერესი კლუბია და თავს არ მისცემს დიდხანს მოდუნების უფლებას.

**- თქვენი აზრით, ფეხბურთელებს ტიტულებისთვის ბრძოლა ხომ არ მობეზრდათ?**

- მეეჭვება, ასე იყოს. პირადად მე ყოველთვის მიხაროდა ჯილდოების მოგება და მჯერა, რაულს, რობერტო კარლოსს, კასილასს და ბიჭებს ისევე სურთ ტიტულები, როგორც აქამდე...

**- ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ტიტული არასდროს მოგიგიათ. ოცნება ვერ აისრულეთ?**

- კარიერაში ერთადერთი შავი ლაქა სწორედ ის არის, რომ ეროვნული ნაკრები ტიტულის გარეშე დავტოვე. შესარჩევ ტურნირებში ბრწყინვალედ ვთამაშობდით, მაგრამ ფინალურ ეტაპზე არ გვიმართლებდა: პენალტები ან მსაჯის უსამართლობა გვღუპავდა. მსოფლიოს 1994 და 2002 წლის ჩემპიონატებზე, ისევე როგორც ევრო 96-ზე, მსაჯებმა არ გაგვახარეს - სამივე შემთხვევაში გოლები არ ჩაგვითვალეს, თანაც, ყველაფერი ეს მეოთხედფინალებში ხდებოდა. რაც შეეხება ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის მეოთხედფინალს, ბელგია-ჰოლანდიაში, უბრალოდ, ბედმა გვიმუხთლა.

**- როგორ ფიქრობთ, შეძლებს ესპანეთის ნაკრები მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლას?**

- ვფიქრობ, ასეც მოხდება. ყველაზე სერიოზულ მეტოქედ სერბეთის ნაკრები მესახება, მაგრამ ძალიან მჯერა ჩვენი მწვრთნელის.

**- ნაკრების სათავეში გამოცდილი ლუის არაგონესის გამოჩენა თუ წაადგება ნაკრებს?**

- თუ ვინმე იმსახურებდა ქვეყნის პირველი გუნდის სათავეში მოსვლას, უპირველეს ყოვლისა, არაგონესი. ის ძალიან გამოცდილი სპეციალისტია და, რაც მთავარია, ათწლეულებია, ესპანურ ფეხბურთში ტრიალებს. მჯერა, არაგონესი წარმატებას მოუტანს ნაკრებს!

**- სანამ რაული გაჯობებდათ, 29 გოლით ესპანეთის ნაკრების ყველა დროის ბომბარდირი იყავით. ამ შედეგით უსწრებთ ისეთ ლეგენდარულ თავდამსხმელებსაც კი, როგორებიც არიან ალფრედო დი სტეფანო და ემილიო ბუტრაგენიო. როგორ დაახასიათებდით იერო-ბომბარდირს?**

- ყოველთვის ვამბობდი, რომ ვიყავი გულით მცველი და სულით ფორვარდი. კარიერის დიდი ნაწილი მცველის ამპლუაში გავატარე, მაგრამ შეტევა ყოველთვის მხიბლავდა. ესპანეთის ნაკრებში, მეტწილად, ნახევარმცველი ვიყავი და შეტევებში ხშირად ვერთვებოდი. გოლებიც ამიტომ გამქონდა. ამას გარდა, სტანდარტულ სიტუაციებს - საჯარიმოებს, პენალტებს - კარგად ვასრულებდი, რასაც გოლებიც მოჰყვებოდა ხოლმე...

**- "ბოლტონთან" ხელშეკრულება სეზონის დასრულებისთანავე ამოგეწურებათ. თუ გიფიქრიათ, რა იქნება ამის შემდეგ?**

- როცა ყატარში გადავედი, ვფიქრობდი, რომ კარიერას იქ დავასრულებდი, მაგრამ მერე "ბოლტონის" ვარიანტი გამოჩნდა და აი, ახლა აქ ვარ. ერთი რამ ზუსტად ვიცი: მეტს აღარ ვითამაშებ, მაგრამ გულახდილი რომ ვიყო, მომავალზე ვერაფერს გეტყვით. ამაზე არ მიფიქრია. ფეხბურთიდან საბოლოოდ რომ წავალ, მომავალზე მერე დავფიქრდები. მხოლოდ ერთი რამ მინდა: არჩევანში არ შევცდე.

**- მადრიდში დაბრუნებას ხომ არ გეგმავთ?**

- ამის ძალიან კარგი შანსი მაქვს!

**- 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატს გულშემატკივრის რანგში დაესწრებით?**

- ალბათ.

**- უამრავი საფეხბურთო მოგონებიდან რომელია თქვენთვის საუკეთესო?**

- ორი. პირველი ის, რომ 14 წელიწადი ვითამაშე მსოფლიოს საუკეთესო კლუბში და მეორე: მსოფლიოს ოთხი ჩემპიონატი!

**- ყველაზე მეტად რომელმა მწვრთნელმა მოგხიბლათ?**

- ალბათ ცოტა უსამართლო იქნება მხოლოდ ერთი მწვრთნელის გამორჩევა - მე ხომ არაერთ ჩინებულ სპეციალისტთან მიმუშავია. მაგრამ თუ საუკეთესოზე მიდგება საქმე, ვისენტე კანტატორეს დავასახელებ. ესაა ადამიანი, რომელმაც "რეალში" თამაშის საშუალება მომცა, პროფესიონალ ფეხბურთელად ჩამომაყალიბა და, რაც მთავარია, მაქცია იმ ადამიანად, რომელიც ახლა ვარ.

**თარგმნა ლაშა გოდუაძემ**

# გარდაიცვალა რინუს მიხელსი



გუშინ დილით 77 წლის ასაკში ბრიუსელის ერთ-ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა ლეგენდარული ჰოლანდიელი მწვრთნელი, ტოტალური ფეხბურთის ფუძემდებელი რინუს მიხელსი.

რინუს მიხელსი გულის სარქველზე გადატანილი პროფილაქტიკური ოპერაციის შემდეგ მკურნალობის ინტენსიური თერაპიის კურსს გადიოდა. 1986 წელს მას პირველი ოპერაცია გაუკეთეს გულზე.

მიხელსი 1928 წლის 9 თებერვალს დაიბადა. 1946-1958 წლებში ამსტერდამის "აიაქსის" შემადგენლობაში ჩატარებულ 257 მატჩში მან 120 გოლი გაიტანა. ამასთან, ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში ხუთი მატჩი ჩაატარა. თუმცა, ყველაზე თვალსაჩინო კვალი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში სამწვრთნელო ასპარეზზე დატოვა.

1971 წელს რინუს მიხელსმა ამსტერდამის "აიაქსს" პირველი ჩემპიონთა თასი მოაგებინა. მას შემდეგ ამსტერდამელებმა ზედიზედ ორჯერ მოიპოვეს თასი. შემდეგ მიხელსის ხელმძღვანელობით ჰოლანდიის ნაკრები 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდა, სადაც გერმანიის ნაკრებთან - 1:2 დამარცხდა. 1988 წელს კი მიხელსის შედგა სამწვრთნელო ბენეფისი. მან ჰოლანდიის ნაკრები ევროპის პირველ ჩემპიონობამდე მიიყვანა. 1973-1974 წლებში მან კატალონიურ "ბარსელონასთან" ერთად ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. თავისი სამწვრთნელო კარიერა რინუს მიხელსმა 1989 წელს ლევერკუზენის "ბაიერში" დაასრულა. ევრო 92-ის შემდეგ კი პროფესიული ფეხბურთი დატოვა.

2002 წლის აპრილში მიხელსის მიღწევებმა აღიარება პოვა. ფეხბურთის წინაშე დიდი დამსახურებისთვის უეფამ თავის 26-ე ორდინარულ კონგრესზე (რომელიც სტოკჰოლმში გაიმართა) ორდენით დააჯილდოვა. ეს ჯილდო ეძლევათ ადამიანებს, ვინც ცხოვრების დიდი ნაწილი ფეხბურთს მიუძღვნა და განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მის განვითარებაში.

უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა განაცხადა: "რინუს მიხელსი შესანიშნავი მწვრთნელი და ფეხბურთის სპეციალისტი იყო. ნიდერლანდის სამეფოს ფეხბურთის ასოციაციამ და მთელმა საფეხბურთო ოჯახმა გამოჩენილი ადამიანი დაკარგა. მან თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი სპორტს მიუძღვნა. ჩვენ მუდამ გვემახსოვრება ის ფეხბურთის განვითარებისთვის გაღებული ფასდაუდებელი წვლილისთვის".

ინფოთეკა

### ტაისონმა "ნიუ იორკ, ნიუ იორკი" გაარეპა

ქალთა ორგანიზაციების პროტესტის მიუხედავად (ისინი მაიკ ტაისონის იტალიაში ჩასვლის წინააღმდეგ გამოდიოდნენ), ოთხშაბათს სან რემოს მუსიკალურ ფესტივალზე "არისტონის" სცენაზე მაყურებელმა მაინც იხილა "რკინის მაიკი".

სცენაზე მოხმობილ ტაისონს საღამოს წამყვანმა ინტერვიუ ჩამოართვა. თუმცა, ამ შემთხვევაში ის უფრო საინტერესოა, რომ მაყურებელმა ტაისონი მომღერლის რანგშიც იხილა.

"რკინის მაიკმა" იტალიურად რამდენიმე სტროფი წაიღიღინა, მერე კი ცნობილი კომპოზიციის "ნიუ იორკ, ნიუ იორკის" გარეპებული ვერსიაც იმღერა.

სხვადასხვა ინფორმაციით, სან რემოს ფესტივალზე გამოსვლისთვის ტაისონს ჰონორარის სახით 70 ათასი ევრო გადაუხადეს, მეორე ინფორმაციით კი - 300 ათასი დოლარი.

### "რკინის მაიკი" რინგს უბრუნდება

მძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონის მაიკ ტაისონის განცხადებით, იგი წლეულს, ზაფხულში დაუბრუნდება რინგს.

38 წლის მოკრივის ბრძოლა კრივის გულშემატკივარმა უკანასკნელად შარშან, ივლისში ნახეს, როცა ის ბრიტანელმა დენი უილიამსმა ნოკაუტით დაამარცხა.

"მე ვუბრუნდები კრივს. ჩხუბი 20 ივლისს ვაშინგტონში შედგება", - აცხადებს იტალიაში მყოფი "რკინის მაიკი".

ტაისონს არ დაუსახელებია მომავალი მეტოქის ვინაობა.

1990 წლის დასაწყისში გაუპატიურების ბრალდებით ტაისონმა 3,5 წელიწადი საპყრობილეში გაატარა. როდესაც იტალიაში მაშინდელი ამბის გახსენება სთხოვეს, თქვა, რომ ციხეში მოტყუებით მოხვდა.

"მართალია, ანგელოზი არ ვარ, მაგრამ არც მარტო კრივით ვცხოვრობ. მე მამაც ვარ, ბიძიაც და მხატვარიც".

შეგახსენებთ, რომ 1986 წელს მაიკ ტაისონი კრივის ისტორიის ყველაზე ახალგაზრდა მძიმეწონოსანი მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

TV-სპორტი

### პარასკევი. 4 მარტი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
12:20 ლიბერტადორესის თასი. "რივერ პლეიტი" (არგენტინა) - "ნასიონალი" (ურუგვაი)
14:05 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
14:35 "2:1". ტოქშოუ
15:35 თავისუფალი დარტყმა
15:50 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:45 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - იტალიის ჩემპიონატი. "იუვენტუსი" - "სიენა"
18:40 თავისუფალი დარტყმა
18:55 სახვალიო ტელეპროგრამა
19:00 უეფას თასის 1/16 ფინალური მატჩების მიმოხილვა
19:30 "საფეხბურთო კლუბი"
20:10 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. 1/8 ფინალი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "მილანი"
22:10 "FUTBOL MUNDIAL"
22:40 თავისუფალი დარტყმა
22:55 ლიბერტადორესის თასი. "რივერ პლეიტი" (არგენტინა) - "ნასიონალი" (ურუგვაი)
00:40 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:35 "საფეხბურთო კლუბი"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:10, 20:00 პრესცენტრი
10:20, 20:15 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
11:25 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
11:55 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
12:25 "მოტოვებული კვირა"
13:25 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
13:55 ჩოგბურთი. დევისის თასი. პირველი წრე. რუსეთი - ჩილე. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (16:30) - პრესცენტრი
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასის ეტაპები ჩინეთსა და იაპონიაში
21:00 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
21:45 ფიგურული სრიალი - "Stars on Ice"
22:45 ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში
23:15 ტაილანდური კრივი
00:15 ახალი ამბები
00:30 "სპორტული გლობუსი" - Trans World Sport"
01:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასის ეტაპები ჩინეთსა და იაპონიაში

**EUROSPORT**

10:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასი იაპონიაში
11:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი იტალიაში
11:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
12:00 მძლეოსნობა. ევროპის სადარბაზო ჩემპიონატი ესპანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
13:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ფინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:45 მძლეოსნობა. ევროპის სადარბაზო ჩემპიონატი ესპანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
15:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი ფინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
17:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ფინეთში
18:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი ფინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
18:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. ნახევარფინალი
19:30 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
20:00 მძლეოსნობა. ევროპის სადარბაზო ჩემპიონატი ესპანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
22:45 მძლეოსნობა. ევროპის სადარბაზო ჩემპიონატი ესპანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:15 ჭიდაობა. ასპარეზობა აშშ-ში
00:00 პოკერი. ევროპული ტური დანიაში
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 თავგადასავალი
02:00 ახალი ამბები
02:15 ექსტრემალური სპორტი. ზამთრის თამაშები აშშ-ში
03:15 ახალი ამბები

# რონალდო: "გულშემატკივარი ჩემგან გოლს ელოდება"




რონალდო თანდათან მწყობრში დგება იმისთვის, რომ დაადასტუროს - ის მსოფლიოში საუკეთესო ფორვარდია. თავის ბოლო ინტერვიუში, რომელიც მან რადიოსადგურ "Cadena Cope"-ს მისცა, ფეხბურთელი გუნდში შექმნილ ატმოსფეროზე, მის გულშემატკივრებზე და სეზონის მიზნებზე საუბრობს. "მადრიდში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და არსად წასვლას არ ვაპირებ," - ამშვიდებს მადრიდელებს "რეალის" ბოლო სამი წლის საუკეთესო ბომბარდირი.

**- ფეხი როგორ გაქვს?**

- შესანიშნავად. ბოლო დროს არ დავრბოდი, მაგრამ უკანასკნელ ვარჯიშებზე ველოტრენაჟორებზე იმდენი ვიმუშავე, თითქოს მთელი ესპანეთი შემოვიარე. სპეციალური დამცავი საშუალებით ვივარჯიშე და თითი არ მაწუხებდა.

**- "ბეტისთან" შეხვედრამდე ორი მატჩი გამოტოვე. ეს გუნდის თამაშზე აისახა...**

- "დეპორტივოსთან" მატჩის წინ ბევრი ტრავმირებული გვყავდა. თანაც, ისინი ჩვენს წინააღმდეგ სათამაშოდ ყოველთვის სხვა განწყობით გამოდიან.

**- ამბობენ, რომ გუნდი უკვე მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაზე ფიქრობს.**

- არა. ჩვენ გვსურს მოვიგოთ როგორც ჩემპიონთა ლიგა, ისე ესპანეთის ჩემპიონატი. ორივე ტურნირში გამარჯვებისთვის ვიმუხტებით.

**- ჩემპიონთა ლიგის მოგება უფრო იოლი იქნება თუ ქვეყნის ჩემპიონატის?**

- არც ერთის მოგება არ იქნება იოლი. ჩვენ მატჩიდან მატჩამდე უნდა ვიაროთ და "ბარსელონა" დავივიწყოთ.

**- ბევრს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს გულგატეხილი ხარ.**

- არა. უბრალოდ, უკმაყოფილო ვარ იმით, რომ მთელი ორი კვირის განმავლობაში მხოლოდ ჩემს ქორწილზე და ვარჯიშებზე დაგვიანებაზე საუბრობენ. მე კი მინდა, ფეხბურთზე მოვახდინო კონცენტრაცია. "იუვეს" წინააღმდეგ ნემსების ზემოქმედების ქვეშ ვითამაშე და ამით ძლიერი ტკივილის დათრგუნვა შევძელი. მე მსურს მხოლოდ თამაშზე ვიყო კონცენტრირებული, მსურს გავიტანო გოლები და იმედი ვიქონიო, რომ ამიერიდან ტრავმები აღარ შემაწუხებს.

**- ღიზიანდები, როცა შენზე სტატიებს კითხულობ?**

- მე ისინი უკვე აღარ მაოცებენ. არიან სპორტული გამოცემები, რომლებმაც დაწერეს ჩემი ქორწილის შესახებ. იმის თაობაზე, თუ ვინ იყვნენ მოწვეული, როგორი ღვინო იყო სუფრაზე... ჩემს ცხოვრებაში არავისთვის არაფერი მიმიყიდია. ისიც კი დაწერეს, თითქოს რომელიღაც არხს ჩემი ქორწილის გადაღების ექსკლუზიური უფლება მივყიდე, რაც აბსოლუტური სიცრუეა.

**- გუნდი როგორ მდგომარეობაშია?**

- ის ძლიერ შეიცვალა. ლუშემბურგოსთან ბევრს ვმუშაობთ ტაქტიკასა და ფიზიკურ მომზადებაზე. ჩვენ რვა მატჩი მოვიგეთ და ორი წავაგეთ. სეზონის ბოლო მონაკვეთს სათანადოდ უნდა შევეგებოთ.

**- მარტში "რეალს" მუდმივად ჩავარდნა ახასიათებს...**

- იმედი ვიქონიოთ, რომ ამჯერად ეს არ მოხდება. ჩვენ ფიზიკურად ბევრს ვმუშაობთ და ვფიქრობ, გავუძლებთ.

**- მოდი, მწვრთნელებზე ვისაუბროთ. ნორმალურია, როცა სეზონში გუნდი სამ მწვრთნელს იცვლის?**

- არა. და ამ საქმეში გარკვეულწილად ჩვენც ვართ დამნაშავი. მე არ ვიცი, კამაჩო რატომ წავიდა. გარსია რემონი საქმეს კარგად უძღვებოდა. გუნდი რთულ სიტუაციაში იყო და ის გუნდს მართლაც კარგად ხელმძღვანელობდა.

**- მართალია, რომ როცა ლუშემბურგო მადრიდში კონტრაქტის გასაფორმებლად მოემგზავრებოდა, მასთან, თვითმფრინავში, შენ და რობერტო კარლოსიც იყავით?**

- დიახ. ჩვენ ძალიან გაგვიკვირდა. ვკითხე, მადრიდში დასასვენებლად ხომ არ მიფრინავთ-მეთქი. მან მიპასუხა: მადრიდში იმიტომ მივემგზავრები, რომ შენი მწვრთნელი გავხდეო.

**- და ლუშემბურგო "სამეფო კლუბში" შეყოვნდება?**

- ვიმედოვნებ, შეყოვნდება, რადგან ეს იმის ნიშანი იქნება, რომ მის ხელში ბევრ ჯილდოს მოვიგებთ.

**- მადრიდის "რეალში" ბედნიერი ხარ?**

- არსად წასვლას არ ვაპირებ, თუ არ გამაგდეს, რა თქმა უნდა. ხოლო თუ გოლების გატანას გავაგრძელებ, მაშინ არ გამაგდებენ.

**- ისეთი გრძნობა არ გეუფლება, თითქოს კლუბი გუნდიდან შენს წასვლას ამზადებს?**

- მე ასე არ ვფიქრობ. მგონია, რომ ასე არ არის. თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და მსურს, აქვე გავაგრძელო თამაში.

**- მადრიდის "რეალმა" "სანტოსიდან" დიეტოლოგი მოიწვია. შენ მას იცნობ? დიეტა ფეხბურთელთათვის ასე აუცილებელია?**

- პატრისიას ძალიან კარგად ვიცნობ. ის ყოველთვის ლუშემბურგოსთან მუშაობდა. ფეხბურთელები მიამბობდნენ, რომ ეს დიეტა მათზე სასარგებლოდ მოქმედებდა.

**- შენ გაწუხებს ხმები იმის თაობაზე, რომ "რეალი" ადრიანოთი დაინტერესდა?**

- აბსოლუტურად არა. მე არასდროს არავინ არაფერს მჩუქნიდა. თვითონ მოვიპოვე გუნდში ჩემი ადგილი. თუ გუნდი კიდევ ერთ ფორვარდს შეიძენს, ძალიან კარგი იქნება. კონკურენცია გუნდისთვის მხოლოდ სასარგებლოა.

**- რატომ ბრაზდები, როცა გცვლიან?**

- არავის არ მოსწონს, როცა ცვლიან, მაგრამ ჩვენ მწვრთნელის გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ. შვიდ მატჩში შვიდჯერ გამომცვალეს, მაგრამ მე მწვრთნელის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ.

**- რამდენიმე ხნის წინათ ივან ელგერამ თქვა, რომ მადრიდის "რეალი" შენზე არ არის დამოკიდებული.**

- არ მესმის, რატომ თქვა ეს ელგერამ. მე არასოდეს მითქვამს, რომ "რეალი" ჩემზეა დამოკიდებული...

**- ოდესმე ბრაზილიაში დაბრუნდები?**

- ჯერჯერობით ასეთი გეგმა არ მაქვს. არ ვაპირებ მადრიდიდან სხვა რომელიმე კლუბში გადასვლას.

**- ბოლო დროს "ბერნაბეუს" პუბლიკა გისტვენს...**

- მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩვენი გულშემატკივარი ძალიან მომთხოვნია. ის ყოველდღე უნდა დაიპყრო.

**- მინდორზე შენი საუკეთესო ასისტენტი ვინ არის?**

- გუტი. ის წარმოუდგენელი ფეხბურთელია. ძალიან მომწონს მისი თამაშის სტილი. "რეალში" ბევრია ისეთი ფეხბურთელი, რომელიც საგოლე გადაცემას გიკეთებს.

**- მეტოქის მოტყუება კვლავ შენი საფირმო ილეთია?**

- დიახ. ეს ჩემი საფირმო ფინტია. ეს ის ელემენტია, რომელიც ყველაზე უკეთ გამომდის.

**- ყოველი გოლის შემდეგ რატომ იცინი?**

- გოლი ფეხბურთში ყველაზე სასიხარულო მომენტია. მე კი სიცილი და სიამოვნება მომწონს.

**- როგორ უნდა მოხერხდეს, რომ "იუვენტუსმა" ტურინში ვერ მოიგოს?**

- უმნიშვნელოვანესია ის, რომ მათ "ბერნაბეუზე" გოლი ვერ გაიტანეს. დარწმუნებული ვარ, ტურინში გოლს გავიტანთ.

**- შენი აზრით, ვინ არის ჩემპიონთა ლიგის ფავორიტი?**

- შეიძლება "მილანი" გახდეს ის გუნდი, რომელიც ფინალში გავა.

**- ძალიან გინდა ჩემპიონთა ლიგა მოიგო?**

- მინდა, ჩემპიონთა ლიგაც მოვიგო და ესპანეთის ჩემპიონატიც. ჩემს კოლექციას სწორედ ჩემპიონთა თასი აკლია.

**- ფეხბურთი ისევე გსიამოვნებს, როგორც ადრე?**

- დიახ, მაგრამ ყველაზე რთული რაც არის, ეს მელიოს ფიზიკური ვარჯიშებია.

**- შენ გოლებზე ისე ხარ დამოკიდებული, რომ როცა არ გაგაქვს, მაშინვე შენს კრიტიკას იწყებენ. ასე არ არის?**

- გულშემატკივარს ძალიან ვუყვარვარ. ის ჩემგან გოლებს ელოდება. მაგრამ მე არ შემიძლია ყოველ თამაშში ორ-ორი გოლი გავიტანო. მე ამას უნდა შევეცადო, მაგრამ ყველა ფეხბურთელზე მისი წილი პასუხისმგებლობაა. როცა ვიგებთ, ამას მთელი გუნდი ერთად ვაკეთებთ. იგივეა მაშინაც, როცა ვაგებთ.

**- "რეალს" გუნდური თამაში არა აქვს და ყველაფერი მისი ვარსკვლავების განწყობაზეა დამოკიდებული. არა?**

- არ ვიცი. როცა გუნდში ამდენი შესანიშნავი ფეხბურთელი გყავს, ზოგი მათგანი შეიძლება სხვებზე უფრო შემართული იყოს.

**- როგორც ჩანს, ამ სეზონში ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრა უფრო გიადვილდებათ, ვიდრე სუსტებთან. მაგალითად, "მანჩესტერ იუნაიტედის" ან "ბარსელონას" დამარცხება უფრო იოლი იქნება, ვიდრე "ხეტაფესი"...**

- ძლიერ გუნდებზე ყოველთვის უფრო სხვაგვარად იმუხტები, მაგრამ საჭიროა, მოტივაცია ორივე შემთხვევაში ერთნაირი იყოს, როგორც დიდ გუნდებთან, ისე სუსტებთანაც.

**- ამბობენ, რომ ვარსკვლავები ერთმანეთს ვერ ეგუებიან. თქვენს შემთხვევაშიც ასეა?**

- არა. საიდან მოიტანეთ? ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ერთმანეთთან შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს. ჩვენ ჩვეულებრივი გუნდი ვართ და ყოველმა ჩვენგანმა კარგად იცის თავისი როლი.

**- დაასახელე სხვა გუნდის სამი ფეხბურთელი, რომელიც ყველაზე უფრო მოგწონს.**

- ადრიანო, დიდა, ტორესი.

**- რობინიო კარგი ფეხბურთელია?**

- დიახ და, თანაც, დიდი მომავლით. ევროპაში ტრიუმფის მიღწევა იოლი არ არის, მაგრამ მას ვურჩევ, აქ პირველი შესაძლებლობისთანავე ჩამოვიდეს. მან გოლის გატანაც იცის და საგოლე გადაცემებიც. ამბობენ, რომ მადრიდის "რეალმა" ის უკვე შეიძინა, მაგრამ მე ძალიან ცოტა რამ ვიცი კლუბის შიდა სამზარეულოზე.


სახელი ______ მისამართი ______

გვარი ______

ასაკი ______ საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ______

სიმაღლე ______

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ ვმუშაობთ სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა ______ თარიღი ______

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, [illegible] კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

[illegible]

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:
[illegible]

თქვენი ფოტოსურათი

[illegible]

# ჟენევის საიუბილეო ავტოსალონი

მერაბ ლორთქიფანიძე

დიდი ხანია, ჟენევის ავტოსალონი ითვლება ევროპული საავტომობილო ინდუსტრიის წლის მთავარ მოვლენად. ჩვეულებრივ, მასზე მსოფლიოს ავტომწარმოებლები იმ სიახლეებს წარადგენენ, რომლებიც ძველი კონტინენტის ბაზარზე უნდა გაიყიდოს. თუმცა, არცთუ იშვიათად, აქ ბევრი ავტომობილის მსოფლიო პრემიერაც იმართება. გამონაკლისი არც წლევანდელი ავტოსალონია, რომელმაც მსოფლიოს მასმედიას 1 მარტს გაუღო კარი და 3 მარტიდან, ათი დღის განმავლობაში, ყველა მსურველს უმასპინძლებს.

ჟენევის წლევანდელი ავტოსალონი განსაკუთრებულია - მას დაარსებიდან ასი წელი შეუსრულდა. სწორედ ამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შვეიცარიის ამ ქალაქმა პირველ, ეროვნულ ავტოშოუს უმასპინძლა, 75 წელი კი მას შემდეგ, რაც პირველად ჩატარდა საერთაშორისო დონის ავტოსალონი.

ისევე როგორც წინა 75 წლის განმავლობაში, ამჯერადაც აქ უამრავი პრემიერა მოეწყო, თუმცა არანაკლები ყურადღება მიიქცია იმ ექსპონატებმაც, რომლებიც საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ავტოკომპანიებმა წარადგინეს.

იუბილესთან დაკავშირებით, ავტოსალონის ორგანიზატორებმა გამოფინეს 12 ანტიკვარული ექსპონატი, რომლებიც ავტოსალონის და მთლიანად, შვეიცარიის ავტოინდუსტრიის ვეტერანებად ითვლებიან. ამასთან, ორგანიზატორებმა ყველა მონაწილე კომპანიას მიმართეს თხოვნით, წარმოედგინათ თავიანთი ისტორია და მომავალი ასწლეულის გეგმები. გარდა ამისა, დაიბეჭდა სპეციალური ალბომი-ცნობარი, რომელიც ავტოსალონის ისტორიას ილუსტრაციების დახმარებით აცნობს მკითხველს. ეს ცნობარი სამ ენაზე - ინგლისურ, გერმანულსა და ფრანგულ ენებზეა დაბეჭდილი.

და კიდევ, ავტოსალონის იუბილესთან დაკავშირებით, შვეიცარიის ეროვნული ბანკი გამოუშვებს ვერცხლის და ოქროს (ნომინალებით 20 და 50 შვეიცარიული ფრანკი) მონეტებს. პარალელურად, შვეიცარიის საფოსტო უწყება გამოუშვებს ორ საიუბილეო მარკას. ეს მცირე ჩამონათვალია იმ ღონისძიებებისა, რომლებსაც შვეიცარიელები საავტომობილო სამყაროს უმზადებენ საიუბილეო ავტოსალონზე.

რაც მთავარია, "პალექსპოს" საგამოფენო კომპლექსში საავტომობილო ბიზნესის ბომონდმა მოიყარა თავი, რომლებმაც დამთვალიერებელთა განსასჯელად ჩამოიტანეს თავიანთი უკანასკნელი ნამუშევრები. ამ სიახლებმა უნდა განსაზღვრონ მათი უახლოესი მომავალი და ბუნებრივია, მათი ბაზარზე წამოწევა განსაკუთრებულ პრომოუშენს საჭიროებს.

ამისათვის, პირველ ორ დღეს, რომლებსაც საერთაშორისო ავტოსალონების ტრადიციისამებრ პრესის დღეს უწოდებენ, უამრავი პრეზენტაცია, პრესკონფერენცია და მიღება ჩატარდა.

ჩვენი რუბრიკა დიდი სიამოვნებით გაგაცნობთ ჟენევურ სიახლეებს, რომლებსაც ქვეყნების მიხედვით წარმოგიდგენთ.

## იტალიელები

იტალიას ჟენევაში თითქმის ყველა ავტომწარმოებელი წარმოადგინს. **"ალფა რომეომ"** გამოფენაზე რამდენიმე სერიული სიახლე გამოიტანა. მათგან გამორჩეული ორი ავტომობილია - მოდელი 159 უკვე საკმაოდ მოძველებულ 156-ს შეცვლის. მილანელები ამ ახალ მანქანაზე დიდ იმედებს ამყარებენ და გამორიცხული არაა, რომ სწორედ 159-ით დაბრუნდნენ აშშ-ის ბაზარზე, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომპანიის რეაბილიტაციისთვის.

"ალფას" კიდევ ერთი სიახლეა სპორტული მოდელი "ბრერა", რომელმაც ასევე მოძველებული კუპე GTV უნდა შეცვალოს. სხვათა შორის, ორივე მოდელი ერთი კონცეპტკარის "შთამომავალია" და მასაც "ბრერა" ერქვა, მისი დებიუტი კი ორი წლის წინ, იმავე ჟენევის ავტოსალონზე შედგა.

**"ფერარისაც"** ორი სიახლე აქვს. ერთია სერიული "ფერარი 430 სპაიდერი", მეორე კი - როდსტერი "სუპერამერიკა". პირველი შეცვლის ელეგანტურ, თუმცა საკმაოდ მოძველებულ "360 სპაიდერს" და მისი გაყიდვები ზაფხულიდან დაიწყება. მეორე კი ახალი ავტომობილია მარანელოელთა სამოდელო გამაში. მისი ამერიკული პრემიერა უკვე შედგა ლოს ანჯელესისა და დეტროიტის ავტოსალონებზე, ჟენევაში კი ევროპული დებიუტი აქვს. აღსანიშნავია, რომ "სუპერამერიკას" დიზაინის შემუშავებაში, "ფერარი" ტრადიციულ პარტნიორ "პინინფარინას" ნაცვლად "ფიორავანტისთან" თანამშრომლობდა.

**"ფიატს"** სამი სიახლე აქვს, რომელთაგან ორი კონცეპტუალური მოდელია, ერთი კი სერიული. ერთია მოდელ "პუნტოს" ბაზაზე შექმნილი სპორტული X1/99, მეორე კი - მოდელ "ქრომას" ლუქსის კლასის შესაბამისი ვერსია, რომელზეც მუშაობდა ატელიე "იტალდიზაინ ჯუჯარო". სერიული მოდელი კი ჰეჩბეკისძარიანი "ქრომაა", რომელზეც კრიზისში მყოფი იტალიური კონცერნი დიდ იმედებს ამყარებს.

სიახლე აქვს **"ლამბორგინისაც"**, რომელიც იტალიური კია, მაგრამ დღეისათვის "ფოლკსვაგენის" დიდი ოჯახის წევრია. მოდენელებმა ჟენევაში წარადგინეს სერიულ კუპე "გალიარდოს" ბაზაზე შექმნილი "კონცეპტ S". გამორიცხული არაა, რომ მალე კომპანიამ ამ ავტომობილზეც დაიწყოს შეკვეთების მიღება. თუმცა, ჟენევაში ის მხოლოდ საჩვენებელი მოდელის სახით წარდგება.

**"ლანჩამ"** ჟენევაში ჩაიტანა მინივენ "მუსას" ბაზაზე დამზადებული კონცეპტუალური ქროსოვერი სახელად "კანდაჰარი", რომლის შექმნაში ასევე მონაწილეობდა დიზაინ-სტუდია "ფიორავანტი". ამ ავტომობილის გარდა, "ლანჩას" სტენდზე წარმოდგენილია სერიული "იპსილონ სპორტი", რომლის გარეგნობასა და ინტერიერზეც დიზაინ-სტუდია "ძაგატო" მუშაობდა.

კიდევ ერთი იტალიური მარკა, **"მაზერატი"** ერთადერთი ავტომობილით, სუპერკუპე MC12-ითაა წარმოდგენილი, რომელზეც ვერ იტყვია, რომ ახალია. "მაზერატის" სიახლე ისაა, რომ "ფიატის" ხელმძღვანელობამ ის გამოისყიდა "ფერარისგან" (რომლის აქციების 56 პროცენტიც მასვე ეკუთვნის) და "ალფა რომეოსთან" დააჯგუფა - ამიერიდან ამ ორ პრესტიჟულ მარკას საერთო სამარკეტინგო პოლიტიკა ექნება.

## ინგლისელები

**"ასტონ მარტინმა"** როგორც იქნა, დაასრულა მუშაობა ეგრეთ წოდებულ "ბეიბი ასტონზე", რომელმაც კონკურენცია უნდა გაუწიოს "პორშეს" პროდუქციას. ახალი ავტომობილის სახელწოდებაა "ასტონ მარტინ V8 ვენტიჯი", რომელსაც დიდხანს ელოდა ამ მარკის თაყვანისმცემელი. წინასწარი ვარაუდით, ყოველწლიურად კომპანია 3000 ცალ "V8 ვენტიჯს" გამოუშვებს.

**"იაგუარმა"** დეტროიტიდან ჩამოიტანა თავისი კონცეპტუალური მოდელი ALC, რომელმაც მალე მის სამოდელო გამაში მოდელი XK უნდა შეცვალოს. ამ კონცეპტკარის გარდა, კომპანიამ ჟენევაში წარადგინა პროექტ "მისინგ ჯეგ-ის" ფარგლებში შექმნილი ხუთი ავტომობილის მაკეტი, რომლებიც იტალიელი სტუდენტების მიერაა დამზადებული. არაა გამორიცხული, რომ რომელიმე მათგანმა არცთუ შორეულ მომავალში, კომპანიის სამოდელო რიგში ამოყოს თავი.

"ფოლკსვაგენის" მრავალეროვნული ოჯახის კიდევ ერთმა წევრმა, **"ბენტლიმ"** ავტოსალონის მნახველს უჩვენა თავისი ორი ახალი შედევრი - კუპე "არნაჟ დროპჰედი", რომელმაც კონკურენცია უნდა გაუწიოს კაბრიოლეტ "როლს როის კორნიშს" და 4-კარიანი კუპე/სედანი "კონტინენტალ ფლაინგ სპური", რომელთა წყალობითაც, ქრიუელები წარმოების გაორმაგებას იმედოვნებენ.

**"ლენდ როვერმა"** ჟენევაში თავისი ახალი ავტომობილის, დიზელისძრავიანი "რეინჯ როვერ სპორტის" მსოფლიო პრემიერა (ბენზინისძრავიანის პირველი ჩვენება დეტროიტში შედგა) მოაწყო. ამ ავტომობილის აგრეგატი "ფორდისა" და "პეჟო-სიტროენის" ერთობლივი გარჯის პროდუქტია და ის პირველად "ლენდ როვერ დისქავერი 3-ზე" იქნა გამოყენებული. ახალმა ავტომობილმა კონკურენცია უნდა გაუწიოს "პორშე კაიენსა" და "ბეემვე X5-ს".

ჟენევის საიუბილეო ავტოსალონს ხელცარიელი არც "ბენტლის" დარად გაგერმანელებული **"როლს როისი"** შეხვედრია. კომპანიამ თავის ექსკლუზიურ კლიენტურას მოუმზადა 250 მილიმეტრით დაგრძელებული "ფანტომი", რომელზე შეკვეთების მიღებასაც "როლს როისი" მოგვიანებით დაიწყებს. აღსანიშნავია, რომ ამ ავტომობილს აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების კლიენტურას 292 ათას ევროდ მიჰყიდიან, იაპონელებს კი - 345 ათას ევროდ.

## გერმანელები

**"აუდიმ"** ჟენევაში გამოფინა მესამე თაობის სპორტული უნივერსალი "A6 ავანტი" და მეორე თაობის სპორტული სედანი RS4.

**"ბეემვეს"** პავილიონში დგას სერიული მოდელები - განახლებული მე-3 (ახალი პლატფორმით) და მე-7 სერიის (ფეისლიფტინგით) სედანები, ასევე სპორტული M6 და 3-ლიტრიანი ძრავით აღჭურვილი პირველი სერიის ჰეჩბეკის ტოპ-ვერსია.

**"მერსედეს-ბენცის"** სამოდელო გამაში სიახლეა - ჟენევის ავტოსალონის დამთვალიერებელმა პირველმა იხილა B-კლასის ჰეჩბეკი, რომელიც ფაქტობრივად, დიდი ზომის A-კლასის მოდელია. შტუდგარდტელთა კიდევ ერთი სიახლეა მოდიფიცირებული "მაიბახ 57S", ლუქსის კლასის 3-ტონიანი სედანი, რომელსაც სპორტული ავტომობილის შესაფერისი ტემპერამენტი აქვს. რაც შეეხება M-კლასის უგზოობის ავტომობილს, მისი მსოფლიო პრემიერა ჯერ კიდევ დეტროიტში შედგა, თუმცა ჟენევაში მას პირველად იხილავენ ევროპელები.

**"ფოლკსვაგენის"** მთავარი სიახლეებია განახლებული სედანი "პასატი" და სრულიად ახალი მოდელი "გოლფ პლუსი", რომელზეც ვოლფსბურგელები დიდ იმედებს ამყარებენ.

**"ოპელმა"** ჟენევისთვის სამი სიახლე "გაიმეტა" - მეორე თაობის მინივენი "ზაფირა", დიზელის ჰიბრიდული დანადგარით აღჭურვილი კონცეპტკარი "ასტრა" და სპორტული "ასტრა OPC". სამივე ავტომობილი ჰეჩბეკ "ასტრას" პლატფორმაზეა ბაზირებული და გარეგნობითაც მას ჰგვანან.

**"პორშეს"** პავილიონში ორი განახლებული კაბრიოლეტია და ორივე 911-ის ოჯახიდან. პირველია "კარერა კაბრიო", რომელიც "ბოქსსტერის" 325 ცხენისძალიანი ძრავით აღიჭურვა. მეორე კი - "კარერა S კაბრიო", რომელიც იმავე "ბოქსსტერის", ოღონდ უფრო ძლიერ, 355 ცხენისძალიან ძრავს მიიღებს.

## ამერიკელები

ჟენევაში მრავლად არიან წარმოდგენილი ამერიკული კომპანიებიც. მათგან **"კადილაკმა"** ორი კონცეპტუალური მოდელი - სედანი BLS და ქროსოვერი "SRX ვილა" გამოფინა. სედანი სპეციალურად ევროპისთვისაა შექმნილი "ჯენერალ მოტორსის" უნივერსალურ პლატფორმაზე "იპსილონ". რაც შეეხება ქროსოვერს, ის იმითაა აღსანიშნავი, რომ მისი დიზაინი იტალიურ ატელიე "ბერტონეს" მიერაა დამუშავებული.

**"კრაისლერმა"** ევროპელებს უჩვენა თავისი შედევრი - სედანი 300C, რომელიც ამჯერად დიზელის 3-ლიტრიანი ძრავით აღიჭურვა. მის გარდა, კომპანიის პავილიონში თავს იწონებს აღნიშნული სედანის ტოპ-ვერსია "კრაისლერ 300C-SRT8".

იმავე კომპანიის შტო **"დოჯი"** ევროპაში ექსპანსიას იწყებს და ამ მიზნით, ევროპელებს წარუდგინა კონცეპტუალური ქროსოვერი "კალიბერი", რომლის წინასერიული ვერსია ფრანკფურტის ავტოსალონისთვის მომზადდება. ამავე მარკის სტენდზე მეორე ავტომობილია სპორტული კუპე "ვაიპერ SRT10".

**"ფორდმა"** ევროპელების სამსჯავროზე გამოიტანა თავისი ახალი კონცეპცია კოდური სახელწოდებით "სპორტს აქტივიტი ვიჰაიქლ", რომელიც წარმოებაში მოხვედრის შემთხვევაში, კომპანიის სამოდელო რიგში დაიკავებს ადგილს მინივენებს, "C-მაქსსა" და "გალაქსის" შორის. რაც შეეხება სერიულ მოდელებს, "ცისფერი ოვალის" პავილიონში დგას ჰეჩბეკ "ფოკუსის" სპორტული ვერსია "ფოკუს ST", რომელიც აღჭურვილია 280 ცხენისძალიანი ძრავით.

## ფრანგები

საფრანგეთს ჟენევაში წარმოადგენს სამი კომპანია - **"რენო"**, **"სიტროენი"** და **"პეჟო"**.

"სიტროენისა" და "პეჟოს" ერთობლივი სიახლეა ერთ პლატფორმაზე დამზადებული ორი განსხვავებული ავტომობილი, შესაბამისად, C1 და 107. ამათ კიდევ ერთი მოძმე ჰყავთ "ტოიოტა აიგოს" სახით. სამივე ავტომობილი ჩეხეთში, თანაბარი ტირაჟით (თითოეული 100 ათასი) დამზადდება.

გარდა ამისა, "სიტროენმა" როგორც იქნა, დაასრულა თავის ფლაგმანზე, წარმომადგენლობით სედან C6-ზე მუშაობა და მას პირველად სწორედ ჟენევის ავტოსალონის მნახველს უჩვენებს. "პეჟოს" სტენდს კი ამშვენებს სედან 407-ის სპორტული ვერსია "407 პროლოგი", რომლის სერიული პროტოტიპის პრემიერაც მოგვიანებით, ფრანკფურტის ავტოსალონზე შედგება.

"რენოს" რამდენიმე სიახლე აქვს. პირველ რიგში, მან განაახლა თავისი ორი სედანი - "ლაგუნა" და ავანგარდული "ველ სატისი". მოდერნიზაციის შემდეგ, "ლაგუნა" კონცეპტუალურ "ფლუენსს" დაემსგავსა, "ველ სატისმა" კი ნაკლებად აგრესიული გარეგნობა მიიღო.

კომპანიის სტენდზე ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უკავია კონცეპტუალურ მოდელ Z17-ს, რომელიც მომავალში "სმარტ ფორტუს" (სმარტი ორისთვის) კონკურენტად მოიაზრება. ეს ავტომობილი იმით გამოირჩევა, რომ მხოლოდ სამი სავარძელი აქვს. რაც მთავარია, მისი დიზაინის ზოგიერთ ელემენტს მიიღებს ახალი "კლიო" და "ტვინგო", რომელიც მერმის განახლდება.

ჟენევაშივე, "რენომ" პირველად წარმოადგინა თავისი რუმინული შტო "დაჩია", რომელიც ახლახან შეუდგა იაფფასიან მოდელ "ლოგანის" წარმოებას. ეს ავტომობილი პირველ რიგში, აღმოსავლეთ ევროპისა და განვითარებადი ქვეყნების ავტობაზრებისთვისაა განკუთვნილი, თუმცა მალე მას დასავლეთ ევროპის დილერებიც მიიღებენ.

## იაპონელები

**"ჰონდამ"** წარმოადგინა მერვე თაობის მოდელ "სივიკის" კონცეპტალური ვერსია, რომელიც ფრანკფურტისთვის წარმოებისთვის გამზადებულ პროტოტიპად მოგვევლინება. ეს არის გაუმჯობესებული დინამიკის, გაზრდილი სიმძლავრისა და ეფექტური დიზაინის მქონე ავტომობილი, რომელზეც მწარმოებელი დიდ იმედებს ამყარებს. მის გარდა, კომპანიის სტენდზე დგას სედან "ლეგენდის" ევროპული ვერსიის პროტოტიპი და სერიული FR-V.

**"მიცუბიშის"** პავილიონის მთავარი პერსონაჟია მოდელი "კოლტი", რომელსაც გვერდს უმშვენებს პირველი თაობის, 1962 წელს გამოშვებული "კოლტი", რომლითაც კომპანია თავის დროზე, პირველად წარდგა ჟენევის ავტოსალონზე.

კონცეპტუალური ნამუშევარი მთავარ ადგილს იკავებს **"ნისანის"** სტენდზეც. ესაა უგზოობის მოდელი "ზარუტი", რომელშიც ჩანს კომპანიის დიზაინერთა ხედვა, თუ როგორი უნდა იყოს მომავლის უგზოობის ავტომობილი. აქვეა სერიული პიკაპი "ნავარა", რომლის წარმოება მალე დაიწყება ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში. მათ გარდა, "ნისანის" სტენდზე წარმოდგენილია ახალი "პატფინდერი" და როდსტერი 350Z.

კიდევ ერთმა იაპონურმა კომპანია **"დაიჰაცუმ"** ჟენევაში წარადგინა ევროპული ბაზრისთვის განკუთვნილი კომპაქტური ავტომობილი "სირიონი", რომლის შექმნაშიც მონაწილეობა მიიღეს ატელიე "იტალდიზაინ ჯუჯაროს" სპეციალისტებმა. ეს ავტომობილი ძლიერ ჰგავს "ტოიოტას" (დაიჰაცუ ტოიოტას ეკუთვნის) ახალ "იარისს", რომელიც განახლებული სახით მოგვიანებით, ფრანკფურტის ავტოსალონზე წარდგება.

**"სუბარუ"** ევროპაში პირველად წარადგენს საქალაქო მინიავტომობილ R1-ს, რათა ნახოს, თუ როგორ შეხვდება "ძველი კონტინეტის" ავტობაზარი ამ პატარა, ყველა წამყვანთვლიან ავტომობილს. კომპანია იმედოვნებს, რომ R1 სერიოზულ კონკურენციასგაუწევს "სმარტ ფორტუს". "სუბარუსავე" სტენდზე დგას 7-ადგილიანი "ტრიბეკა", რომლის გაყიდვები ევროპაში ალბათ მერმის დაიწყება.

**"მაზდა"** უჩვენებს თავის მეტად პოპულარულ ავტომობილ "მიატას" მე-5 თაობის მოდელ MX-5-ს, რომელიც წინამორბედთან შედარებით, ზომებში ოდნავ გაიზარდა, თუმცა ელეგანტურობა სრულებით არ დაუკარგავს. აქვეა განახლებული "მაზდა5" და "მაზდა6".

დაბოლოს **"ტოიოტა"** - ამიერიდან მსოფლიოს მეორე უდიდესი ავტომწარმოებელი. მისი პავილიონის "ლიდერია" სერიული "აიგო", რომლის წარმოება უკვე დაწყებულია ჩეხეთში. სტენდზე ასევე დგას "კოროლას" 5-კარიანი დიზელის ვარიანტი და მძლავრი ვერსია TS, რომელიც შეზღუდული რაოდენობით დამზადდება.

რამდენიმე სიახლე აქვს "ტოიოტას" დივიზიონ **"ლექსუსს"**, რომლის მთავარი ექსპონატია დიზაინერ ლეონარდო ფიორავანტის მიერ შექმნილი კონცეპტკარი LF-A.

## კორეელები

**"ჰიუნდაის"** ჟენევისთვის ორი სიახლე აქვს - სერიული "განდეური", რომელიც მალე შეცვლის სედან XG-ს და კონცეპტალური HED-1. გარდა ამისა, მისსავე პავილიონში წარმოდგენილია მის საკუთრებაში მყოფი კომპანია **"კიას"** ხუთკარიანი "რიო", რომელიც წინამორბედთან შედარებით, ზომებშიც გაიზარდა და უფრო მძლავრიც გახდა.

**"დეუ"** დღეს "ჯენერალ მოტორსის" შემადგენელი ნაწილია და **"GM დეუს'** სახელითაა ცნობილი. ამ კომპანიამ ჟენევის ავტოსალონის დამთვალიერებლის საჩვენებლად წარმოადგინა ორი ახალი ავტომობილი - "შევროლე მატისი" და "კალოსი". ახალი "მატისის" შექმნაში მონაწილეობა მიიღო დიზაინ-ატელიე "იტალდიზაინ ჯუჯარომ".

კიდევ ერთი კორეული კომპანია **"სსანგ იონგი"**, ერთ დროს "კიას" კუთვნილება იყო, დღეს კი სწრაფად მზარდ ჩინურ კორპორაცია SAIC-ის რიგებშია. ჟენევაში "სსანგ იონგმა" წარადგინა უზარმაზარი მინივენი სახელად "როდიუსი", რომლის ევროპაში გაყიდვებიც ამ დღეებშივე დაიწყება. "როდიუსს" ოთხივე ბორბალი წამყვანი აქვს, მაგრამ ის ერთადერთი, 2.7-ლიტრიანი ძრავითაა აღჭურვილი, რომლის სიმძლავრე 165 ცხ.ძალაა.

## დანარჩენები

შვეიცარიულმა **"სმარტმა"** და "მერსედეს-ბენცის" პარტნიორმა "ბრაბუსმა" ჟენევისთვის მოამზადეს ყველაზე სწრაფი "სმარტი" სახელად "ფორფორ" (ოთხისთვის), რომლის მაქსიმალური სიჩქარე 221 კმ/სთ-ს აღწევს. ეს კი "მიცუბიშის" წარმოების ძრავის დამსახურებაა, რომელსაც "დაიმლერკრაისლერის" ყოფილი პარტნიორი იაპონური კომპანია თავის პოპულარულ მოდელ "კოლტისთვის" იყენებს. "ბრაბუსის" ინჟინრების გარჯის შედეგად, ძრავის სიმძლავრე 150-დან 177 ცხ.ძალამდე გაიზარდა.

შვედური **"სააბის"** მთავარი ექსპონატია სერიული წარმოებისთვის მომზადებული უნივერსალი "სააბ 9-3 სპორტ ვეგონი", რომელიც კომპანიის სამოდელო გამას შეავსებს ამავე სერიის (9-3) სედანთან და კაბრიოლეტთან ერთად.

კიდევ ერთ შვედურ კომპანიას, **"ვოლვოს"** სხვადასხვა დროს (1972, 2001 და 2004 წლებში) დამზადებული სამი კონცეპტუალური მოდელი აქვს გამოფენილი. მათგან ბოლოა "ვოლვო 3CC", რომელიც პირველად გეტებორგელებმა "მიშლენის" კონკურს-გარბენზე წარმოადგინეს, მეორედ კი - დეტროიტში.

ესპანეთს ჟენევაში წარმოადგენს ერთადერთი კომპანია **"სეატი"**, რომელიც "ფოლკსვაგენის" ინტერნაციონალური ოჯახის წევრია. მის სტენდზე მთავარი ადგილი უკავია სპორტულ კონცეპტუალურ ჰეჩბეკ "ლეონს", რომელიც დახვეწილი დიზაინით გამოირჩევა. ამ ავტომობილის სერიული ვერსია მოგვიანებით, ბარსელონას ავტოსალონზე შედგება, რომელიც მაისში ჩატარდება.

"ფოლკსვაგენის" ჯგუფში შედის ჩეხური **"შკოდაც"**, რომელიც თანდათან აფართოებს თავის მწირ სამოდელო გამას. მასში ჯერ მხოლოდ სამი მოდელი შედის, მაგრამ მალე მათი რიცხვი გაიზრდება - ამის დასტურად, ჟენევის ავტოსალონის დამთვალიერებელმა იხილა ორი კონცეპტუალური მოდელი. ერთის სახელია "იეტი", მეორისა კი - "რუმსტერი", რომელიც კომპანიამ პირველად დეტროიტში წარადგინა.

სხვათა შორის, ჟენევის ავტოსალონის დარად, "შკოდა" წელს დაარსებიდან ასი წლის იუბილეს აღნიშნავს და ამასთან დაკავშირებით, თავისი სამივე მოდელის (ფაბია, ოქტავია და სუპერბი) საიუბილეო ვერსია დაამზადა, რომლებიც ჟენევის ავტოსალონზე არიან წარმოდგენილნი.

დაბოლოს. ევროპაში ექსპანსიას იწყებს კიდევ ერთი "უცხოელი" - ინდური კომპანია "ტატა", რომელიც უკვე მკვიდრდება აღმოსავლეთ ევროპის ბაზრებზე და უარს არც დასავლეთის ბაზრებზე ამბობს. ავტოსალონზე ინდოელებმა გამოფინეს უგზოობის ავტომობილისა და მინივენის ერთგვარი მიქსი სახელად "ინდოკრუსი", რომლის დიზაინი სპეციალურად დაამუშავა იტალიურმა ატელიე I.DE.A-მ.

დაკიდევ. ჩამოთვლილი კომპანიების გარდა, ჟენევაში არაერთი საინტერესო კონცეპტუალური ნამუშევარი წარმოადგინეს შვეიცარიულმა, იტალიურმა და სხვა ქვეყნების დიზაინ-ატელიეებმა, როგორებიცაა **"პინინფარინა"**, **"იტალდიზაინ ჯუჯარო"**, **"რინსპიდი"**, **"სტოლა"**, **"პაგანი"**, **"ფიორავანტი"** და სხვები.



ბერტონე ვილა (კადილაკისთვის)



სტოლა დიამანტე



რინსპიდ სენსო




ნისან ზარუტი

## ორშაბათი 7.03

### რუსთავი - 2
07.30 დილა 08.00 ტელელიპუცები 10.00 სერიალი "ეკლები და ვარდები" 11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.40 კურიერი 12.20 სერიალი "შეყვარებული ქალები" 13.30 მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) 15.25 სერიალი "ბევერლი ჰილზი" 16.30 სერიალი "ეკლები და ვარდები" 17.25 ტელელიპუცები 18.30 პატრული 19.00 ქართული ფეხბურთი 19.55 სერიალი "შეყვარებული ქალები" 22.00 ყველაზე ჭკვიანი 23.00 დოკ. ფილმი "მეორე მსოფლიო ომის საიდუმლო ოპერაციები" 00.00 მხ. ფილმი "ჩანაფიქრის განხორციელება" (18) (ნატალია ზერბექსი) 02.00 პატრული

### TV5
06.00, 08.00, 09.00(კანადა) 12.00, 15.00(ბელგია) 16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), 04.00 TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. 11.00, 14.00, 19.00, 22.00 TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. 06.30 აკუსტიკა. 07.00 წართმეული სიცოცხლე. დოკ. ფილმი. 08.30 ტელედილა. 11.05 გადაცემა საოჯახო ფოტოები. 12.15 სამხრეთის ანარეკლი. 15.35 ციფრები და ასოები. ტელეთამაში. 16.30 ჩემი საუკეთესო მეგობრები. ც 18.30 კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. 20.25 გადაცემა: თალასა. 24.25ღამაზი სერჟი. მხ. ფილმი. რეჟისორი კლოდ შაბროლი. 04.20 მაშველები. ტელესერიალი.

### პირველი არხი
08.00 "ადრე" 10.00 დოკ. ფილმი "ჰოლივუდი და დანაშაული" 11.00 სერიალი "მემკვიდრე ლუნა" 12.00 "მთავარი" 12.20 ანიმაციური ფილმი "რედვოლი" 12.45 ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" 13.00 "სარჩევი" 14.00 სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" 15.00 "მთავარი" აფხაზურ ენაზე 15.20 "მთავარი" რუსულ ენაზე 15.30 "ბიოგრაფიული პორტრეტები" -ჩერჩილი 16.30 დოკ. ფილმი "უაკ ლასელი" 17.30 "ვაკანსია" 18.00 "მთავარი" -რეგიონებიდან 18.30 სერიალი "შირლი ჰოლმსი" 19.00 "მედიატორი" 19.30 "გზაჯვარედინი" 20.00 "მთავარი" 20.45 "ბაბილინა" 21.00 სერიალი "მემკვიდრე ლუნა" 22.00 დოკ. ფილმი "ანესთეზიის ისტორია" 23.00 მრწამსი - ისლამი 23.30 მხ. ფილმი "სუპერჯაშუში" (გ) 01.45 საინფ. გამოშვება

### კავკასია
11.00 ტუწ-ემ 11.30 ვარსკვლავები გვამცნობენ 12.00 საბავ. გადაცემა "ინკოგნიტო" 13.30 ინდ. მხ. ფილმი "ბობი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.20 ტუწ-ემ 19.20 სპექტრი 21.00 ტუწ-ემ 22.30 საქმე და ეკონომიკა 00.45 მხ. ფილმი "სიკვდილის სადარაჯოზე" (გ)

### 202
10.00 დებატები (განმ.) 12.00 მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" 13.00 სერიალი "დიდი სახლი" (გან.) 14.00 მუს. გადაცემა "პროპაგანდა" 18.00 მუსიკა 22.00 სერიალი "დიდი სახლი" 23.00 დებატები 202-ზე

### მზე
08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეჟურნალი "სცენა" 09.30 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 10.00 სერიალი "პოლიციელი ქალები" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 12.05 "ავტოგრაფი". ჯარჯი ზვიადაური. 13.05 სერიალი "დიელი და პასკო" 14.15 არჩევანის ზღვარზე 15.10 შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" 16.05 "ველური მთვარე" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 17.20 სერიალი "დიელი და პასკო" 18.20 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 18.50 მუსიკა 19.00 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 20.45 სერიალი "პოლიციელი ქალები" 21.45 არჩევანის ზღვარზე 22.45 დოკ. ფილმი "იურევის ფესტივალი" 00.00 მხ. ფილმი "გამარჯვებული" (15) (ჯეი ფლეტჩერი)

### მეორე არხი
19.00 სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" 19.50 "ბაბილინა" 20.05 მულტსერიალი "მარსუპილამი" 20.30 სერიალი "ცეკვის ენა" 20.55 დოკ. ფილმი "მარკოცხენების სამეფო" 21.45 კონცერტი 22.30 კინოსეანსი "შემსრულებელი"

### იმედი
07.00 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" 07.30 დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.05 იმედის დილა 10.05 სერიალი "მოჯადოება" 11.15 დროება 11.25, 17.10, 03.45 იმედის მელოდიები 12.40, 16.25, 03.15 ტვ-მარკეტი 13.15 ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია 15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.05 ქრონიკა 15.20 სერიალი "ოცნების სანაპირო" 16.40 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" 17.25 ვაკაჭი-ნიუსი 18.05 სერიალი "მოჯადოება" 19.55 სერიალი "ოცნების სანაპირო" 20.55 სერიალი "ორი ბედი" 22.55 "ნიკა ქავთარაძის შოუ" 23.55 სპ. პროგრამა "გოლი" 00.25 ნადიმი ჯანრი კაშიასთან ერთად 01.40 მხ. ფილმი "მეორე სახე" (18) (ნ. ჰენსტრიჯი)

### აჭარა
08.00 დილის გადაცემა 09.00 სერიალი "ჩემი სამი და" (გან) 10.00 "ჩრდილები" (გან) 11.00 მუსიკა 11.30, 14.30, 17.30, 20.30 საინფ. გამოშვება 11.45 კომედია "აღეჯები" 13.20 მუსიკა 13.40 დოკ. ფილმი 14.50 ბოევიკი "მეტრო" 17.00 მუსიკა 17.50 მულტფილმი 19.30 სერიალი "ჩემი სამი და" 21.05 მხ. ფილმი "სიყვარულის სვირინგი" 22.40 მუსიკა 23.00 დოკ. ფილმი "ალექსანდრე" მე-3 ნაწ. 00.00 საინფ. დაიჯესტი 00.25 თრილერი "თვალი-2" 02.00 მუსიკა

### ОРТ
06.00, 10.00, 12.00, 18.00 Новости. 06.10 Динозавры в фильме "Земля до начала времен". 06.40 Ирина Муравьева в комедии "ГОД ТЕЛЕНКА". 08.20 Служу Отчизне! 08.50 Дисней-клуб: "Команда Гуффи". 09.10 "В мире животных" с Николаем Дроздовым. 10.10 "Непутевые заметки" 10.30 Пока все дома. 11.10 Док. фильм "Ее слезам Москва поверила". 12.10 Елена Сафонова в мелодраме "ПРИНЦЕССА НА БОБАХ" 14.20 Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья". 14.50 "Евгений Плющенко. Бесконечная дуэль". 15.30 Максим Галкин, Верка Сердючка в юмористической программе 17.00 Лариса Долина в концертной программе "Аль Бано и звезды российской эстрады". 19.30 Вера Алентова в мелодраме "МОСКВА СЛЕЗАМ НЕ ВЕРИТ". 2-я серия. 22.50 Вера Алентова, Владимир Меньшов, Алексей Баталов, Олег Табаков и другие - 25 лет спустя. 23.50 Кевин Костнер в триллере "СТРЕКОЗА" 02.00 Джастин Теро в триллере "МАЛХОЛЛАНД ДРАЙВ". После страшной автокатастрофы на Малхолланд Драйв в Лос-Анджелесе чудом остается в живых только одна девушка. После аварии она ничего не помнит, даже своего имени. В состоянии шока, она сползает с горы и прячется в квартире Бетти Элмс - белокурой красотки, приехавшей из Канады покорять Голливуд. Вся растерянность и смятение незнакомки, Бетти проникается состраданием к девушке. Разрешив ей остаться, она обещает помочь ей во что бы то ни стало вспомнить все, даже не подозревая, в какую сверхную историю ввязывается... 04.40 Сериал "ПРИКЛЮЧЕНИЯ ГЕРКУЛЕСА".

### НТВ
05.45 Андрей Градов в комедии "БЕРЕГИТЕ ЖЕНЩИН". 08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Сегодня 08.15 Детское утро на НТВ. "Сказки Баженова". 08.45 Их нравы. 09.25 Едим дома. 10.20 "Чрезвычайное происшествие". Обзор за неделю. 10.50 "Top Gear". Программа про автомобили. 11.25 Дачники. 12.00 "Школа злословия". Ток-шоу Татьяны Толстой и Авдотьи Смирновой. 13.20 Военное дело. 14.00 Н. Гундарева в комедии "ОДИНОКИМ ПРЕДОСТАВЛЯЕТСЯ ОБЩЕЖИТИЕ". 16.20 "Женский взгляд". "Просто Мария". 16.55 Своя игра. 17.55 Сериал "БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ - СВО...-2". "СЛИШКОМ ХОРОШИЙ ДЛЯ НЕЕ". 19.35 Лев Борисов в детективном сериале "ЛЕГЕНДА О ТАМПУКЕ". 21.45 Кирилл Малов в фильме "ЗАЙМЕМСЯ ЛЮБОВЬЮ" 23.40 "Восьмое марта в большом городе". Праздничный концерт. 01.05 Журнал Лиги чемпионов. 01.40 Марлон Брандо в фильме "ПОСЛЕДНЕЕ ТАНГО В ПАРИЖЕ" 04.15 Мария Бонкова в фильме "ИСТОРИЯ ДИНЫ". Маленькая девочка Дина становится невольным виновником мучительной смерти собственной матери, сварившейся заживо. Случившееся оставляет в душе девочки неизлечимую рану - она постоянно видит образ матери, слышит ее предсмертные крики. Дина растет своенравным, неуправляемым ребенком. Чтобы вернуть девочку в лоно семьи, отец нанимает ей педагога, который игрой на виолончели усмиряет буйный нрав Дины. Через несколько лет Дина вырастает в прекрасную, обворожительную, но по-прежнему никому не подвластную девушку. Друг ее отца богатый коммерсант Якоб, увидев Дину, теряет рассудок и просит ее руки. Пройдя через многие испытания, Дина, наконец, встречает Лео - русского анархиста, в которого влюбляется бесповоротно. Но Лео бросают в тюрьму по подозрению в шпионаже...

## სამშაბათი 8.03

### რუსთავი - 2
07.30 დილა 08.00 ტელელიპუცები 10.00 სერიალი "ეკლები და ვარდები" 11.00 სუსტი რგოლი 12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 03.30 კურიერი 12.20 სერიალი "შეყვარებული ქალები" 13.30 მხ. ფილმი "მამაჩემი, დედაჩემი, ჩემი ძმები და დები" (გ) 15.25 ქართული ფეხბურთი 16.30 სერიალი "ეკლები და ვარდები" 17.25 ტელელიპუცები 18.30 პატრული 18.55 ხალხის პირისპირ 19.55 სერიალი "შეყვარებული ქალები" 22.00 საფეხბურთო მიმოხილვა 22.45 ჩემპიონთა ლიგა. "ჩელსი"-"ბარსელონა" 02.00 ჩემპიონთა ლიგა. "მილანი"-"მანჩესტერი" 03.45 პატრული

### TV5
06.00, 08.00, 09.00(კანადა) 12.00, 15.00(ბელგია) 16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), 04.00 TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. 11.00, 14.00, 19.00, 22.00 TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. 07.00 უცნობი კადრები. ვიეტნამის ომი. დოკ. ფილმი. 08.30 ტელედილა. 10.30 გადაცემა: ქრონიკები მთიდან. 11.05 საოჯახო ფოტოები. 12.15 ბაარა. მხ.ფილმი. რეჟისორი სულეიმან სისე. მალი. 1997. 15.30ციფრები და ასოები. ტელეტამაში. 18.30 კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. 23.00 გადაცემა აკუსტიკა სპეციალურად ქალებისათვის. 24.25 გადაცემა: წითელი ფარდა. 03.00 სამხრეთის ანარეკლი. 04.20 გადაცემა: კულტურების დიალოგი.

### პირველი არხი
08.00 "ადრე" 10.00 დოკ. ფილმი "ანესთეზიის ისტორია" 11.00 სერიალი "მემკვიდრე ლუნა" 12.00 "მთავარი" 12.20 ანიმაციური ფილმი "რედვოლი" 12.45 ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" 13.00 "სარჩევი" 14.00 სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" 15.00 "მთავარი" ოსურ ენაზე 15.20 "მთავარი" რუსულ ენაზე 15.30 "არქივი" - დოკ. ფილმი "პალესტინის სიძველეთა საიდუმლოება" 16.15 სიცილის ოთახი 16.30 დოკ. ფილმი "მოგზაურობა" (ჩინეთი) 17.30 დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" -პრეისტ. ცხოველები 18.00 "მთავარი" -რეგიონებიდან 18.30 სერიალი "შირლი ჰოლმსი" 19.00 "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ-"ვედმინი" 20.00 "მთავარი" 20.45 "ბაბილინა" 21.00 სერიალი "მემკვიდრე ლუნა" 22.00 დოკ. ფილმი "აუტიზმის ამოცანა" 23.00 პროფესიონალი - ვიზაჟისტები 23.30 მხ. ფილმი "ცხელი ზაფხულის სამი დღე" 01.10 საინფ. გამოშვება

### კავკასია
11.00 ტუწ-ემ 11.30 მხ. ფილმი "გათენდება კი ხვალინდელი დღე" (გ) 12.30 ტუწ-ემ 15.45 საქმე და ეკონომიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.20 ტუწ-ემ 19.20 სპექტრი 21.15 მხ. ფილმი "უკანასკნელი ომი" (გ) 00.30 ტუწ-ემ

### 202
10.00 დებატები (განმ.) 12.00 მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" 13.00 სერიალი "დიდი სახლი" (გან.) 14.00 მუს. გადაცემა "პროპაგანდა" 18.00 მუსიკა 22.00 სერიალი "დიდი სახლი" 23.00 დებატები 202-ზე

### მზე
08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეჟურნალი "მოდა" 09.30 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 10.00 სერიალი "პოლიციელი ქალები" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 12.05 დოკ. ფილმი "სამყაროს უთვალავი ფერი" 13.05 სერიალი "დიელი და პასკო" 14.15 არჩევანის ზღვარზე 15.10 შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" 16.05 "ველური მთვარე" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 17.20 სერიალი "დიელი და პასკო" 18.20 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 18.50 მუსიკა 19.00 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 20.45 სერიალი "პოლიციელი ქალები" 21.45 არჩევანის ზღვარზე 22.45 საფესტივალო ჩვენება 00.00 მხ. ფილმი "ნიშანი" (15) (პატრიცია არკეტი)

### მეორე არხი
19.00 სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" 19.50 "ბაბილინა" 20.05 მულტსერიალი "მარსუპილამი" 20.30 სერიალი "ცეკვის ენა" 20.55 დოკ. ფილმი "გოლიათის ნაკვალევზე" 21.20 სპექტაკლი "ზეპო"

### იმედი
07.00 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" 07.30 დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.05 იმედის დილა 10.05 სერიალი "მოჯადოება" 11.15 სერიალი "ორი ბედი" 12.20, 14.45, 17.10, 04.30 იმედის მელოდიები 12.40, 16.25, 04.00 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი "დაუნ ჰაუზი" (ფ. ზონდღარჩუკი) 15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.50 ქრონიკა 15.20 სერიალი "ოცნების სანაპირო" 16.40 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" 17.25 სპ. პროგრამა "გოლი" 18.05 სერიალი "მოჯადოება" 19.55 სერიალი "ოცნების სანაპირო" 20.55 სერიალი "ორი ბედი" 22.40 სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" 23.00 პირველები 23.40 მხ. ფილმი "ქალიშვილების თვითმკვლელობა" (15) (კ. დანსტი) 01.20 მხ. ფილმი "მშვიდობით, მაიმუნო" (18) (ჟ. დეპარდიე) 02.55 გოლი -სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი)

### აჭარა
08.00 დილის გადაცემა 09.00 სერიალი "ჩემი სამი და" (გან) 10.00 მუსიკა 10.30 დოკ. ფილმი "ალექსანდრე" მე-3 ნაწ. 11.30, 14.30, 20.30 საინფ. გამოშვება 11.45 კომედია "რა სურთ ქალებს" 13.50 მუსიკა 14.50 მხ. ფილმი "ამაოების ბაზარი" 17.10 მუსიკა 17.30 საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" 17.55 მულტფილმი 19.30 სერიალი "ჩემი სამი და" 21.05 მელოდრამა "წარსულის მიღმა" 22.50 "მოგზაური" 23.30 "სტარტი" 00.00 საინფ. დაიჯესტი 00.25 მხ. ფილმი "გაესაუბრე მას" 02.25 მუსიკა

### ОРТ
06.00, 10.00, 12.00, 18.00 Новости. 06.10 Деннис Куэйд в комедии **"ЛОВУШКА ДЛЯ РОДИТЕЛЕЙ"** 08.10 Лариса Голубкина в комедии **"ГУСАРСКАЯ БАЛЛАДА"** 10.10 "Смак". Праздничный выпуск. 11.10 Валерия, Ирина Аллегрова в док.фильме "Женское счастье". 12.10 Дмитрий Харатьян, Татьяна Овсиенко в программе "Кумиры" + кумиры". 13.20 Верка Сердючка, Юрий Гальцев в док. фильме "Мужская работа в юбках". 14.10 "Вам, дорогие девчонки!" Весенний "Ералаш". 14.40 "С улыбкой о главном". Юмористический концерт. 16.10 "Песни для любимых". Праздничная программа. 19.20 Леонардо ДиКаприо в мелодраме **"ТИТАНИК"**. 23.00 Док. фильм Джеймса Кэмерона "Титаник": Призрак бездны". 00.50 Шарон Стоун в триллере **"ПОСЛЕДНИЙ ТАНЕЦ"**. Молодому адвокату, пришедшему на работу в комиссию по помилованию при губернаторе, поручают дело Синди, осужденной на смертную казнь. Ей было только 17 лет, когда она в состоянии аффекта совершила чудовищное убийство. И вот 12 лет тюрьмы и ожидания казни. Людям свойственно меняться. Синди изменилась радикально, она раскаялась по-настоящему. Но ходатайство о помиловании до сих пор не подписано, а жить постоянно в ожидании смерти становится невыносимо. 02.30 Шон Коннери в триллере **"МАРНИ"**. Марни Эдгар - клептоманка. Она обворовывает сейфы в компаниях, где работает секретаршей, и, не оставляя никаких следов, скрывается с большими суммами наличных. Затем, виртуозно меняет свою внешность и успешно устраивается на новую работу. Глава крупной фирмы Марк Ратленд, принявший Марни на работу, и быстро обнаруживший кражу, поступает неординарно: выслеживает девушку, но не сдает ее полиции, а заставляет выйти за него замуж... 05.10 Неизвестная планета. "Колыбель религий".

### НТВ
06.10 Мультфильм "Русалочка". 06.35 Сергей Лемешев в комедии **"МУЗЫКАЛЬНАЯ ИСТОРИЯ"**. 08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Сегодня 08.15 Ирина Купченко в фильме **"ЗВЕЗДА ПЛЕНИТЕЛЬНОГО СЧАСТЬЯ"**. 12.10 Премьера. "Мужские игры Екатерины Фурцевой". 13.25 "Профессия - репортер". "Работа рожать". Фильм Александра Зиненко. 13.55 "60 лет спустя". Юбилейный концерт Максима Дунаевского. 16.20 Премьера. "Рублевские жены". 16.50 Евгений Евстигнеев в фильме **"НОЧНЫЕ ЗАБАВЫ"** 19.35 Детективный сериал **"ЛЕГЕНДА О ТАМПУКЕ"**. 21.40 "Помнишь, девочка?" Концерт Александра Новикова. **22.35 Футбол. Лига чемпионов. "Челси" (Англия) - "Барселона" (Испания)**. 00.45 "Артем". Памяти А. Боровика. 01.30 "Футбольный клуб" с Василием Уткиным. 02.35 Тони Ленг в комедии **"КИТАЙСКАЯ ОДИССЕЯ"**. Брат и сестра - император Гао и принцесса Ушуан из династии Мин - рвутся из дворца, где чувствуют себя в "золотой клетке", к обычной жизни. Сбежав на волю, Ушуан под видом странника знакомится с владельцем таверны Илоном, который пытается сосватать нового "знакомца" за свою сестру - красавицу Феникс. Но Ушуан сама влюбляется в Илона и раскрывает ему свою тайну. В это время и Гао появляется в городке и влюбляется в Феникс. Мать-императрица благословляет брак Гао и Феникс, но против супружества Илона и Ушуан. Однако любовь не знает преград, и вскоре принцесса и ее избранник обмениваются кольцами под сенью цветущего персикового дерева. Все счастливы... 04.10 Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО"**. 04.55 Трит Вильямс в сериале **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА-2"**. 05.35 Профессия - репортер.

## ოთხშაბათი 9.03

### რუსთავი - 2
